13

ეროვნული ბიბლიოთეკა

პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

მეოთხე წელიწადი

კომუნისტი

საქართ. კომუნისტური პარტიის
ცენტრალური და თბილისის
კომიტეტის
და სრულიად საქართველოს მუშათა, გლეხთა, წითელარმიელთა და მეზღვაურთა დეპუტატების საბჭოების
ცენტრ. აღმასკომის
ორგანო

რედაქცია
თბილისი, რუსთაველის პროსპექტი
№ 24, მეორე სართული
რედაქციაში საქმისათვის მოლაპარაკება შეიძლება ყოველდღე გარდა კვირა-უქმეებისა 10—11 საათ.
ტელეფონები (რედაქტორის 14—76
(მდივანის 10—58

მთავარი კანტორა
თბილისი, რუსთაველის პროსპექტი, 24
ტელეფონი 10—49
ხელისმოწერის ფასი: მუშა-მოსამსახურეთ —65 კ., დანარჩ. ქალაქში—85 კ. ქალაქს გარეთ 95 კ. განცხადებები: ნომპარელის სტრიქონით—20 კ. აწყობა ციფრებით—25 კ. ა. | კავკ. გარეშე—40 კ. აწყობა ციფრებით—60 კ., შუა გვერდებში—ორჯერ მეტი. სამგლოვიარო განცხადება—5 მან., განმეორებითი განცხადება 15 პროცენტ. შელავათით. განცხადება მიიღება ნაშუადღ. 3 საათამდე.

№ 207 (1062) ხუთშაბათი 11 სექტემბერი 1924 წ.

ყოველდღიური გაზეთი

ფასი 4 კ. № 207 (1062)

დღევანდელი ნომერი შეიცავს 6 გვერდს

დ ღ ი უ რ ი

— რურის საზღვარზე მოკავშირეებმა საბაჟოები მოხსნეს.

— იტალიაში ფაშისტების წინააღმდეგ მოძრაობა ძლიერდება.

— 21 სექტემბერს შესდგება საფრანგეთის კომპარტიის კონფერენცია.

— 22 სექტემბერს პარიზში გაიმართება საფრანგეთის გლეხთა პირველი თათბირი.

— სტოკჰოლმში გაიხსნა საერთაშორისო [illegible] კონგრესი.

— ამხ. კოლონტაიმ რწმუნების სიგელი გადასცა ნორვეგიის მთავრობას.

საქ. კომპარტიის თბილისის კომიტეტი
წინადადებას იძლევა, პარასკევს, 12 სექტემბერს
ერთიან პარტიულ დღეს
წამოყენებული იქნას საკითხი ახალგაზრდობის საერთაშორისო დღის შესახებ. მასალების მიღება შეიძლება რაიკომებში.
თბილ. კომიტ. მდივნის მაგიერ გოლდბაუმი.

მოჭკუიანების მართალი ნიშნები

ცნობილი მენშევიკი, საქართველოს ყოფ. დამფუძნებელი კრების წევრი, ბ. გიზო ანჯაფარიძე, აღნიშნავს რა თავის მოსანანიებელ წერილში იმ „ფრიად მნიშვნელოვან ისტორიულ ფაქტს", რომ მენშევიკური გამოსვლების დამარცხებით დამარცხდა თვით იდეა „საქართველოს დამოუკიდებლობის", როგორც ეს ესმოდა მენშევიკებს (ე. ი. იდეა საქართველოს დამოუკიდებლობის პროლეტარიატისა და რევოლიუციისაგან), აკეთებს ამ დებულებიდან პრაქტიკულ დასკვნებს:

„გამოცხადებულია — ამბობს ის — დამოუკიდებლობის კომიტეტისა და მისი ორგანიზაციების დაშლა. ამით სურთ დაამშვიდონ მასები. ჩემის აზრით ეს საკმაო არ არის. ჩვენ უნდა ვაღიაროთ და განვაცხადოთ, რომ გათავებულად ვთვლით არა მარტო შეიარაღებულ გამოსვლებს, არამედ ყოველგვარ ბრძოლასაც საბჭოთა ხელისუფლების წინააღმდეგ. უნდა დავშალოთ არა მარტო დამოუკიდებლობის კომიტეტი და მისი ორგანიზაციები, არამედ ყველა პარტიები, რომლებიც შედიოდნენ ამ კომიტეტის შემადგენლობაში...

„ჩვენ ბრძოლას საბჭოთა ხელისუფლების წინააღმდეგ ჰქონდა საერთაშორისო ხასიათი. საჭიროა ამიტომ ჩვენი მუშაობის ლიკვიდაციაც ევროპაში. და თუ ჩვენი ამხანაგები კვლავ გააგრძელებენ ევროპაში საზოგადოებრივი აზრის ამოძრავებას ჩვენ სასარგებლოთ და საბჭოთა ხელისუფლების წინააღმდეგ, დაყრდნობილნი ამასთანავე ხშირათ ძალიან გადამეტებულ ინფორმაციაზე,—ასეთ მუშაობას მუდამ ექნება ასეთი თუ ისეთი გამოძახილი ჩვენში. ასეთი მდგომარეობა ძირიან-ფესვიანათ უნდა შეიცვალოს..

„რითი უნდა აანაზღაუროს საქართველოს ხალხმა ამდენი სისხლი და საფლავები, ვინ უნდა ანუგეშოს ქვრივები და ობლები, ვინ უნდა შეუშროს ცრემლები ჩვენ უბედურ დედმამებს?"...

ასე მოსთქვამს დღეს ერთი იმ ავანტიურისტთაგანი, რომელთა ხელი გასვრილია სისხლში, რომელთა ხელებით გაითხარა საფლავები, რომელთა „მუშაობით" ატირდენ „ქვრივები და ობლები".

მაგრამ ამ სიტყვებმა ძალიან დააგვიანა. ავანტიურის გმირები ძუძუ მწოვარა ბავშვები არ არიან. ჩვენ გულუბრყვილოებთან როდი გვაქვს საქმე.

მათ არ შეეძლო არ სცოდნოდათ რას აკეთებდენ. მათ დროზე მიიღეს გაფრთხილება. უმთავრესი და უაღრესი მნიშვნელობის პირველი გაფრთხილება გამოდიოდა თვით ყოფილი მენშევიკური პარტიის რიგებიდან. ეს მოხდა მაშინ, როდესაც მათმა ყოფილმა პარტიულმა მასსამ, რამოდენიმე ათეულ წლობით მომუშავემ და ათასგვარ ვაი უბედურებას გამოვლილმა ძველი რეჟიმის დროს, ერთხმათ იძგუვლა, მაგრათ გამოიხურა პარტიის კარები და პირი იბრუნა ჩვენსკენ.

ბელადებს არ შეეძლოთ არ სცოდნოდათ, რომ „პარტიაში" ამის შემდეგ კიდევ უფრო გაძლიერდა დენა ისეთი ელემენტების, რომლებსაც არაფერი საერთო არ აქვთ არც მუშათა კლასის და გლეხკაცობის, არც სოციალიზმის, არც ერის ინტერესებთან.

ასეთი ახალი „ჯარით" მოისურვეს მათ ბრძოლა საბჭოთა ხელისუფლების წინააღმდეგ, რადგან სხვა ძალა არ გააჩნდათ. ეს შიგნით.

რაც შეეხება გარეთ მათ მუშაობას, ვინ არ იცის დღეს, რომ ანჯაფარიძის ამხანაგები ემყარებოდენ იმპერიალისტების დაიმედებას და მათ ჩურჩულს; ვინ არ არ იცის, რომ მათი იმედით მოქმედებდენ ავანტიურისტები ევროპაში და „ევროპიელების" წაქეზებით შიგნით, საქართველოში. ასეთ პირობებში როგორი უნდა ყოფილიყო შედეგი მათი ავანტიურის—ამაზე ჩვენ არა ერთხელ მიგვითითებია და გაგვიფრთხილებია ხალხი.

მაგრამ ვერც ერთმა ამ გარემოებამ მათ ჭკუა ვერ ასწავლა. საჭირო შეიქნა მათთვის სისხლის ღვრა, საფლავების გათხრა, ქვრივობლების ატირება, როგორც სწერს ახლა ანჯაფარიძე, რომ თვითონ შემდგარიყვნენ მონანიების წამს იმ საშინელების წინაშე, რომელთა პასუხისმგებელი „ავტორები" ისინი არიან.

რაზე მოწმობს ანჯაფარიძის გამოსვლა. მხოლოთ იმაზე, რომ ზოგიერთი მენშევიკური ავანტიურისტების სქელი შუბლი შეამტვრია დაბოლოს ამბების მიმდინარეობამ და იქ შეანათა ჩადენილი დანაშაულების მკრთალმა შეგნებამ.

ეს არ კმარა. მათ, მეთაურებმა, მეტი უნდა სთქვან, მათ სასტიკი განაჩენი უნდა გამოუტანონ თავიანთ თავს.

უსირცხვილონი

მაშ რა ჰქვია იმ პარტიებს, რომლებიც სამი წლის განმავლობაში ლესდენ დანას ქართველ გლეხის გულში ჩასაცემად, რომელნიც ჰქმნიდენ და ინახავდენ საქართველოს ტერიტორიაზე ჩოლოყაშვილისა, ლაშქარიშვილისა, ჩიქოვანებისა და სხვა თავადაზნაურების და ძველი ოფიცრების რაზმებს; რომელნიც სამი წლის განმავლობაში ეზიდებოდენ ინგლის-საფრანგეთიდან იარაღსა და ტყვია-წამალს და რომელნიც ათი დღის წინად ქურდულად თავს დაესხნენ მძინარე გლეხებსა და მუშებს. ზოგიერთ ტყეებში კიდევ არიან მათი რაზმები და ისვრიან დუმდუმის ტყვიებს.

ათი დღის წინად ისინი გამოვიდენ ქართველი გლეხებისა და მუშების წინააღმდეგ მთელის ზიზღითა და შურისძიებით აღვსილნი სისხლიან ხელებით. ბევრი მშრომელი გამოასალმეს სიცოცხლეს და მუშებისა და გლეხების მთავრობის ბრძანებები ნაკუწნაკუწათ აქციეს.

ათი დღის წინედ ისინი მოუწოდებდენ ქართველ თავადაზნაურობას და ინტელიგენციას: „მამულიშვილნო! ქართველ ერს არა სჩვევია მონობა; ჩვენი წინაპრები: სააკაძეები, ყიფიანები და პატარა კახები მედგრად იბრძოდენ მამულისათვის. ჩვენც უნდა ვიბრძოლოთ უკანასკნელ სისხლის წვეთამდე"-ო. აი ასეთი მამულიშვილური სიტყვებით მიმართავდა მენშევიკური „პარტია" გუშინწინ თავადაზნაურობას და მოუწოდებდა წართმეულ მამულების დაბრუნებისკენ.

ეხლა კი ჩაცვენილნი ჩეკას კლიტულებში „სააკაძის მემკვიდრენი" კაცთ-მოყვარეობისა და სოციალიზმის გიმნებს მღერიან.

ეხლა საქვეყნოდ აცხადებენ, რომ ის, რაც მოხდა, მხოლოდ შეცდომა და ავანტიურა არისო.

ეხლა, როცა თვით აჯანყებულები ატუსაღებენ თავიანთ მეთაურებს და მოყავთ მთავრობასთან; როცა დახვრეტილთა დედები და ცოლები ცეცხლს უკიდებენ მათი შვილებისა და ქმრების შემცდენელთა სახლებს (სენაკის მაზრაში), როცა ქართველი გლეხობა გადაჭრით მოითხოვს თავადაზნაურების ერთხელ და სამუდამოდ ალაგმვას—აი სწორედ ეხლა გუშინდელი „სააკაძეები" და „პატარა კახები" გაწკეპლილ პატარა ბავშვებსავით ბოდიშს იხდიან და საბჭოთა მთავრობას შენდობას სთხოვენ.

უსირცხვილონი! სამი წლის განმავლობაში აიარაღებდენ ქართველ თავადებს ნაგანის რევოლვერებით; ახალგაზრდობას აგზავნიდენ სკოლებში იმიტომ კი არა, რომ მათ სწავლით სარგებლობა მოეტანათ თავიანთ ქვეყნისათვის, არამედ მიტომ, რომ მოეწყოთ ბავშვთა ბანდები ამ შავი დღისათვის; მათ თვით მღვდლებიც კი შეაიარაღეს.

ეხლა კი, როცა მშრომელთა სისხლი დაიღვარა, როცა ავანტიურა ბუტაფორიით გათავდა; როცა ბავშვთა ბანდები ტყეში მიიმალენ და სირცხვილით ველარ ჩნდებიან, ეხლა აჯანყების მეთაურნი გაიძახიან: „შეგცდით, მოვტყუვდით, ქართველ ერს რუსეთთან ძმური კავშირი სურს და არა მყვლეფელ ევროპის ორიენტაცია". ამას სწერს ძველი ბანდიტი გიზო ანჯაფარიძე, ამასვე იმეორებენ პარიტეტულ აჯანყების კომიტეტის ყველა წევრები.

უსირცხვილონო! მენშევიკ-ბანდიტ-თავადებო: ანდრონიკაშვილებო, ჯავახიშვილებო, ანჯაფარიძეებო, ონიაშვილებო და ძმანო—რა პირით მიმართავთ თქვენ იმ ბავშვებს და ყოფილ ოფიცრებს, რომელნიც ავად თუ კარგად ცხოვრობდენ საბჭოთა რესპუბლიკაში და თუმცა უპაგონებით, მაგრამ საჭმელი მაინც მოეპოვებოდათ; იმ ბავშვებს, რომლებმაც ჯერ კიდევ არ იციან თუ რა არის პოლიტიკა (ქიათურაში შესვლის დროს ჩვენ წინ შეგვეფეთა აზნაურ ბავშვების შეიარაღებული რაზმი 14—17 წლამდე) თქვენ კი ხელი გაასვრევინეთ ქართველ გლეხების სისხლში?!

რა პირით მიმართავთ იმ დევნილებს, რომელნიც ეხლა ტყეში იმალებიან და სიმშილით სიკვდილს ელიან?! რა პირით მიმართავთ თქვენ ქართველ ხალხს, რომლის სისხლით შეღებილი გაქვთ შავი ხელები?

სამი წლის განმავლობაში იარაღებდით ქართველ თავადაზნაურობას, ყოფილ ოფიცრებს, მღვდლებს, ყოფილ პოლიციელებს და გვარდიელებს—თავს დაგვესხით ღამე მძინარეებს დააღვრევინეთ სისხლი და ეხლა როცა ბედმა გიმტყუნათ, როცა დამარცხდით, პატარა კატუნებსავით იკატუნებთ თავს და ბოდიშს იხდით.

რისთვის დაღვარეთ სისხლი? უპასუხეთ ამ მძიმე კითხვაზე! თქვენ სხვისი სისხლი დაღვარეთ მინისტრების პორტფელების მისაღებად.

თქვენ სისხლი დაღვარეთ, რათა ქართველი ერი ევროპის კაპიტალის დასამონებლად, საჯიჯგნად გაგეხადათ იმ იარაღის საფასურად, რომელიც თქვენ ევროპიდან მოიტანეთ.

მაგრამ რათ შეაცდინეთ ბავშვები და მოქალაქენი? რად არიან ტყეში დღეს ისინი, ვინც გუშინ მშვიდათ პურს სჭამდა?!

თქვენ დაპირდით თქვენ ყოფილ გვარდიელებს და პრისტავებს, რომ ისინი ოთხი წლის ჯამაგირს ერთად მიიღებენ თქვენი მთავრობისაგან.

თქვენ დაჰპირდით ვაჭრებს ჩამორთმეულ სახლების დაბრუნებას, თქვენ გამოაცხადეთ მიწის დენაციონალიზაცია.

ეხლა კი ჩეკის სარდაფში სოციალიზმს ფიცულობთ, დღემდე სოციალისტური პარტიის სახელწოდებას ატარებთ. ეხლა საბჭოთა მთავრობის წინაშე ბოდიშს იხდით და მისგან შენანიებას ითხოვთ!.. კვლავ ხელს აწერთ საბჭოთა მთავრობის მეგობრობის ფურცელზე; კვლავ ეფიცებით ქართველ ერს ერთგულებაში.

თქვენ მხდალები ხართ, როგორც ავანტიურისტი სმოლსკი. თქვენ გეშინიათ იმიტომ, რომ ზურგს არ გიმაგრებსთ მასა—ქართველი ერი.

თქვენ იბრძოდით თქვენსავე პირად მყვლეფელურ ინტერესებისათვის. თქვენ კაცუნები ხართ.

...და უსირცხვილონი

ი. ტ.

მიმავალო, მშვიდობით!

ჩვენში მომხდარი ამბები არ იყო შემთხვევითი და მოულოდნელი. „აჯანყებას" საფუძვლად ედო ღრმა სოციალური პირობები. რაში გამოიხატებოდა ეს?

სოციალისტური რევოლიუცია, სოციალისტური აღმშენებლობა აუცილებლად ჰგულისხმობს სამოქალაქო ომს. სამოქალაქო ომი ჰნიშნავს კლასთა შეიარაღებულ ბრძოლას: ერთი სოციალური კლასი ებრძვის მეორეს წმინდა კლასიურ ინტერესების ნიადაგზე. სამოქალაქო ომი იცის მუშათა მოძრაობის ისტორიამ. ყველაზე ადრე აღსანიშნავია პარიზის კომუნა. თანამედროვე ხანაში—სამოქალაქო ომების პერიოდი საბჭოთა რუსეთის ცხოვრებაში.

საზოგადოების ძველი, დრომოჭმული ნაწილი იოლად არ ურიგდება მწარე ხვედრს. იგი სცდილობს დაიბრუნოს „პატივი და დიდება", ქონებრივი და წოდებრივი უპირატესობა. ერთის შეხედვით ეს ნაწილი უმნიშვნელო გვეჩვენება. რიცხვობრივად იგი მართლაც არარაობას წარმოადგენს. მაგრამ თვისობრივად დიდია მისი მნიშვნელობა. ყოფილი გაბატონებული კლასები ატარებენ გარკვეულ მიზნებს, შეხედულებებს, შეგნებას. მათ იციან არა მარტო ის თუ როგორ უნდა ბატონობა, არამედ ისიც, თუ რა გზითაა შესაძლებელი ამ ბატონობის კვლავ დაბრუნება. ისინი ებრძოდნენ დაჩაგრულებს, იწრთვნებოდნენ ამ ბრძოლაში. ამავე დროს ითვისებდნენ იმ ხერხებსაც, რომლის საშუალებით შესაძლებელი ხდება ჩაგრულების, მუშებისა და გლეხების „დამარცხება".

სამოქალაქო ომში ორი ფრონტია გაშლილი. ერთ ფრონტზე—მუშები და ღარიბი გლეხები, მეორეზე—თავადები, აზნაურები, სამღვდელოება, ვაჭრები, ბიუროკრატები და გლეხობის „კულაკური", შეძლებული ნაწილი. პირველი ფრონტის მიზანი ეკონომიური გარდაქმნაა თანასწორობის საფუძველზე, მეორეს—„რადიკალური გარდატეხა" სოციალ-პოლიტიკურ უთანასწორობის ნიადაგზე. ამ თვალსაზრისების ბრძოლა სწარმოებს მთელ წლეების განმავლობაში. როდის დასრულდება იგი?—მაშინ როდესაც მოისპობა ის ეკონომიური საფუძველი, რომელიც ახანგრძლივებს „შეჯახებებს", მოისპობა ის კლასი, რომელიც გამოხატავს ძველ ურთიერთობას.

თავადი, აზნაური, მღვდელი და ვაჭარი ველარ ურიგდება სამარის გათხრას საკუთარი ხელებით. სიკვდილის მოახლოების დროს ისინი უკანასკნელად „გაიბრძოლებენ", „აჯანყდებიან", სისხლს დაღვრიან. ასე მოხდა საბჭოთა რუსეთში ასევე მოხდება ყველგან, სადაც კი სოციალისტურ გარდაქმნას შეუდგებიან. პროლეტარიატი და მებრძოლი გლეხობა მხოლოდ მაშინ დაასრულებს ახალი ქვეყნის შენებას, თუ მოისპობა ის „ხალხი", რომელიც ხელს უშლის მას კომუნისტურ აღმშენებლობაში ამიტომ სამოქალაქო ომი აჯანსაღებს მუშათა კლასის საქმიანობას სოციალისტურ ცხოვრების განხორციელებაში

საბჭოთა რუსეთის პროლეტარიატი და მშრომელი გლეხობა უზრუნველყოფილია „ავანტიურისაგან" ოთხი წლის სამოქალაქო ომმა მოსპო და გაანადგურა როგორც ეკონომიურად, ისე ფიზიკურადაც „წარჩინებული წოდება" და „შეძლებული საზოგადოება". სოციალისტური აღმშენებლობის საქმეც რკინის ლიანდაგზეა დამყარებული.

ჩვენში, საქართველოში სამოქალაქო ომი არ ყოფილა. მენშევიკების დროს სამოქალაქო ომი არ იყო შესაძლებელი. მაშინ თხა და მგელი ერთად სძოვდა, „დემოკრატია" ბატონობდა. არ ართმევდნენ მიწებს მემამულეებს, ქარხნებს—კაპიტალისტებს, მონასტრებს | ბერ-მონოზნებსა და მღვდლებს. მდგომარეობა არ შეცვლილა არსებითად: ღარიბი ღარიბად დარჩა, მდიდარი—მდიდრად. ასეთ პირობებში სამოქალაქო ომი კი არ იყო შესაძლებელი, არამედ რევოლიუცია, გადატრიალება, ერთი კლასის მაგიერ მეორე კლასის გაბატონება. ეს კიდევაც მოხდა 1921 წ. თებერვალში.

საბჭოთა ხელისუფლებამ, მუშებისა და გლეხების მთავრობამ ძირ-ფესვიანად შეარყია ძველი მდგომარეობა. ჩვენმა თავადებმა, აზნაურებმა, სამღვდელოებამ და ვაჭრებმა მთელი სიმწვავით იგრძნეს პროლეტარული დიქტატურა. საბჭოთა ხელისუფლებამ ხელის ერთის დაკვრით დასცა საზოგადოების ყველა შეძლებული, მდიდარი და მუქთახორა წრეები. შრომის სამეფოში შეუძლებელი შეიქნა არამშრომელ ელემენტის მონელება. ჩვენც ვამჩნევდით, რომ „ყოფილთა ბანაკიდან" [illegible] მიეშურებოდნენ საზღვარ-გარეთ, ევროპაში, აგრეთვე—ტყეებში, ბანდიტად. უკანასკნელთა ჯგუფს გამოხატავს თავადი ჩოლოყაშვილი თავისი „რაზმებით".

აშკარაა, ყველას არ შეეძლო თავის შეფარება უცხოეთსა და „სამშობლო მთებში". დარჩენილი ხალხი ვითომ და ეგუებოდა მდგომარეობას, იკატუნებდა თავს, საბჭოთა ხელისუფლებას ვითომდა თანაუგრძნობდა და აქა-იქ საბჭოთა დაწესებულებებშიაც კი ძვრებოდა. არსებითად კი გული ბოღმით ჰქონდა სავსე. უცდიდა „გადამწყვეტ წუთს", „მოხერხებულ მომენტს".

მაშასადამე, სამი წლის განმავლობაში ჩირქდებოდა ნიადაგ გამოცლილი ყოფილ „ბატონების" სხეული. ყველაფერს აქვს თავისი დრო და საზღვარი. მენშევიკებმა უჩქმიტეს ამ სხეულს და ჩირქმაც იხეთქა მთელი სიძლიერით და სიმყრალით.

ტყუილია „აჯანყებულების" მოთქმა-გოდება „საქართველოს საკითხის" შესახებ. საქართველოს ინტერესები ამ „მოძრაობაში" უკანასკნელი მნიშვნელობის მქონეა. მთავარი, არსებითი კლასიური ინტერესებია. მიმავალი შეეჯახა მომავალს, თავად-აზნაურობა და ვაჭრები—ღარიბ გლეხებსა და მუშებს. საბჭოთა რუსეთში „ეროვნული საკითხი" არ იდგა „აჯანყებულთა" დღის წესრიგში. სამოქალაქო ომი მაინც არსებობდა. ასეა ჩვენშიაც: „დამოუკიდებლობის" შირმით მოიწადინეს წმინდა კლასიურ, ვიწრო პირადულ მიზნების განხორციელება. ვინ გამოვიდა „ბრძოლის ველზე"?—ის ხალხი, რომელიც კარგა ხანია დაეცა, დამარცხდა ამ ველზე. „აჯანყება" მოაწყვეს თავად-აზნაურებმა, ვაჭრებმა და მღვდლებმა მენშევიკების დახმარებით. ამას მოწმობს სინამდვილე: ფაქტები, მაგალითები, თვით პარიტეტულ კომიტეტის „სახელოვანი" მოწოდებაც.

დიახ, ჩვენში ადგილი არ ჰქონია „საყოველთაო გამოსვლას", დაიწყო მხოლოდ „პარტიზანული ომი", რომელიც შვიდ დღეში დასრულდა. მისი გაგრძელება უფრო დიდის ხნით არ იყო შესაძლებელი: ჩვენი პაწაწკინტელა „ბურჟუაზია", ფაქტიურად განადგურებული თავად-აზნაურობა და გახრწნილი მენშევიკური პარტია ვერ შესძლებდა იარაღის ჩხარუნით რევოლიუციონურ მუშათა კლასისა და საბჭოთა ხელისუფლების დაპირისპირებას. ეს ასეც მოხდა.

ჩვენი კლასიურ მტრებს ვასამარებთ პოლიტიკურად, ეკონომიურად, სოციალურად. ისინი ველარ სჩანან სახელმწიფოს ცხოვრებაში როგორც რეალური ძალა. შავ ძალებს მოსპობს პროლეტარული ხელისუფლება მთელი სიმკაცრე-სისასტიკით.

ძველი თაობა იმარხება, ისმის სამარიდან მათ კუბოზე მიწის რახუნი... მიმავალო, მშვიდობით!

გ. მუშიშვილი.

მენშევიკურ ბანდიტების ლიკვიდაცია

რა მოხდა გურიაში

(საუბარი ამხ. თენგიზ ჟღენტთან)

მენშევიკებს ძალღონე არ დაეზოგათ, რომ გურიის გლეხობა,—ეს ოდესღაც მათი ძლიერების ციტადელი, ჩაეთრიათ ყოვლად უაზრო ავანტიურაში. მაგრამ, მგონია, არსად ისე იმედ-გაცრუებული არ გამოსულან, როგორც აქ. ამაოდ ჩაიარა დახარჯულმა ენერგიამ და უცხოეთის იმპერიალისტებისგან გაწოდებულმა ფულების ფლანგვამ. გლეხობა მასიურად განზე გაუდგა და მენშევიკობა დარჩა გარიყული საბჭოთა ხელისუფლებისაგან დაჩაგრულ ბედის-მაძიებელთა ანაბარა. ტყვეთ ჩავარდნილ ბანდიტთა ვინაობიდან და მათი დაკითხვიდან გაირკვა, რომ საბჭოთა ხელისუფლების წინააღმდეგ მებრძოლთა მთელი „არმია" შესდგებოდა გურულ აზნაურებისაგან, ყოფილ გვარდიელთაგან, სამღვდელოების შვილებისა, ვაჭრებისა და საზღვარ-გარეთ გაქცეული ბატონების ოჯახის წევრებისაგან. სწორედ ასეთი ელემენტებისაგან შემდგარმა „ლაშქარმა" იკისრა გურიის „განთავისუფლება" კომუნისტების „ოკუპაციისაგან".

ამ სასაცილო „შეთქმულებაში" მონაწილეებს მშვენივრად დაეყოთ როლი კომუნისტებთან ბრძოლის დროს: აზნაურ ტარიელ მკლავაძეებს ეკისრათ „ბრძოლის" უშუალო წარმოება, ვაჭრებს „მებრძოლთათვის" სურსათ-სანოვაგის მიწოდება, და მშვიდობიანი ცხოვრებათათვის ვაჭრობის შეწყვეტა (ფარული ბოიკოტი). მღვდლები შესდგომოდენ ეკლესიების გახსნის თადარიგს და პარაკლისებს და ლოცვა-კურთხევას ბანდიტთა გამარჯვებისათვის მუდამ უსაქმო და ყოველთვის მოცლილი ელემენტები, რომელნიც გამოუდეგარნი იყვენ „ბრძოლისათვის", თავგამოდებით [illegible] ავრცელებდენ სალაპარო ცნობებს. ერთი სიტყვით პარიტეტული კომიტეტის მრავალფეროვანი ჭრელი ლაშქარი ხელიხელ ჩაკიდებული აკეთებდა ერთს საქმეს: ათავისუფლებდა საქართველოს პროლეტარულ ხელისუფლებისაგან.

სრულიად მოულოდნელად 29 აგვისტოს დილით ადრე ტყიდან გამომძვრალ ბანდიტებს დაეკავებიათ ჩოხატაური, ხიდისთავი და ზემო გურიის სოფლები, ქალაქ ოზურგეთის გარდა. „გამარჯვებულებს" მაშინათვე დაეტყვევებიათ ადგილობრივი კომუნისტები თავიანთი ოჯახის წევრებით და შესდგომოდნენ მენშევიკურ მმართველობას: დაეყენებიათ კომენდანტები, კომისრები და სხვა თანამდებობის პირნი.

აზნაურების და მღვდლების სიხარულს საზღვარი არ ჰქონ..

მემამულენი მაშინვე მისცვენიან ჩამორთმეულ მამულ-დედულს და სახლკარს. მღვდლები დროს არ ჰკარგავდენ და მოუწოდებდენ მრევლს დაბრუნებოდენ სარწმუნოებას. ამასთანავე ფაცი-ფუცობდენ დაკეტილ ეკლესიების გასახსნელად. აზნაურთა ოჯახის წევრებს უკვე ხმა აემაღლებიათ: ჩვენ მარტო არ ვართ, ჩვენ გვეხმარება მთელი ევროპა; ინგლისელებმა უკვე გადმოასხეს თავისი ჯარები ბათომში. აჯანყებულია მთელი საქართველო: თბილისი, ბათომი, ქუთაისი, ფოთი უკვე ჩვენს ხელშიაო.

ასეთი ჭორებით სცდილობდენ მიემხროთ გურიის გლეხობა, მაგრამ იგი მასიურად განზე გაუდგა ასეთ პროვოკაციას.

თუმცა თბილისიდან გაგზავნილი იყო ქართული ჯარის ნაწილები, მაგრამ ბანდიტური გამოსვლის ლიკვიდაცია იკისრეს გურიის კომუნარებმა.

ღამით, 31 აგვისტოს მათ დაიწყეს შეტევა სამი მიმართულებით.

ბანდიტები იმდენად მოუმზადებელი და სუსტი აღმოჩნდენ, რომ მაშინვე იწყეს უკან დახევა. წინააღმდეგობის გაწევა გაბედეს მხოლოდ ცხემლის ხიდთან, სადაც მოკლულ იქნა ერთი კომუნარი.

ამის შემდეგ ბანდიტები ბახვის გზით მიაწვენ ასკანას და ხიდისთავს, მაგრამ ნაგომრის გზით მათ შემოუტია მე-5-თე ლეგიონმა და ორ სექტემბერს ბანდები იძულებული გახდენ ხიდისთავი და ჩოხატაური სავსებით დაეცალათ. ამ ხნის განმავლობაში მცირე შეტაკება მოხდა მხოლოდ ხიდისთავთან, სადაც მოკლულ იქმნა 1 კომუნარი და დაჭრილი 3 წითელარმიელი. ბანდიტებმა დაკარგეს ამ შეტაკებაში 10-ზე მეტი მოკლული.

კომუნარების და წითელ-არმიელების ჩოხატაურთან მოსვლისთანავე, ბანდიტებმა დაპატიმრებული კომუნისტები დასტოვეს და კუდამოძუებულნი გაიქცნენ. დაპატიმრებულ კომუნისტებს შორის ადგილი არ ჰქონია უიმედობას და სასოწარკვეთილებას; ყველას სჯეროდა, რომ ეს იყო წყალწაღებულთა ხავსზე დაკიდება. მებრძოლ კომუნარებს და წითელარმიელთ ჩოხატაურში შესვლის დროს წინ შემოეგებენ პატიმრობიდან უკვე განთავისუფლებული კომუნისტები წითელ დროშებით ხელში და ინტერნაციონალის სიმღერით. აღფრთოვანებას საზღვარი არ ჰქონია. ბანდიტების გამოსვლა მშვენიერი გამოცდა იყო ჩვენი ახალგაზრდა წითელ არმიისათვის. იგი გაბედულად და ვაჟკაცურად ეძებდა შემთხვევებს ბრძოლისთვის, რომელსაც ასე გაურბოდენ „მამაცი" ბანდიტები. აღსანიშნავია ის, რომ წითელ არმიის ნაწილებს უერთდებოდენ უვადო და დროებით შვებულებაში გაშვებული წითელი არმიელებიც. ისინი თავისი ნებით მოდიოდენ შტაბში და უერთდებოდენ მომქმედ ნაწილებს.

ამ ავანტიურის ლიკვიდაციის შემდეგ მოწვეულ იქნა სოფლებში მიტინგები, რომელზედაც სალაპარაკოდ გამოდიოდენ ყოფილი მენშევიკები და ადგილობრივი გლეხობა. ისინი განცვიფრებული იყვენ იმ ლმობიერებით, რომელიც საბ. ხელისუფლებამ გამოიჩინა შეცდომაში შეყვანილი გლეხების მიმართ. პროვოკატორებს ხმა გაევრცელებიათ, რომ კომუნისტები არ გაარჩევდენ მრუდს და მართალს. ბანდიტიზმში უნებურად ჩათრეულნი განიცდიან უსაზღვრო სინიდისის ქეჯნას. იყო სამი შემთხვევა თავის ჩამოხრჩობისა. ლმობიერად მოქცევამ სრულიად გამოაცალა ნიადაგი მენშევიზმს, გლეხებს თვითონ გამოაქვთ სოფლის ყრილობებზე დადგენილებები, რომ სოფლის „პრიგოვორით" ჩამოერთვას უძრავ-მოძრავი ქონება მას, ვინც არ გამოცხადდება, ან ვისაც იარაღი აღმოაჩნდება.

— ჩემი ღრმა რწმენით—დაასრულა საუბარი ამხ. თენგიზ ჟღენტმა,—არასოდეს არ ჰქონდათ გურიაში კომუნისტებს ისეთი ძლიერი გავლენა, როგორც ამ დღეს. ამ აჯანყებით მენშევიკებმა თავი დაიმარხეს იქ, „სადაც შობიდან გაზრდილან".

გიზო ანჯაფარიძის განცხადება

ის, ვინც მე მიცნობს, დაიჯერებს ჩემს გულწრფელობას და, რა თქმა უნდა, არა თავის გადარჩენის სურვილი მალაპარაკებს ეხლა. ამ შემთხვევაში უცნაური იქნებოდა „ჩეკაში" ჩემი ნებით გამოცხადების ფაქტი, თუმცა შემეძლო თავისუფლად გავსულიყავი სამშვიდობოზე.

და განა ღირდა მეზრუნა პირად ინტერესებისათვის, როდესაც საკითხი ეხება მთელი ხალხის ბედს?

უკანასკნელ დღეებში საქართველოში მომხდარი ტრაგედია, წარმოადგენს ჩემის აზრით ფრიად მნიშვნელოვან ისტორიულ ფაქტს, რომელსაც ანგარიში უნდა გაუწიოს ყველამ, ვისაც სარგებლობის მოტანა სურს ქართველი ხალხისათვის.

3 წლის წინად დაეცა საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკა. დღეს კი დამარცხდა საქართველოს დამოუკიდებლობის თვით იდეა, როგორც ეს ჩვენ გვქონდა წარმოდგენილი. ძნელია და საშინლად მტკივნეული შერიგება ამ აზრთან ჩემთვის, ქართველი საზოგადო მოღვაწისათვის, რომელიც ამ სამი წლის განმავლობაში ვიმყოფებოდი იმათ რიცხვში, რომლებიც იდგენ იმ ზარიკადის მეორე მხარეზე, რომელიც შექმნილი იყო საქართველოში საბჭოთა ხელისუფლების წინააღმდეგ. მაგრამ ფაქტებს თავისი ლოღიკა აქვს, და ძნელია მის წინააღმდეგ წასვლა.

3 წელიწადია, რაც სწარმოებს გაცხარებული ბრძოლა ჩვენსა და საბჭოთა ხელისუფლებას შორის. ბევრი იყო მსხვერპლი და სისხლის ღვრა. ბევრის საფლავები მხოლოდ გუშინ გაითხარა.

რა შედეგი მივიღეთ ჩვენ?

დადგა გადამწყვეტი მომენტი. დამოუკიდებლობის კომიტეტი, რომელმაც თავის გარშემო გააერთიანა საქართველოში ყველა მომქმედი ანტისაბჭოთა ჯგუფები და პარტიები, მოუწოდებს ქართველ ხალხს აჯანყებისაკენ ძალა-უფლების ხელში ჩასაგდებად, მაგრამ ეს მოწოდება არ ჰპოვებს გამოძახილს

საქართველოს დამოუკიდებლობის კომიტეტის მოწოდებაში ჩვენ ვკითხულობთ, რომ აჯანყების ლოზუნგს არ გაჰყვენ ქართველი ხალხის ფართო მასები. ბრძოლაში მონაწილეობას იღებენ ცალკე ჯგუფები, რომლებიც ტყეებში იმალებიან. აჯანყების ნაცვლად მივიღეთ ავანტიურა, სრული დამარცხების საუკეთესო მაგალითი. მაგრამ აქედან შეგვიძლია გამოვიყვანოთ მხოლოდ ერთი დასკვნა: მაშასადამე ქართველ ხალხს აღარ აღფრთოვანებს დამოუკიდებლობის იდეა, როგორც ჩვენ ეს გვქონდა წარმოდგენილი. მაშასადამე ამ იდეას ჩვენ თავზე ვახვევთ მას. აი როგორ იხატება ჩემს წინაშე უკანასკნელი ამბები.

მაგრამ თუ ეს ფაქტია, მაშინ გამოვიყვანოთ შემდეგი დასკვნები.

თავიდანვე ჩვენ ბრძოლას საბჭოთა ხელისუფლების წინააღმდეგ ჰქონდა რუსეთზე ორიენტაციის წინააღმდეგ ბრძოლის ხასიათი რუსეთი თუ დასავლეთი ევროპა—აი როგორ იდგა საკითხი, და ეს საკითხი ქართველმა ხალხმა გადასჭრა რუსეთის სასარგებლოთ დღეს ისევე, როგორც ასი წლის წინად.

როგორც ვიცით, მაშინაც ადგილი ჰქონდა მთელ რიგ აჯანყებებს, რომელიც მიმართული იყო რუსეთისაგან ჩამოშორებისაკენ. მასში მონაწილეობას იღებდენ ქართველი ხალხის ზედაფენები, თვით ხალხი ყოველთვის განზე იდგა. და ნოე ჟორდანიამ მშვენივრად ახსნა ეს ფაქტი და მჭერმეტყველურად დაამტკიცა თავის დროზე არჩილ ჯორჯაძესთან კამათის დროს, რომ ქართველი გლეხობა თავის თავს გრძნობდა გაცილებით უკეთესად რუსეთთან,—ვიდრე დამოუკიდებელ არსებობის დროს.

ჩემი აზრით ქართველმა ხალხმა დღეს სთქვა იგივე: მან უპირატესობა მიაკუთვნა საბჭოთა კავშირში შესვლის ფაქტს დამოუკიდებლობის წინაშე.

ასეთი დასკვნა უნდა გააკეთოს ყველამ, ვისაც აქვს ისტორიული ფაქტის შეფასების უნარი.

გამოცხადებულია დამოუკიდებლობის კომიტეტის და მისი ყველა ორგანიზაციების დაშლა. ამით სიმშვიდე სურთ შეიტანონ მასებში. ჩემის აზრით, ეს საკმარისი არ არის. ჩვენ უნდა ვაღიაროთ და გამოვაცხადოთ, რომ დასრულებულად ვსთვლით ყოველგვარ ბრძოლას საბჭოთა ხელისუფლების წინააღმდეგ და არა მარტო შეიარაღებულ გამოსვლას. უნდა დაიშალოს არა მარტო დამოუკიდებლობის კომიტეტი და მისი ორგანიზაციები, არამედ აგრეთვე ყველა პარტიები, რომლებიც ამ კომიტეტის შემადგენლობაში შედიან.

თუ ხალხის სურვილი ჩვენთვის კანონად ითვლება, რა საჭიროა მაშინ ისეთი პარტიები, რომლებიც აღარ გამოხატავენ ამ სურვილს?

ჩვენ ბრძოლას საბჭოთა ხელისუფლების წინააღმდეგ ჰქონდა საერთაშორისო ხასიათი. საჭიროა ამიტომ შევსწყვიტოთ ჩვენი მუშაობა ევროპაშიაც. და თუ ევროპაში მყოფი ამხანაგები განაგრძობენ ევროპის საზოგადოებრივ აზრზე გავლენის მოხდენას ჩვენს სასარგებლოთ და საბჭოთა ხელისუფლების წინააღმდეგ და ძალიან ხშირად დაეყრდნობიან ფრიად გაზვიადებულ ინფორმაციაზე, ასეთი მუშაობა ყოველთვის ჰპოვებს ჩვენში ამა თუ იმ გამოძახილს.

ასეთი მდგომარეობა უნდა შეიცვალოს ძირიან-ფესვიანად.

ჩემის აზრით, ჩვენი მთავარი ამოცანა თავიდანვე მდგომარეობდა იმაში, რომ ჩვენს ანგარიშებს ვაშენებდით ევროპის სახელმწიფოების ამა თუ იმ კომბინაციებზე და უკვე აქედან გამომდინარეობდა ჩვენი ტაქტიკა შინაური ცხოვრებისათვის. ამას ბოლო უნდა მოეღოს ერთხელ და სამუდამოთ.

საჭირო არ არის ასე დიდხანს ვსთვლიდეთ ჩვენს თავს მებრძოლ მხარედ.

ასეთი არანორმალური მდგომარეობის შედეგები ჩვენ თვალწინაა.

რით შეუძლია აანაზღაუროს ქართველმა ხალხმა ამდენი სისხლი და საფლავები, ვის შეუძლია ანუგეშოს ქვრივები და ობლები, ვინ მოსწმინდოს ცრემლებს ჩვენს უბედურ მშობლებს?

ხალხი და მისი ინტერესები, და ამის შემდეგ უკვე ესა თუ ის პოლიტიკური ორგანიზაცია.

ავანტიურების გზა კი მიგვიყვანს სრულ განადგურებამდე.

რაღა საჭიროა მაშინ დამოკიდებული ან დამოუკიდებელი საქართველო ქართველების გარეშე? ეს ხომ მეფის რუსეთის ძველი მოხელეების ოცნებაა.

დამოუკიდებლობის კომიტეტი დაშლილია, მაგრამ ეხლა რიგი ჩვენს ცეკაზეა. მანაც დაუყოვნებლივ უნდა დაშალოს თავისი თავი და თავისი ორგანიზაციები პროვინციებში. ასევე უნდა მოიქცენ სხვა პარტიებიც. მაგრამ, რა თქმა უნდა, ეს მათი საქმეა.

რაც შეეხება ჩვენს ლიდერებს, რომლებიც ამ ჟამად ევროპაში იმყოფებიან, იმათ უნდა გამონახონ ესა თუ ის მოდუსი საბჭოთა ხელისუფლებასთან და დაბრუნდენ სამშობლოში, თუ მათ სურთ სარგებლობა მოუტანონ თავის ხალხს. და აქ, ამ ხალხის გვერდით იმათ უნდა იმუშავონ ქვეყნის კულტურულ და სამეურნეო წარმატების და არა პოლიტიკურ ბრძოლის ნიადაგზე. წინააღმდეგ შემთხვევაში ისინი დარჩებიან ევროპაში, როგორც კერძო პირები.

როგორ მზადდებოდა „აჯანყება" აჭარისტანში

გიზო ანჯაფარიძის ჩვენება

2 სექტ. აჭარისტანის საგანგებო კომისიის თავმჯდომარესთან თავის ნებით გამოცხადდა მენშევიკების ცეკას წარმომადგენელი და აჭარისტანში აჯანყების ორგანიზატორი გიორგი (გიზო) ნესტორის ძე ანჯაფარიძე, რომელმაც თავისი თავი გადასცა საბჭოთა სამსჯავროს.

გიზო ანჯაფარიძე იურისტია, იყო ბათომის ქალაქის თავი, ბათომის ქალაქის საბჭოს თავმჯდომარე, მენშევიკური პარტიის ბათომის კომიტეტის წევრი (პარტიაში ირიცხებოდა 1905 წლიდან), ამიერ-კავკასიის სეიმის წევრი, საქართველოს დამფუძნებელი კრების წევრი და უკანასკნელ დროს ბათომის პარიტეტული კომიტეტის თავმჯდომარე.

დაახლოებით ერთი წლის წინეთ,—აცხადებს ის ჩვენებაში,—ჩვენი პარტიის ცეკამ წინადადება მომცა მე წავსულიყავი აზერბეიჯანში, კიდევ მეტი, ჩრდილოეთ-კავკასიაში,—პარიტეტული კომიტეტის წარმომადგენლის სახით. მაგრამ ჩემმა სულიერმა მდგომარეობამ მაიძულა მე უარი მეთქვა ამ წინადადებაზე.

ჯუღელმა და ბენია ჩხიკვიშვილმა კვირა ნახევრის შემდეგ მათი საქართველოში ჩამოსვლის დღიდან შემეკითხნენ მე, როგორც ძველ სოციალ-დემოკრატს, როგორია ჩემი აზრი საქართველოში შეიარაღებულ აჯანყებაზე, როგორც ფაქტორზე, რომელიც იქონიებს გავლენას ინგლის-საბჭოთა კავშირის მოლაპარაკებაზე. მე მათ პასუხი გავეცი წერილით, რომელშიაც ვწერდი, რომ შეიარაღებული აჯანყება იქნება ისეთი ავანტიურა, რომელიც საბოლოოდ დაღუპავს ჩვენს პარტიას... აჯანყების გამარჯვების იმედი არ არის, ხოლო ქართველი ხალხის სისხლის უმიზნოდ დაღვრა ჩვენს საქმეებში ინგლისის ან კიდევ ვინმესი ჩარევის რაღაც პრობლემატიურ იმედების გულისათვის—დაუშვებელია. ამ წერილზე ჯუღელმა მიპასუხა საყვედურით, რომ მე პესიმიზმს შევეპყარი.

— ორი თვის წინ ჩვენი პარტიის ცეკამ დამავალა მე პარტიული დისციპლინის ძალით კავშირი დამეჭირა სხვა პარტიებთან, რაც მე კიდეც შევასრულე, დავუკავშირდი რა სოციალისტ-ფედერალისტებს და ნაციონალ-დემოკრატებს. შექმნილმა გაერთიანებამ შეადგინა აჭარისტანის პარიტეტული კომიტეტი, რომლის ოფიციალურ წარმომადგენლად ვითვლებოდი მე. აჯანყების სამხედრო ხელმძღვანელობისათვის, — ლაპარაკობს ის,—ქალაქში დაარსდა სამხედრო პარიტეტული ორგანიზაცია, რომელსაც თბილისიდან დანიშნით (ანდრონიკაშვილი) თავმჯდომარეობდა პირველად ვასო ჩიტაიშვილი, მისი დაპატიმრების შემდეგ კი ბიქტორ ცენტერაძე (ეხლა ორთავე დახვრეტილია). ეს ორგანიზაცია იყო დამოუკიდებელი და მას უშუალო კავშირი ჰქონდა თბილისთან, საიდანაც ღებულობდა დირექტივებს და ფულებს.

— მე გადმომცეს, რომ თბილისმა მოითხოვა ბათომში განზრახული აჯანყების შემუშავებული გეგმა და რომ გეგმა შედგენილ იქნა გენერალ ფურცელაძის მიერ (ისიც დახვრეტილია) და გადაგზავნილია თბილისში. 15 აგვისტოსათვის განზრახული აჯანყება, ჯუღელის დაპატიმრების გამო, გადაიდო 29-სათვის. მაგრამ ამ დროს დაპატიმრებულ იქნა ცენტერაძეც. სამხედრო ორგანიზაციის საქმე აიწეწ-დაიწეწა. დაპატიმრებული უნდა შეეცვალა მიხა საბაშვილს, მაგრამ ისიც მალე დაპატიმრებული და დახვრეტილი იქნა. აჯანყების წინა დღით პარიტეტულმა ორგანიზაციამ გადასწყვიტა გადასულიყო ქობულეთში. მე მას არ გავყევი და დავრჩი ბათომში. მალე გაირკვა, რომ აჯანყება ჩაიშალა და ორგანიზატორები დახვრეტილ იქნენ. მაშინ მე გადავსწყვიტე ნებაყოფლობით გამოვცხადებულიყავი „ჩეკა"-ში.

მშრომელთა საერთო აღშფოთება და მრისხანე პროტესტი

ქართველ ექიმთა კრება

საქართველოს მედსანშრომის კავშირის დარბაზში 6 ენკენისთვეს, საღამოს 8 საათზე შესდგა საზოგადო კრება თბილისის ქართველი ექიმებისა, მოწვეული საინიციატივო ჯგუფის მიერ. კრებას დაესწრო 150 წევრამდე.

კრების დღის წესრიგი იყო შემდეგი:

1. მოხსენებები მომენტის შესახებ:
2. დელეგატების არჩევნები სრულიად საქართველოს ინტელიგენციის მომავალ კონფერენციისათვის.

მომხსენებლად გამოვიდენ ექიმები: გ. ყორჩიბაში და ჩალიძე.

მომხსენებლები მოუწოდებდნენ კრებას, რათა დაჰგმონ და ზიზღი გამოუცხადონ მათ, ვინც გაბედა საზიზღარი გამოსვლების მოწყობა საბჭოლისუფლების წინააღმდეგ.

მოხსენების გამო კრებამ ერთხმად გამოიტანა შემდეგი რეზოლიუცია: თბილისის ქართველ ექიმების კრებამ, მოისმინა რა მოხსენებანი საქართველოს სხვადასხვა კუთხეებში მომხდარ შეიარაღებული გამოსვლების შესახებ, დაადგინა:

ქალ. თბილისის საერთო კრება გმობს გამოსვლებს, რომელთაც ჰქონდათ ადგილი საქართველოში ამ უკანასკნელ დღეებში. ეს გამოსვლები კრებას მიაჩნია შემცდარად და ქართველ ხალხის გამანადგურებელ ნაბიჯებათ.

კრება აცხადებს, რომ არსებული ხელისუფლება იძლევა ფართე სარბიელს კულტურულ-ნაციონალურ მუშაობისათვის და ამიტომ მოუწოდებს საქართველოს ინტელიგენციას საერთოდ და კერძოთ საქართველოს ექიმებს ხელი შეუწყონ საბჭოთა ხელისუფლებას აღმშენებლობით მუშაობაში.

სრულიათ საქართველოს ინტელიგენციის კრებისათვის ქართველ ექიმებთა წარმომადგენლად არჩეული არიან: მეუნარგია, ვეფხვაძე, დევიძე, ლამბაროვი და გედევანიშვილი.

სასტიკი სასჯელი ბანდიტებს

კოოპერატიულ საზოგადოება „კახეთი-ს“ მუშა-მოსამსახურეთა ხმა

შაბათს, სექტემბრის 6-ს შესდგა კოოპერატიულ საზოგადოება „კახეთი“-ს მუშა-მოსამსახურეთა საერთო კრება საქართველოში მომხდარ ავანტიურისტულ გამოსვლების გამო.

ამხ. პარ. გელაშვილის საინფორმაციო მოხსენების შემდეგ სიტყვები წარმოსთქვეს უპარტიო ამხანაგებმა, რომლებმაც სასტიკათ დაჰგმეს ეს უგუნური მენშევიკური ავანტიურა. კრების მიერ მიღებულ იქნა შემდეგი რეზოლიუცია:

„კოოპერატიულ საზოგად. „კახეთი“-ს უპარტიო მუშა-მოსამსახურეთა საერთო კრებამ, მოისმინა რა მოხსენებები ამხ. პარმენ გელაშვილის და უპარტიო ამხანაგებისა, სასტიკად გმობს უგუნურ მენშევიკურ ავანტიურას, რომელსაც არავითარი კავშირი არა ჰქონდა ქართველ მშრომელ ხალხთან და მხოლოდ ავანტიურისტული გზით ჩაითრიეს ზოგიერთი შეუგნებელი და გაურკვეველი ელემენტები ამ თავალებულ გამოსვლებში, რამაც გამოიწვია უაზრო სისხლის ღვრა და რასაც შეეძლია განადგურებამდე მიეყვანოს ქართველი ხალხი.

ჩვენ, მუშები და მშრომელი ინტელიგენცია, ვგმობთ რა ასეთ უგუნურ ბანდიტურ გამოსვლას, ყოველთვის მზად ვართ ხელი შეუწყოთ საბჭოთა ხელისუფლების ეკონომიურ და კულტურულ მშენებლობას, რომელიც ააყვავებს ჩვენ ქვეყანას და უზრუნველყოფს ქართველი ხალხის კეთილდღეობას.

ჩვენ მოვითხოვთ, რომ საბჭოთა ხელისუფლებამ სასტიკი ზომები მიიღოს ბანდიტურ გამოსვლების მეთაურთა მიმართ.

კრების თავმჯდომ.: პ. გელაშვილი.
მდივანი: მ. ლოლობერიძე.

მზათა ვართ ბანდიტიზმთან ბრძოლისათვის

„მწყემსი“-ს და „ქართლი“-ს მუშა-მოსამსახურეთა საზოგადო კრება

8 სექტემბერს მოხდა მეცხვარეთა ამხ. „მწყემსი“-ს და „ქართლი“-ს მუშა-მოსამსახურეთა საზოგადო კრება. კრების თავმჯდომარეთ ერთხმად არჩეული იქმნა ამხ. გრ. ჰოჭუა, მდივნათ გ. მაჭარაშვილი. დღის წესრიგში იდგა ამხ. მ. ცინცაძის მოხსენება: „საქართველოს ზოგიერთ კუთხეებში მომხდარ ავანტიურისტული გამოსვლების შესახებ“. თავმჯდომარე კრებას აცნობს, რომ ზოგიერთი ადგილებში ბანდიტებთან ბრძოლაში დაეცა რამოდენიმე ამხანაგი. კრებამ მათ ხსოვნას პატივი სცა ფეხზე ადგომით.

ამხ. ცინცაძის მოხსენების შემდეგ გამოტანილ იქნა რეზოლიუცია, რომელშიაც ნათქვამია: „მწყემსის“ და „ქართლის“ მუშა - მოსამსახურეთა კრებამ, მოისმინა, რა მოხსენება მენშევიკური ავანტიურის შესახებ, გამოსთქვამს თავის უდიდეს აღშფოთებას ხალხის არამკითხე ჭირისუფლების, თავად-აზნაურების, სამღვდელოების და ვაჭრების უკანასკნელ გამოსვლით მუშათა და გლეხთა ხელისუფლების წინააღმდეგ, გამოვსთქვამთ ჩვენ გულის წყრომას და ზიზღს უცხადებთ საერთაშორისო კაპიტალის მოციქულებს, ბურჟუაზიის და თავად-აზნაურების მიერ მოსყიდულ მენშევიკურ პარტიას. პარტიას, რომელიც მეორე ინტერნაციონალის მეთაურობით ევლინება დღეს მსოფლიოს როგორც უბინძურესი რეაქციონური ძალა.

მოვითხოვთ, რომ ღირსეული სასჯელი მიესაჯოს მენშევიკურ გამოსვლებში მონაწილეთ და არავითარი ლმობიერობას მათ მიმართ არ ექნეს ადგილი. არსებული ხელისუფლების პირველ დაძახებისთანავე ჩვენ მზად ვართ დავირაზმოთ მენშევიკ ბანდიტების წინააღმდეგ.

ძირს მუშათა კლასის მოღალატე მენშევიკ ბანდიტები.

გაუმარჯოს კომპარტიას და საბჭოთა ხელისუფლებას.

შორს ჩვენგან ავანტიურისტები

რკინისგზელთა ხმა

5 სექტემბერს 1924 წ. შესდგა გარდაბანის, ველის და სხვა სადგურების მუშა-მოსამსახურეების საერთო კრება, რომელზედაც მოსმენილ იქნა ამხ. ლუტიძის და სხვა ამხანაგების მოხსენებები საქართველოს ზოგიერთ ადგილებში მენშევიკ-ავანტიურისტების გამოსვლის შესახებ.

გამოტანილ იქნა შემდეგი შინაარსის რეზოლიუცია: „მოვისმინეთ რა მოხსენება ამხ. ლუტიძის და აგრეთვე სხვა ამხანაგებისა საქართველოს მშრომელი ხალხის დამღუპველ მენშევიკ-ბანდიტების მიერ მოწყობილი გამოსვლების შესახებ, ჩვენ გამოვსთქვამთ დიდ აღშფოთებას და გულისწყრომას მათ მიმართ.

საზიზღარმა მენშევიკურმა პარტიამ ერთხელ კიდევ ნათლად გამოააშკარავა მშრომელი ხალხისადმი თავისი მოღალატეობა და გამცემლობა.

მოვითხოვთ საბჭოთა მთავრობისგან სასტიკ და გადამჭრელ ზომებს მენშევიკ-ბანდიტთა წინააღმდეგ.

ძირს ყვითელი ინტერნაციონალი.

გაუმარჯოს საბჭოთა ხელისუფლებას.

გაუმარჯოს ლენინიზმს“.

მკაცრად მოვეპყრათ მოღალატეებს

მეტეხის ხიდის მუშებისაგან

1924 წ. სექტემბრის 6-ს მოვისმინეთ რა მოხსენება ამხ. ს. თოდრიასი მენშევიკების და მათი დამქაშების მოქმედების შესახებ, ჩვენ, მეტეხის ხიდზე მომუშავე 250 მუშა ზიზღს უცხადებთ ხალხის ყველა მოღალატეებს და ვსთხოვთ მუშურ-გლეხურ ხელისუფლებას სასტიკი ბრძოლა აწარმოვოს მათ წინააღმდეგ. მოღალატეები ერთხელ და სამუდამოთ უნდა მოშორდნენ მშრომელთ.

დაუნდობელი ბრძოლა მენშევიკებს და ყველა ჯურის კონტრ-რევოლიუციონერებს.

გაუმარჯოს მშრომელი ხალხის დიქტატურას.

გაუმარჯოს წითელ არმიას. რევოლიუციის ერთგულ დარაჯს.

ახალქალაქის რაიონი

ახალქალაქის მრავალრიცხოვანმა მიტინგმა მოისმინა ამხ. ს. თოდრიას მოხსენება კონტრ-რევოლიუციონურ პარტიების ყაჩაღურ გამოსვლების შესახებ. ამ გამოსვლებმა ნათლად დაგვანახა კონტრ-რევოლიუციონური ბუნება მენშევიკების, ფედერალისტების და ეროვნულ-დემოკრატიების პარტიების და მათ ამყოლ თავად-აზნაურობის, ვაჭრების და მღვდლების.

მიტინგი ზიზღს უცხადებს ყველას, ვინც მოიყარა თავი შავრაზმულ პარიტეტულ კომიტეტის გარშემო; ყველა მას, ვინც მოინდომა დაერღვიათ მშრომელი ხალხის მყუდრო ცხოვრება.

მშრომელმა ხალხმა იცის, თუ რას ნიშნავს მათი ბატონობა და ამიტომ არავის მისცემს ნებას იარაღი აღმართოს არსებულ ხელისუფლების წინააღმდეგ.

მიტინგი მოუწოდებს მუშათა და გლეხთა მთავრობას მიიღოს უსასტიკესი ზომები ნაძირალების მოსასპობათ.

მშრომელი ხალხი მუდამ მუშათა და გლეხთა მთავრობასთან იქნება.

ზიზღი მშრომელ ხალხის მტრებს და მე-2 ინტერნაციონალს, რომლის ლოცვა - კურთხევითაც მოქმედობენ მშრომელი ხალხის მტრები.

გაუმარჯოს საბჭოთა ხელისუფლებას და მის სასტიკ ბრძოლას კონტრ-რევოლიუციის წინააღმდეგ.

გაუმარჯოს მე-3 კომინტერნს.

კავთისხევი

მენშევიკებმა და თავად-აზნაურობამ კიდევ ერთხელ სცადეს მშრომელი ხალხის დამონავება და მის კისერზე უღლის დადგმა. ისინი შეეცადენ დაებრუნებიათ დაკარგული ბატონობა. მაგრამ ვერ შესძლეს.

ჩვენ, კავთისხევის რაიონის მშრომელი გლეხობა ვსთხოვთ მუშურ-გლეხურ ხელისუფლებას დაუნდობელი და სასტიკი ზომები მიიღოს ყველა იმ ხალხის მტრებთან, რომლებმაც დაარღვიეს მშრომელთა მყუდროება, წყევლა-კრულვით ვიხსენიებთ მშრომელი ხალხის მოღალატეებს.

გაუმარჯოს ჩვენს მუშურ-გლეხურ ხელისუფლებას.

გაუმარჯოს ჩვენ სახელოვან წითელ არმიას.

თავმჯდომარე ხ. ქსოველაშვილი.

გაზ. „კომუნისტის“ რედაქციას

ამით ვაცხადებთ, რომ ჩამოვედით თბილისში და უერთდებით სახელმწიფო უნივერსიტეტის პროფესორების მიერ გამოქვეყნებულ დეკლარაციას.

ლექტორი ილია ყიფშიძე.
ასისტენტი ვასილ ყიფშიძე.

10 სექტ. 1924 წ ქ. ტფილისი.

—

გთხოვთ ქართულ უნივერსიტეტის პროფესორებს დეკლარაციას ჩემი ხმაც შეუერთოთ.

პროფ. გ. ლამბარაშვილი.

10 სექტ. ტფილისი.

იმპერიალისტების თავდასხმა ჩინეთზე

პეკინის მთავრობამ ომი გამოუცხადა სუნ-იატ-სენს

კანტონის მუშები სუნ-იატ-სენს უჭერენ მხარს

იმპერიალისტებმა შანხაი ნეიტრალურათ გამოაცხადეს

„ფრთხილად ინგლისელო, ფრანგო, იაპონელო და ამერიკელო ბანდიტებო“

სუნ-იატ-სენს ომი გამოუცხადეს

პრეზიდენტის დეკრეტი

პეკინი. 9 სექტ. ჩინეთის პრეზიდენტის დეკრეტით ოფიციალურად გამოცხადებულია ომი ჩრდილოეთ და სამხრეთ ჩინეთს შორის.

დეკრეტში ნათქვამია, რომ გენერლები ლუ-იუნგ-სიანი და ხო-ფენ-ლი შანხაის კომენდანტი, ითვლებიან გადაყენებულად თანამდებობიდან, ყველა ტიტულების და ორდენების ჩამორთმევით. მარშალ ჩი-სი-უანს ევალება ჯარების მოგროვება და „დამსჯელი ექსპედიციის“ გამოყენება აჯანყების ჩასაქრობად. ჩინეთის პრეზიდენტმა წინადადება მისცა მარშალს რაც შეიძლება ჩქარა დაამთავროს ოპერაციები და მიიღოს წინასწარი სიფრთხილის ზომები ჩინელების და უცხოელების სიცოცხლის და ქონების დასაცავად.

დეკრეტში ნათქვამია, რომ თუ აჯანყებული ჯარები დაგვემორჩილებიან, მათ პრეზიდენტი აპატიებს დანაშაულს.

იმპერიალისტების წინააღმდეგ

პეკინი. 9 სექტ. თუმცაღა 7 სექტემბერი პეკინში აღნიშნული იყო, როგორც ეროვნული სირცხვილის დღე, მაგრამ ომის გამოცხადების გამო გაზეთები გამოვიდა. პოლიციამ აკრძალა მიტინგები.

აგიტატორებმა გაავრცელეს ქუჩებში შემდეგი შინაარსის პროკლამაციები:

„ჩვენ, ჩინეთის მოქალაქეები, მოგმართავთ თქვენ, უცხოეთის დიპლომატებო და მოქალაქენო, გაფრთხილებით, რომ ჩინეთის ხალხს შემდეგში აღარ შეუძლია მოითმინოს რაიმე იძულებითი და დამამცირებელი მოქმედება თქვენი მთავრობების მხრივ. ჩვენი მოთმინების ფიალა აივსო. ვაი თქვენ, თუ არ აიღებთ ხელს იმ ხელშეკრულებებზე, რომლებიც აღრჩობენ ჩინეთს.

დღეს ჩინეთის ხალხი პროტესტს აცხადებს 1901 წლის ოქმის წინააღმდეგ, რომელიც წარმოადგენს ჩინეთის შეურაცხყოფის და მასზე ძალდატანების წყაროს. ჩვენ მოვითხოვთ პატივისცემას ჩვენი კანონებისადმი, კონცესიების გაუქმებას შანხაიში ტიან-ტზინში და სხვა ადგილებში და იქ ჩინეთის საბაჟოების აღდგენას. თქვენ არ უნდა დაახშოთ თქვენი საბაჟო ტარიფებით ჩვენი ნორჩი მრეწველობა.

თქვენ უნდა გაიყვანოთ თქვენი ჯარები პეკინიდან. თქვენ ქურდები და ყაჩაღები არა ხართ, რატომ გეშინიათ ჩინეთის ხალხის? თქვენ არ უნდა ჩაერიოთ ჩვენს შინაურ პოლიტიკაში, ბრძოლაში, რომელიც სწარმოებს ჩინეთის შიგნით. თუ თქვენ არ მოგწონთ, მიბრძანდით ჩვენი ქვეყნიდან.

ფრთხილად, ინგლისის, იაპონიის და საფრანგეთის ბანდიტებო! ანგარიშის გასწორების ჟამი ახლო არის. თუ თქვენ ხელს არ აიღებთ ძალადობის პოლიტიკაზე და 1901 წლის ხელშეკრულებაზე, თქვენ ვერ გიშველის ვერც მაღალი კედელი დიპლომატიური კვარტალის და ვერც თქვენი ჯარები“

შანხაის ნეიტრალიზაცია

შანხაი ნეიტრალურად არის გამოცხადებული

პეკინი. 9 სექტ. ევროპის სახელმწიფოებმა გაუგზავნეს ჩინეთის მთავრობას განმეორებითი ნოტა, რომელშიაც მოითხოვენ უცხოელების ინტერესების დაცვას შანხაიში.

ჩინეთის მთავრობის თანხმობის მიღებამდე, უცხოეთის გემების უფროსებმა შანხაი და ნავთსადგური ვუ-ზუნი გამოაცხადეს ნეიტრალურ ზონად, სადაც მებრძოლ მხარეებს სასტიკად ეკრძალებათ შესვლა.

საომარი მოქმედება

სუნ-იატ-სენის ჯარები მედგრად არიან.

პეკინი. 9 სექ. მარშალმა ჩი-სიუანმა სამჯერ მიიტანა იერიში ზღვის ნაპირის მთავარ პუნქტზე—ლი-უ-ხოზე. მაგრამ იერიში უნაყოფოდ დარჩა. თუ ჩრდილოეთის ჯარები დაიკავებენ ლი-უ-ხოს, მაშინ საომარ ოპარაციებში შესაძლებელი იქნება მათი ფლოტის მონაწილეობაც.

ლუ-იუნგ-სიანმა გაუგზავნა სუნ-იატ-სენს და სამხრეთ ჩინეთის სხვა ხელმძღვანელებს თხოვნა დახმარების შესახებ.

მანჯურიაში.

მანჯურიის გუბერნატორის ჩან-ცზო-ლინის პოზიცია ჯერ კიდევ არ არის გამორკვეული. მაგრამ გაზეთები იტყობინებიან, რომ გაფაციცებული მზადებაა მუკდენში. ჯარები თავს იყრიან სამხრეთის საზღვარზე.

ფაშისტების გენერალის პროვოკაცია.

ჩრდილოეთის არმიის მთავარ-სარდალი მარშალი ჩი-სი-იუანი მიმართავს პროვოკაციულ მეთოდებს, აქვეყნებს პროკლამაციებს, რომლებშიაც ლუ-იუნგ-სიანის ჯარისკაცებს აღუთქვამს ჯილდოთ 50,000 დოლარს თვითეულს, თუ ისინი ცოცხალს ან მკვდარს ჩააბარებენ მათ ბელადებს. დიდ თანხებს ჰპირდება აგრეთვე პოლკების გაცემაშიაც. ჩი-სი-იუანის ჯაშუშები ცდილობენ მოწინააღმდეგის ფრონტის იქითა ხაზზე ხიდების აფეთქებას.

ხარბინში

პეკინი. 9 სექ. ჩინეთის პრეზიდენტის მიერ ომის გამოცხადების გამო, ხარბინიდან ყოველდღე იგზავნება ფრონტზე ეშელონები.

ჩინეთის დოლარი შეუჩერებლად ეცემა.

რუსეთის თეთრგვარდიელი ოფიცრები შედიან სამსახურში ჩან-ცზოლინის ჯარებში.

პანიკა ნანკინში.

პეკინი. 9 სექ. პეკინის ოფიციალური ცნობა გამარჯვებულად სთვლის მარშალ ჩი-სი-იუანის ჯარებს; მეორე მხრით ლუ-იუნგ-სიანი აცხადებს, რომ გამარჯვება მის მხარეზეა.

ნანკინიდან ჩამოსული მგზავრები იტყობინებიან, რომ იქ საშინელი პანიკაა, ფრონტზე არასასურველი მდგომარეობის შექმნის გამო.

ბრძოლა შანხაისთან.

ბერლინი, 9 სექ. კიდევ იტყობინებიან, რომ შანხაის მახლობლად სწარმოებს სასტიკი ბრძოლები.

სუნ-იატ-სენის ძალები იზრდება.

ბერლინი. 10 სექ. მას შემდეგ, რაც მუკდენის გუბერნატორმა უარი განუცხადა პეკინის მთავრობას მორჩილებაზე, და შეუერთდა სუნ-იატ-სენს პეკინის წინააღმდეგ საბრძოლველად, მთელი ჩინეთი ჩათრეულია სამოქალაქო ომში.

კანტონის მუშების დეპეშა

მუშები სუნ-იატ-სენის მხარეზე არიან

პეკინი, 9 სექტ. კანტონის მუშათა ორგანიზაციებმა დაუგზავნეს ჩინეთის სხვა ქალაქების მუშათა ორგანიზაციებს ცირკულიარული დეპეშა, რომელშიაც ისინი აცხადებენ, რომ სავსებით ემხრობიან სუნ-იატ-სენს მისს ბრძოლაში ჩინეთის კონტრ-რევოლიუციონერების და უცხოეთის იმპერიალისტების წინააღმდეგ.

ჩვენ და უცხოეთი

ინგლისი

ინგლის-საბჭოთა ხელშეკრულების დასაცავად.

ლონდონი 10 სექ. „ტაიმსი“-სადმი მიწერილ ღია ბარათში იუსტიციის **მინისტრი ხლესერი აღნიშნავს, რომ ინგლის-საბჭოთა კავშირის ხელშეკრულება აძლევს რუსეთის ფასიან ქაღალდების მეპატრონეთ გონივრულ გარანტიებს.**

გენერალურ ხელშეკრულების სხვადასხვა მუხლების დეტალურად გარჩევის შემდეგ მინისტრი აცხადებს: ინგლისის ვერც ერთი მთავრობა ვერ შესძლებდა უფრო უკეთეს პირობების მიღწევას, ვიდრე ის პირობები, რომელზედაც საბჭოთა მთავრობა დასთანხმდა.

ნორვეგია

რწმუნების სიგელის გადაცემა ამხ. კოლონტაის მიერ.

ქრისტიანია. 9. სექ. საბჭოთა კავშირის საგანგებო ელჩმა ნორვეგიაში ამხ. კოლონტაიმ გადასცა ნორვეგიის მეფეს რწმუნების სიგელი. მეფის მიერ მიღების ცერემონია სწარმოებდა ჩვეულებრივი წესით

ინგლისელ ბანკირების ახალი მემორანდუმი

ლონდონი. 9 სექტემბერი. რუსეთის ინგლისელ კრედიტორების ასოციაციის „ალმასკომმა“ მიიღო შემდეგი რეზოლიუცია:

„ასოციაცია წინადადებას აძლევს პარლამენტს არ დაამტკიცოს ხელშეკრულებები, რომლებიც ხელმოწერილია საბჭოთა კავშირის მიერ, ვინაიდან ეს ხელშეკრულებები არ უზრუნველყოფენ კომპენსაციებს იმ ზარალისათვის, რომელიც მიაყენეს ინგლისელ ქვეშევრდომებს, არღვევენ მათ უფლებებს, ხელს უშლიან სავაჭრო ურთიერთობის განახლებას ორივე სახელმწიფოს შორის და ანიჭებენ ყოვლად გაუმართლებელს და ახიფათო პრივილეგიებს საბჭოთა მთავრობასთ“.

ამასთან ერთად ასოციაციის ალმასკომმა გამოაქვეყნა განცხადება, რომელშიაც ნათქვამია, რომ როგორც კი მან მიიღო ცნობა ინგლის-საბჭოთა კავშირის მოსალოდნელ კონფერენციის შესახებ, მან გაუგზავნა ინგლისის პრემიერს და ვაჭრობის მინისტრს მემორანდუმი, რომელშიაც იმედს გამოსთქვამდა, რომ მთავრობა შესძლებდა სამართლიანად დაეკმაყოფილებია პრეტენზიები ინგლისელ მესაკუთრეების და იმ სესხია მეპატრონეების, რომლებიც გააუქმა საბჭოთა მთავრობამ.

„ალმასკომი მწუხარებას გამოსთქვამს,—ნათქვამია განცხადებაში,— რომ მემორანდუმში გამოთქმული იმედი არ გამართლდა. ინგლისელ კრედიტორებს უდიდესი ზიანი მიაყენა მათი უფლებების უარყოფამ, რომელიც აღნიშნულია ხელშეკრულების 6 მუხლში, რომელიც ლაპარაკობს, რომ **ინგლისის მთავრობა, საბჭოთა კავშირის მძიმე ფინანსიური და ეკონომიური მდგომარეობის გამო, განუხორციელებლად სცნობს პრეტენზიების სრულ დაკმაყოფილებას.**

საბჭოთა მთავრობის მონოპოლიის ცნობა საგარეო ვაჭრობაში და აგრეთვე საბჭოთა კავშირის კომერციული წარმომადგენლებისათვის დიპლომატიური იმუნიტეტის მინიჭება სპობს იმის შესაძლებლობას, რომ, ხელშეკრულების რატიფიკაციის შემთხვევაში, რუსეთში დაბრუნდენ კომერსანტები, რომელთაც წინათ ჰქონდათ იქ საქმეები. საბჭოთა მთავრობას ეძლევა უდიდესი უპირატესობანი: ინგლისის კომერსანტები კი მოკლებული არიან სათანადო პრივილეგიებს“.

„ალმასკომის“ აზრით, საბჭოთა კავშირის სესხის უზრუნველყოფა ნიშნავს იმას, რომ ის თანხები, რომლებიც უნდა მიეცეს ინგლისელ ქვეშევრდომებს მათი პრეტენზიების დასაკმაყოფილებლად, ფაქტიურად გადახდილი იქნება ინგლისელ გადასახადების გადამხდელთა ჯიბეებიდან და ამრიგად, იმ ზარალის სიმძიმე, რომელიც გამოწვეულია საბჭოთა მთავრობის მოქმედებით, კისერზე დააწვება ინგლისის სახელმწიფოს.

ბრძოლა მაროკოში

გენერალი დე-რივერა მაროკოში გაემგზავრა.

ბრძოლა ტეტუანთან

ესპანეთის ჯარები უწესრიგოთ გარბიან.

სერიოზული მდგომარეობა

რომი. მაროკოში შექმნილი სერიოზული მდგომარეობის გამო, მადრიდში მეფის თავმჯდომარეობით შესდგა მინისტრთა საბჭოს საგანგებო სხდომა.

დიქტატორი ტეტუანში

პარიზი. 9 სექტემბერი. გენერალი პრიმო-დე-რივერა ქ. ტეტუანში (მაროკკო) ჩავიდა.

აჯანყებულები თავს დაესხნენ უცხოეთის ლეგიონს, რომელიც ძლიერ დაზარალდა.

დე-რივერას მოწოდება

პარიზი. 9 სექტემბერი. დე-რივერამ მოწოდებით მიმართა ესპანეთის ჯარებს. გენერალი მოუწოდებს მათ მამაცათ ეკვეთონ მტერს. გენერალი აცხადებს, რომ დარჩება ტეტუანში, სანამ აჯანყებულები დამარცხებულნი არ იქნებიან.

უწესრიგოთ... გარბიან

ლონდონი. 9 სექტემბერი. ტეტუანიდან მიღებული ცნობებით, ესპანეთის ჯარებმა ღამით უწესრიგოთ დაიხიეს თავის პოზიციებიდან.

ესპანელების სრული დამარცხება

პარიზი. 9 სექტემბერი. მდგომარეობა მაროკოში ძლიერ გართულდა. ესპანეთის ჯარები უწესრიგოთ გარბიან. ქალაქები ტეტუანი და ტანჟერი ალყაშემორტყმულია აჯანყებულების მიერ.

ფრანგული ჭორები

პარიზი. 9 სექტემბერი. საფრანგეთის ზოგიერთი გაზეთები ამტკიცებენ, რომ აბდულ-ქერიმის ჯარებს ხელმძღვანელობენ გერმანელები და რომ იარაღსაც აჯანყებულებს გერმანია აწვდის.

პანების სამეფოში

პრეზიდენტი ვოიცეხოვსკი ლვოვში.

უკრაინელ საზოგადო მოღვაწეების დაპატიმრება.

მუშებისა და კომკავშირელების დევნა.

ტერორი პოლონეთში

ვარშავა, 9 სექ. ლუცკიდან იუწყებიან, რომ პოლიცია მასიურად აპატიმრებს ახალგაზრდობას. დაპატიმრებულია 40 კაცი, რომელთაც ბრალად ედებათ ახალგ. კომკავშირის წევრობა.

დომბროვოს რაიონში ადგილი აქვს მუშების სისტემატიურ დაპატიმრებას.

სლონიმის ციხეში დაპატიმრებული 17 პოლიტიკური პატიმარი გადაეცა სამხედრო-საველე სასამართლოს. გაქცევის განზრახვისათვის ბრალდებულებს მოელით სიკვდილით დასჯა.

„რაბოტნიკი“ პროტესტს აცხადებს პოლიტიკურ პატიმრებისადმი მკაცრი მოპყრობის წინააღმდეგ.

ლვოვის ბაზრობის გახსნა.

ვარშავა, 9 სექ. ზეიმით გაიხსნა ბაზრობა ლვოვში. გახსნას დაესწრო საბჭოთა კავშირის სრულუფლებიანი წარმომადგენელი პოლონეთში ამხ. ობოლენსკი, რომელსაც დიდი პატივისცემით შეხვდენ ადგილობრივი და ცენტრალური ხელისუფლება

ვოიცეხოვსკი ლვოვში.

ვარშავა, 9 სექ. ლვოვში პოლონეთის პრეზიდენტის ვოიცეხოვსკის ჩასვლის გამო, ქალაქში თავმოყრილი იქნა პოლიციის ძალები მეზობელ რაიონებიდან. რკინის გზის ხაზს, რომლითაც პრეზიდენტი მიემგზავრებოდა, იცავდა პოლიციის და ჯარების გაძლიერებული რაზმები. პოლონეთის სოც. პარტიის ლვოვის ორგანო „გაზეტა ლუდოვა“-მ პროტესტის ნიშნად არ მოათავსა ანგარიში ვოიცეხოვსკის ჩამოსვლის შესახებ.

პოლონეთის პრეზიდენტზე თავდასხმის გამო დაპატიმრებული შტეიგერი უარყოფს თავის მონაწილეობას თავდასხმაში.

პრეზიდენტის მიერ უკრაინულ ეკლესიის დათვალიერების დროს პროტესტის ნიშნად იქ არავინ არ დახვდა. უკრაინის მცხოვრებლები დემონსტრატიულად არ იღებენ მონაწილეობას პრეზიდენტის საპატივცემლოთ გამართულ ზეიმში. ვოიცეხოვსკის ჩამოსვლის წინა დღით პოლიციამ დააპატიმრა უკრაინის ყველა აქტიური მოღვაწენი ლვოვში.

„პასუხისმგებლობა“ ომისთვის

გერმანიის დეკლარაცია ომისათვის პასუხისმგებლობის შესახებ

ბერლინი. 9 სექტ. გერმანიის მთელი საზოგადოებრივი აზრი დიდ ყურადღებას აქცევს დე-მარჟერის (საფრანგეთის ელჩი გერმანიაში) ოფიციალურ მიმართვას მალცანისადმი; მიმართვა ეხება მოკავშირეებისათვის გერმანიის ნოტის მოსალოდნელ ოფიციალურ გადაცემას ომისათვის პასუხისმგებლობის შესახებ. დე-მარჟერიმ მიუთითა იმაზე, რომ ასეთი გამოსვლა „სრულებით არ არის დროული“. ანტანტის დანარჩენ ელჩებსაც აქვთ მოლაპარაკება მალცანთან ნოტის საკითხის შესახებ.

მარქსი და შტრეზემანი დაბრუნდებიან ბერლინში შვებულების გათავებამდე. ამ დღეებში შესდგება გერმანიის მინისტრთა საბჭოს სხდომა ნოტის საკითხის განსახილველად. გერმანიის ხელისუფლების ბრძანებით, პრესა სდუმს მარქსის უკანასკნელი წერილის გამო ერიოსა და მაკდონალდის მიმართ. გერმანიის მთავრობის საქციელი ნებას გვაძლევს ვიფიქროთ, რომ მოკავშირე მთავრობებისათვის ნოტის გადაცემა ომისათვის პასუხისმგებლობის შესახებ არ მოხდება.

პარიზი. 9 სექტ. საფრანგეთის პრესა ერთსულოვნად ჰკიცხავს გერმანიის მთავრობას მოკავშირეებისათვის დეკლარაციის გადაცემის განზრახვის გამო. მთავრობის პრესა იმედს გამოსთქვამს, რომ „ეს უდიდესი შეცდომა“ არ იქნება დაშვებული იმ დროს, როდესაც ევროპა იმყოფება დამშვიდების გზაზე.

რა ხდება იტალიაში

ოპოზიცია ფაშისტების წინააღმდეგ იზრდება.

მუსოლინის სასახლის წინ ქალებმა დემონსტრაცია მოაწყვეს.

ფლორენციაში ფაშისტების კომიტეტის ბინაზე ბომბა გასკდა.

ქალების მანიფესტაცია

პარიზი, 10 სექტ. რომში მუსოლინის სასახლის წინ გაიმართა ქალების მანიფესტაცია. ქალები მოითხოვდენ მშვიდობიანობის აღდგენას სახელმწიფოში. პოლიციამ გაჰფანტა მანიფესტანტები.

ბომბა ფაშისტების შენობაში

პარიზი, 9 სექტ. ფლორენციაში, ფაშისტების კომიტეტის ბინაზე გასკდა ბომბა. მოკვდა ორი ფაშისტი.

მუსოლინი ხალხს აშვიდებს.

რომი. 9 სექტ. იტალიის მთავრობამ გამოაქვეყნა ცნობა, რომელშიაც აცხადებს, რომ ფაშისტების მოქმედებამ არ უნდა გამოიწვიოს არავითარი მღელვარება, ვინაიდან მთავრობას მტკიცედ აქვს [illegible] ყოველგვარი ცდა, რომელიც მიმართულია საზოგადოებრივი წესრიგის დარღვევისაკენ.

წვრილი ბურჟუაზია ფაშისტების წინააღმდეგ.

რომი. 9 სექტ. „ლეგალური ოპოზიციის“ ჯგუფმა, რომელსაც ხელმძღვანელობს დეპუტატი ამენდოლა, დაარსა სამხრეთ იტალიაში კავშირი, რომელიც მიზნად ისახავს რეჟიმით უკმაყოფილო ქალაქის და სოფლის წვრილ-ბურჟუაზიულ წრეების გაერთიანებას. კავშირი ემყარება უმთავრესად ანტი-ფაშისტურ განწყობილებაზე, რომელიც სტიქიურად ძლიერდება სამხრეთ-იტალიის გლეხებს შორის.

დამონებულ გერმანიაში

რურის საზღვარზე მოკავშირეთა საბაჟოები მოიხსნა.

მოკავშირეთა სამხედრო კომისიამ გერმანიაში განაახლა მუშაობა.

ნიუ-იორკში გაიმართა თათბირი გერმანიისათვის სესხის შესახებ.

სამხედრო კომისია მუშაობს

პარიზი, 9 სექ. სარეპარაციო კომისიამ წინადადება მისცა მოკავშირეთა სამხედრო-საკონტროლო კომისიას დაათვალიეროს გერმანიის სამხედრო ფაბრიკა-ქარხნები.

რამდენი გადაიხადა გერმანიამ

[illegible], 9 სექტ. ინგლისის ოფიციალური ცნობის თანახმად გერმანიამ სამხედრო ზარალის ასანაზღაურებლად ინგლისელ მოქალაქეებს გადაუხადა 70 მილიონი გირ. სტერლინგი. ამ თანხიდან 24 მილიონი ინგლისს მიღებული აქვს ნაღდათ, დანარჩენი კი საქონელით.

საზღვარის გახსნის შემდეგ.

ბერლინი 10 სექტ. გუშინ ღამით, როგორც კი გაუქმებული იქნა საბაჟო საზღვარი რურსა და დანარჩენ გერმანიას შორის დაიწყო საქონლის არაჩვეულებრივი შემოზიდვა.

გერმანიის მბრძანებლები.

პარიზი 10 სექტ. როგორც ნიუ-იორკიდან იუწყებიან, იქ მომავალ კვირაში გაიმართება თათბირი მორგანსა და ინგლისის ბანკის დირექტორის ნორმანს შორის. თათბირი განიხილავს გერმანიისათვის მისაცემ სესხის საკითხს.

განიარაღების კომისია მუშაობს.

პარიზი 9 სექტ. ერთა ლიგის კომისიამ, რომელსაც დავალებული აქვს განიარაღების საკითხის მოგვარება, დაადგინა გამართოს საერთო დისკუსია თავდასხმის შემთხვევაში ურთიერთ დახმარების პროექტის (საგარანტიო ხელშეკრულება) შესახებ.

იტალიის წარმომადგენელმა შანცერმა განაცხადა, რომ იტალია, რომელიც შესაძლებლად სთვლის „უშიშროების“ პრობლემის გადაჭრას მხოლოდ ერთი საერთო ხელშეკრულების გზით, ილაშქრებს კერძო შეთანხმებების დადების წინააღმდეგ.

საბაჟო საზღვრების გაუქმება.

ბერლინი 9 სექტ. გუშინ ღამით საბოლოოდ გაუქმებული იქნა საბაჟო საზღვარი ოკუპაციით დაკავებულ და დანარჩენი გერმანიის შორის. გერმანიის სავაჭრო სამრეწველო წრეებში იმედი აქვთ, რომ ვაჭრობა გაცხოველდება და აღარ იქნება თანხების ნაკლულოვანება.

ინგლისის პროფკავშირების კონგრესის შემდეგ

ინგლისის პრესა ტრედიუნიონების კონგრესის შესახებ

ლონდონი. 9 სექტ. „ტაიმს“-ი მოწინავე წერილს უძღვნის ინგლისის ტრედიუნიონების კონგრესს და სწერს:

„კონგრესმა თვალსაჩინო გახადა განხეთქილება ინგლისის საშუალო მუშის გონიერს აზრსა და კომუნისტების ჯგუფის ფანატიზმსა და ქიშპიანობას შორის. კონგრესზე რუსეთის კავშირების წარმომადგენელთა დასწრებამ საინტერესო შედეგებამდე მიგვიყვანა. „გასაკვირი არ არის“, რომ კომუნისტებმა ტონი მისცეს კონგრესს, რაც გამოიხატა მხურვალე ენტუზიაზმში, რომლითაც მიღებული იქნენ რუსეთის წარმომადგენლები.

იმ აღელვების შემდეგ, რომელიც შექმნა საბჭოთა დელეგატების გამოსვლამ, კონგრესმა მიიღო დეკლარაცია მუშათა მოძრაობის ცალკე ელემენტების დაახლოვების აუცილებლობის შესახებ, მაგრამ ახალი წინადადება,—ნუგეშს იძლევა „ტაიმსი“ — მოითხოვს, რომ გენერალურმა საბჭომ იმოქმედოს ამსტერდამის ინტერნაციონალის საშუალებით, რომელსაც დღემდე გამორიცხული ჰყავდა თავისი შემადგენლობიდან კომუნისტები“.

„დეილი ჰერალდ“ იტყობინება, რომ პერსელის მემკვიდრე გენერალური საბჭოს თავმჯდომარის თანამდებობაზე იქნება მანქანების საამშენებლო მუშათა კავშირის წევრი სუოლსი, რომელიც სარგებლობს პროგრესიული მოღვაწის რეპუტაციით.

სავინკოვის პროცესის გამოძახილი

როგორ დააპატიმრეს სავინკოვი.

მოსკოვი. 10 სექტ. პოლონეთის მთავრობის ნებართვით, 12 აგვისტოს სავინკოვი ჩავიდა პარიზიდან ვარშავაში, საიდანაც მას განზრახული ჰქონდა საბჭოთა რუსეთში ჩამოსვლა და ადგილობრივად გაცნობა კონტრ-რევოლიუციონურ და ჯაშუშურ მუშაობასთან, რომელსაც აწარმოებდენ მისი ორგანიზაციის წევრები.

პოლონეთის სამხედრო ხელისუფლების და პოლიციის დახმარებით 16 აგვისტოს ღამით სავინკოვი თავისი კონტრ-რევოლიუციონური ორგანიზაციის წევრების თანხლებით გადმოყვანილ იქნა საბჭოთა კავშირის და პოლონეთის საზღვარზე და 17 აგვისტოს დილის 10 საათზე ჩამოვიდა მინსკში. სავინკოვი დაპატიმრებულ იქნა მინსკში, ბინაზე, სადაც ის გაჩერდა თავისი თანამზრახველებით.

სემიონოვის წერილი.

მოსკოვი. 10 სექტ. ყოფილმა ესერმა სემიონოვმა გამოაქვეყნა წერილი სავინკოვის შესახებ, რომელშიაც მოყვანილია სავინკოვის ბიოგრაფია და აწერილია მისი რევოლიუციონური მოღვაწეობა.

საბჭოთა ხელისუფლების დიდი გამარჯვება

რიგა, 9 სექ. რუსეთის თეთრგვარდიელთა გაზეთი რიგაში „სეგოდნია“ ამბობს, რომ სავინკოვის მონანიება წარმოადგენს საბჭოთა ხელისუფლების დიდ გამარჯვებას მტრებზე. მონანიება რუსეთის ემიგრაციის დიდი დამარცხება.

სხვა და სხვა ამბები

— **ინდოეთში.** ინგლისის სამხედრო პოლიციამ ქ. ხარტუმში დააპატიმრა საიდუმლო ორგანიზაციის „თეთრი დროშა“-ს მრავალი თვალსაჩინო წევრები. ორგანიზაცია მიზნად ისახავდა ინგლისელების წინააღმდეგ ბრძოლას.

— **საჯარო ვაჭრობით.** სულთანის ყოფილი სასახლე სტამბოლში საჯარო ვაჭრობით გაიყიდება დაახლოებით ერთნახევარ მილიონ დოლარათ. საჯარო ვაჭრობაში მონაწილეობას მიიღებენ მრავალი უცხოელები, რომლებსაც სურთ სასახლეში სასტუმრო ან ცირკი მოაწყონ.

— **82.000 გაფიცული.** ბელგიის მაღაროს მუშათა გაფიცვაში 32 000 კაცი იღებს მონაწილეობას. მრავალი მაღარო წყალით გაივსო.

— **საბერძნეთ-ოსმალეთის კონფლიქტი.** როგორც სტამბოლიდან იუწყებიან, უშედეგოთ დამთავრდა საბერძნეთ-ოსმალეთის მოლაპარაკება მოსახლეობის გაცვლა-გამოცვლის შესახებ. კრიზისს სერიოზულათ სთვლიან.

— **მაკდონალდის და ზაღლულ-ფაშის შეხვედრა.** როგორც გაზეთები იუწყებიან, მიუხედავათ იმისა, რომ დამოკიდებულება ინგლის-ეგვიპტეს შორის ძლიერ გამწვავებულია ეგვიპტის პრემიერი ზაღლულ [illegible] მაინც გაემგზავრება ლონდონში მაკდონალდთან მოსალაპარაკებლათ.

— **რევოლიუციონერის დაპატიმრება.** რეიტერის სააგენტოს ცნობით, დააპატიმრეს ცნობილი [illegible] ხრვატ-სლავიელი რევოლიუციონერი ბუკოვიკი.

— **ავღანისტანში.** ავღანისტანის მთავრობამ დროებით შეაჩერა საომარი მოქმედება აჯანყებულების წინააღმდეგ.

— **საფრანგეთის კომპარტიის** [illegible] **ფერენცია.** 21 სექტემბერს პარიზში შესდგა საფრანგეთის კომუნისტური პარტიის ადგილობრივ კომიტეტების მდივანთა კონფერენცია.

— **გლეხთა თათბირი.** 22 სექტემბერს პარიზში შესდგება საფრანგეთის გლეხების პირველი თათბირი.

— **პოლონეთი აძლიერებს** [illegible] პოლონეთის მთავრობამ განზრახვა აქვს აიგოს სამი კრეისერი, 12 მოსანი, 6 განმანადგურებელი და წყალქვეშა ნავი, რაც დაჯდება 600.000.000 მარკა

მენშევიკების ავანტიურა

ამხ. კახიანის მოხსენება არსენალის რაიონში

როგორ ამზადებდნენ მენშევიკები გამოსვლას

ამხანაგებო! ამ უკანასკნელ ხანს ჩვენ გავხდით ქართველ მენშევიკებისა და თავად-აზნაურთა ავანტიურის მოწმენი. ამ ჟამათ ამ ავანტიურას ბოლო მოღებული აქვს და ჩვენს განკარგულებაში საკმაო მასალაა, რომლის მიხედვით შეგვიძლია გამოვარკვიოთ ამ ავანტიურის ბუნება, ხასიათი და შედეგები.

უპირველესად ყოვლისა, ამხანაგებო, ბუნებრივად დგება ერთი საკითხი: ვიცოდით თუ არა ჩვენ,—კომუნისტურმა პარტიამ და საბჭოთა ხელისუფლებამ,—რომ ასეთი გამოსვლა შესაძლებელია, მოსალოდნელი იყო იგი ჩვენთვის თუ მოულოდნელი.

უნდა ვსთქვა, რომ ეს გამოსვლა მოსალოდნელიც იყო ჩვენთვის და იმავე დროს მოულოდნელიც. მოსალოდნელი იყო იმდენათ, რამდენათაც ჩვენ განკარგულებაში არსებულ მრავალ საბუთიდან ჩვენ შეგვეძლო დაგვესკვნა, რომ მენშევიკები უკანასკნელ ხანს მთელის ძალღონით სცდილობენ მოახდინონ შეიარაღებული აჯანყება. მოულოდნელი კი ეს გამოსვლა იყო იმდენათ, რამდენათაც ძნელი წარმოსადგენი იყო, რომ საქართველოს ტერიტორიაზე მოინახებოდა ისეთი პოლიტიკური პარტია, რომელიც გაბედავდა ამდენათ უაზრო და უნაყოფო ავანტიურის ჩადენას. ჩვენ გვქონდა ცნობები, რომ მენშევიკები სიტყვიდან საქმეზე გადადიან და რომ მათ თავის უახლოეს პრაქტიკულ ამოცანათ დაისახეს საბჭოთა ხელისუფლების ჩამოგდება და მოსპობა ყოველივე იმის, რაც საბჭოთა ხელისუფლებამ დიდი შრომით მოიპოვა ამ 3 ნახ. წლის განმავლობაში. იმის საბუთი, რომ მენშევიკები მართლაც გადავიდნენ თავის საზიზღარ ზრახვათა რეალურ განხორციელებაზე, იყო ნოე ჟორდანიას მიერ საზღვარ-გარეთიდან გამოგზავნილი წერილი,—იმ ნოე ჟორდანიასი, რომელიც წარმოადგენს მენშევიკურ პარტიის ბელადს, მისი გამოსვლების სულის ჩამდგმელსა და ორგანიზატორს და რომელიც საზღვარ-გარეთელ მენშევიკურ ბიუროს სახელით დრო-გამოშვებით უგზავნის საქართველოს არალეგალურ მენშევიკებს თავის დირექტივებს და დარიგებებს. აქ კი, საქართველოში საზღვარ-გარეთელ მენშევიკურ ბიუროს დირექტივებით მოქმედობდა არალეგალური ცენტრალური კომიტეტი და, ეგრედ წოდებული, პარიტეტული კომიტეტი, რომელშიაც შედიოდენ ყველა კონტრ-რევოლიუციონურ პარტიების,—ფედერალისტების, ნაციონალ-დემოკრატების, ესერებისა და სოციალ-დემოკრატ-სხიველების,—წარმომადგენლები. მათ შეადგინეს პარიტეტული კომიტეტი, რომლის მიზანი იყო საბჭოთა ხელისუფლების ჩამოგდება. ხალხის მოსატყუებლათ და თავის საზიზღარ განზრახვის დასაფარავათ ამ ორგანიზაციამ დაირქვა „საქართველოს დამოუკიდებლობის კომიტეტის“ სახელი. ეს კომიტეტი აგზავნიდა საზღვარ გარეთ ინფორმაციას, საზღვარ გარეთელი ბიურო კი აწვდიდა მათ დირექტივებს იმის შესახებ, თუ როგორ არის საჭირო საბჭოთა რეჟიმის წინააღმდეგ ბრძოლა. უკანასკნელ ხანს განსაკუთრებით საგრძნობი გახდა, თუ როგორ ამოძრავდენ მენშევიკები. ეს მოვლენა დაკავშირებული იყო უმთავრესათ ინგლის - საბჭოთა კონფერენციასთან. ისინი ყოველგვარ ზომას იღებდენ, რათა ჩაეშალათ ინგლის - საბჭოთა კონფერენციაზე მიღწეული შეთანხმება. ჩვენ ვიცით საფრანგეთის გაზეთებიდან ჟენევაში ჩხეიძის გამოსვლის ფაქტი. ვიცით აგრეთვე, რომ ასეთივე გამოსვლები რეაქციონურ ძალთა დახმარებით მოწყობილი იყო საფრანგეთშიაც. გეგმაშეზომილ და ნაყოფიერ მუშაობის მიზნით ფრანგ-რეაქციონერების წყალობით ზოგიერთ ალაგას დაარსებული იყო „საქართველოს დამხმარე“ საზღვარგარეთელი კომიტეტები, რომლებიც მმართავდენ პარიზის ქუჩებში უსაქმოთ მოხეტიალე მოლაყბეთა გამოსვლებს. ჩხეიძე და მსგავსნი მისნი ეუბნებოდენ მათ, რომ მათ მიზანს წარმოადგენს „პატარა საქართველოს“ აღორძინება, ხოლო საბჭოთა კავშირის შინაურ საქმეებში ჩარევა მათ არ სურთ.

მენშევიკების მუშაობა საზღვარგარეთ:

მაგრამ მიუხედავათ ამგვარი განცხადებათა, რომ ისინი ვითომდა არ ერევიან კავშირის შინაურ საქმეებში, ისინი მაინც ჩაერიენ და აღიმაღლეს თავიანთი ხმა ბოლშევიკებისათვის მისაცემ სესხის წინააღმდეგ, ვინაიდან ბოლშევიკები თხოულობენ სესხს იმისათვის, რათა მოახმარონ იგი თავიანთ წითელი არმიის გაძლიერებასო. რა თქმა უნდა წითელი არმია წარმოადგენს მენშევიზმისათვის ისეთ მუქარას, რომ მათ ათეულ ათას ვერსის მანძილზედაც ეშინიათ მისი გაძლიერების, და თუ ეს ასეა, მაშასადამე, არ შეიძლება მოგვცენ სესხი... რა თქმა უნდა ჩხეიძესათვის არავის არ უკითხავს ამის შესახებ, რადგან ინგლისი მშვენივრად აკეთებს საქმეს ასეთ მრჩეველების გარეშეც, მაგრამ მენშევიკ-ჩხეიძის ფსიქოლოგია გასაგებია, რადგან ყოველი პატარა ლაქია სცდილობს დამსახურებას და ამიტომ ამა თუ იმ რჩევას აძლევს თავის უფროსს. მაგრამ ჩხეიძეს არავინ არ გაუგონა, ხელშეკრულება დადებული იქნა, ამ ხელშეკრულებაში არის მუხლი ბოლშევიკებისათვის სესხის მიცემის შესახებ. ჩხეიძის გამოსვლა ბურჟუაზიულ მსოფლიოს წინაშე დამახასიათებელია იმ მხრივ, რომ მენშევიკები ყოველ ღონეს ხმარობდენ ჩაეშალათ ინგლის-საბჭოთა კავშირის შეთანხმება და ამით დაამტკიცეს თავიანთი ნამდვილი დამოკიდებულება არა მარტო საქართველოს მშრომელებისადმი, არამედ მთელი კავშირის 130 მილიონ მშრომელისადმი. მენშევიკები დიდ იმედებს ამყარებდენ ინგლის-საბჭოთა კავშირის კონფერენციის ჩაშლაზე. იმათ ეშინოდათ, რომ, თუ ინგლისი ხელს მოაწერს შეთანხმებას ჩვენთან, ეს იქნება არა მარტო საბჭოთა რესპუბლიკების და იქ არსებულ რეჟიმის სრული ცნობა, არამედ ასეთი ფაქტი სასტიკი დამარცხება იქნება მთელი საერთაშორისო მენშევიზმისა და 2 ინტერნაციონალისათვის.

და მართლაც ქართველ მენშევიკებს უცნაურად ეჩვენათ, რომ მაკდონალდმა, 2 ინტერნაციონალის კაცმა, მკვიდრმა ძმამ თუ არა, ყოველ შემთხვევაში ქართველ მენშევიკების „ბიძაშვილმა“ მხარი არ დაუჭირა მათ. რით აიხსნება მაკდონალდის ასეთი „ღალატი“ თავის ქართველ მეგობრებისადმი?

ეს აიხსნება იმით, რომ მაკდონალდი დღეს გამოდის არა მარტო მენშევიკების ან 2 ინტერნაციონალის პატარა კაცუნას როლში, არამედ ის ამავე დროს არის ინგლისის მთავრობის თავმჯდომარე, ხოლო ამ მთავრობაზე გავლენას ახდენს ინგლისის მუშათა კლასი. ის ჯერ კიდევ იმდენად ძლიერი არ არის, რომ გამოვიდეს და დაამხოს ბურჟუაზია. იმდენად ძლიერი არ არის, რათა გამოვიდეს მუშათა მთავრობის წინააღმდეგ, მაგრამ ის საკმაოთ ძლიერია იმისათვის, რომ ზეგავლენა მოახდინოს მუშათა მთავრობაზე, რათა ამ უკანასკნელმა დასდოს ჩვენთან ხელშეკრულება და არ ებრძოლოს რუსეთს. ამ გარემოებამ მოთმინებიდან გამოიყვანა ქართველი მენშევიკები. და მათი უკანასკნელი იმედი გაქრა. აი ამიტომ მათ უნდა ეძებნათ სხვა გზა, რომ გამოსულიყვენ. მეორე მათი იმედი დამყარებული იყო საფრანგეთის მხრივ დახმარებაზე. ეჭვს გარეშეა, რომ ამ ავანტიურაში, რომელსაც ამას წინად ჰქონდა ადგილი, თუ ძალიან დიდი არა, მცირეოდენი წილი მაინც უდევთ საფრანგეთის ბატონ იმპერიალისტებს. ჩვენ გვაქვს ცნობა, საკმაოდ სწორი და სარწმუნო, იმის შესახებ, რომ ყველა ამ ვაჟ-ბატონებმა ჩხენკელებმა და წერეთლებმა რამდენჯერმე ინახულეს საფრანგეთის წარმომადგენლები და მოელაპარაკენ მათ; ბატონ ერიოს, რომელიც არის მთავრობის თავმჯდომარე და ბატონ დუმერგს. ამასთანავე ჩხენკელი მიღებული იქნა ერიოს მიერ, როგორც საქართველოს ოფიციალური ელჩი. თურმე მას დიდის ამბით შეხვდენ, გამოიყვანეს მუსიკა და ჯარები. წერეთელი კი გაწვეული იყო ერიოს პირად წერილით, მოსალაპარაკებლად. რა ხასიათის მოლაპარაკებას აწარმოებდენ ისინი, არ ვიცით, მაგრამ ყოველშემთხვევაში უნდა ვიფიქროთ, რომ, როგორც თავაზიანმა ფრანგმა, ერიომ აღუთქვა დახმარება „ტანჯულ“ და „დამონებულ“ საქართველოს. გარდა ამისა ჩვენ გვაქვს პიერ რენოდელის პატარა დოკუმენტი: რენოდელი საკმაოდ ცნობილი სოციალისტია საფრანგეთში. მან მისწერა შემდეგი წერილი, ალბად, წერეთელს: „გთხოვთ გადასცეთ ქართველ მეგობრებს, რომ თქვენ მიერ გამოგზავნილმა წერილმა ძლიერი შთაბეჭდილება მოახდინა ჩემზე. ოხ, ნეტა შემეძლოს უთხრა მათ, რომ არჩევნებში ჩემი და ჩემი პარტიის გამარჯვება იქნება საწინდარი მათი ტანჯვების დასრულებისა.

რა თქმა უნდა ყველაფერი ჩემზე არ არის დამოკიდებული. ჩვენ შეგვიძლია მხოლოდ საფრანგეთის მაღალი ტრიბუნიდან ხმა-მაღლა გამოვამჟღავნოთ მჩაგვრელები.

მე იმედი მაქვს, რომ დღევანდელი რუსეთის ცნობა, რომელიც მოხდება აუცილებელი შენიშვნებით ესეთ პრობლემების შესახებ, როგორც მაგ. საქართველოს დამოუკიდებლობის საკითხია, საშუალებას მოგვცემს ჩავერიოთ ამ საქმეებში....

კიდევ სალამი და მადლობა ჩემის სახელით საქ. სოც. დემ. მუშ. პარტიის ცეკას. გადაეცით, რომ მე ვრჩები მათი ერთგული მეგობარი როგორც ჭირში, ისე ლხინში“ **პიერ რენოდელი.**

აი დოკუმენტი, რომელიც ნათლად მოწმობს იმას, რომ საფრანგეთის „სოციალისტებს“ თავისს იმპერიალისტებთან შეთანხმებით ჰქონდათ ერთგვარი დამოკიდებულება იმ ავანტიურასთან, რომელიც მოხდა აქ. ცხადია, რომ აქ მუშაობდა აგრეთვე საფრანგეთის ფულიც. რით შეიძლება ამის ახსნა და რისი იმედი ჰქონდათ მენშევიკებს? ამ დოკუმენტიდან სჩანს, რომ მათ ჰქონდათ საფრანგეთის დახმარების იმედი, მაგრამ მას ეხლა, მაკდონალდის გამოსვლის შემდეგ, აღარ შეუძლია დახმარება, თუმცა პიერ რენოდელმა... უთხრა წერეთელს: **„მე მანამდე მოვიჭრი ჩემს მარჯვენას, ვიდრე მაკდონალდის გზას გავყვებოდე“, ე. ი. უღალატებდე საქართველოსო.** მიუხედავად ამისა, ცხადია, რომ ვინაიდან საფრანგეთს საქმე აქვს საბჭოთა რესპუბლიკების კავშირთან, ის ადრე თუ გვიან იძულებული იქნება გაჰყვეს მაკდონალდის გზას და იცნოს საბჭოთა კავშირი. მაკდონალდმაც კი შეიტანა ასეთი კომპრომისული წინადადება, რომ ინგლისი სცნობს ყველა სახელმწიფოებს, რომლებიც არსებობენ საბჭოთა რესპუბლიკების კავშირის ტერიტორიაზე, რახან ეს ერები თვითვე სცნობენ საბჭოთა კავშირსო.

ეს იმას ნიშნავს, რომ თუ რომელიმე ერი არ სცნობს საბჭოთა კავშირს და მოაწყობს პატარა „აჯანყებას“, მაშინ ინგლისს საბაბი ექნება ჩაერიოს და დაეხმაროს „აჯანყებულ“ ხალხს. რამდენადაც საქართველოში არის კანონიერი საბჭოთა მთავრობა, არც ინგლისს, არც საფრანგეთს საბჭოთა კავშირთან ომი არ შეუძლია. დასკვნა ისეთია, რომ აქ პირდაპირ ანიშნებენ ბატონ მენშევიკებს: „თქვენ იბრძვით საქართველოს დამოუკიდებლობისათვის, ეს ძალიან კარგი საქმეა. მაგრამ ჩვენ არ შეგვიძლია დაგეხმაროთ, რამდენადაც ქართველი ხალხი თვითონ სცნობს თავის მთავრობას. აი თუ თქვენ ჩაიდენთ რაიმე სისაძაგლეს და მოაწყობთ ისე, რომ იქ, თუნდაც სადმე არსებობდეს არა ბოლშევიკური, არამედ სხვა მთავრობა, მაშინ ჩვენ საბაბი გვექნება იმისათვის, რომ ჩავერიოთ საქმეში და მხარი დაგიჭიროთ თქვენო“.

აი რითი აიხსნება მენშევიკების გამოსვლა. მათ არ შეეძლოთ იმედი ჰქონოდათ. სახალხო აჯანყების, მათ არ შეეძლოთ იმედი ჰქონოდათ საქართველოში ძალა-უფლების ხელში ჩაგდების, მათ სურდათ მხოლოდ მოეხდინათ საერთაშორისო დებოში, რათა იმისი საბაბი მიეცათ საფრანგეთისა და ევროპის სხვა სახელმწიფოებისათვის, რომ ყურადღება მიექციათ ამ „უბედურ“ საქართველოსათვის, რომელიც, თურმე, დაბეჩავებულია და დაჩაგრულია რუსეთის მიერ.

ნოე ჟორდანიას წერილი

რომ ეს ასეა, ამხანაგებო, ამას ამტკიცებს ნოე ჟორდანიას სადირექტივო წერილი. ნოე ჟორდანია მენშევიკების შორის ითვლებოდა ჭკვიან კაცად და მის „ჭკვიანურ“ რჩევებს მუდამ უჯეროდა ქართველი მენშევიკები. ამ შემთხვევაშიც ამ „ჭკვიანმა“ კაცმა დასწერა ახალი სადირექტივო წერილი, რომელშიაც ის ზოგიერთ დარიგებებს აძლევს მენშევიკებს. ეს წერილი ძალიან საინტერესოა და მე წაგიკითხავთ მას თითქმის მთლიანად, ზოგიერთის გამოკლებით. ამ წერილს აქვს 2 ივნისის თარიღი, და თქვენ შენიშნავთ, რომ ყველაფერი დანარჩენი, მაგალითად პიერ რენოდელის წერილი, ჩხენკელის შეხვედრა დუმერგთან, ერიოს ლაპარაკი წერეთელთან, ხდება ივნისში, ე. ი. ორი თვით ადრე, როდესაც სწარმოებდა გაფაციცებული და გაძლიერებული მზადება აჯანყებისათვის.

ჟორდანიას წერილი აღმოჩენილ იქნა საქართველოს საგანგებო კომისიის მიერ ბატონი ბენია ჩხიკვიშვილთან, რომელსაც თქვენ კარგათ იცნობთ.

„წერილი საქართველოს სოციალ-დემოკრატიული პარტიის ცეკას“.

თქვენს მიერ აღძრულ საკითხის შესახებ გაცნობებთ ჩემს აზრს. ჩვენი პარტიის პოლიტიკური მუშაობის მთავარი მიზანი ეხლანდელ პირობებში—ეს არის საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის აღდგენა.

ჩვენი სოციალ-დემოკრატიული პარტიის პროგრამაში შედის ახალი მუხლი—საქართველოს დამოუკიდებლობა,—არა როგორიც დეკლარატიული მოთხოვნილება, არამედ როგორც უახლოესი პრაქტიკული პოლიტიკა. ის გახდება დეკლარატიულ მუხლად მხოლოდ იმის შემდეგ, როგორც კი მოისპობა მისი განმახორციელებელი პირობები და დარჩება შორეული ისტორიული პერსპექტივა. ეხლა კი ასეთი მდგომარეობიდან ჩვენ შორს ვდგევართ“.

როგორც თქვენ იცით, ისინი ეხლა აქედან ძალიან შორს დგანან და ეს მართლაც ძალიან შორეულ პერსპექტივად იქცა მათთვის...

„ჩვენი დამოუკიდებლობის აღდგენა შეიძლება ორი გზით:

1) ჩვენი საქმის დაკავშირებით რუსეთის შინაურ მდგომარეობასთან და 2) ჩვენი საკუთარი ძალებით. პირველი გზა არავისათვის არ არის სადავო, რუსეთის ეხლანდელი რეჟიმი ახლო მომავალში დაეცემა და მოხდება სოციალურ ძალთა ახალი გადაჯგუფება. აი ამ დაშლის დროს ჩვენი ხალხი გამოვა და ფაქტიურად აღადგენს წართმეულ თავისუფლებას. როდის მოხდება ეს გარდატეხა, ძნელი სათქმელია. ის აუცილებლად მოხდება ან შინაგანი ან საგარეო გართულებით. რუსეთის ჩათრევა საგარეო ავანტიურაში მოგვცემს ჩვენ განთავისუფლების საშუალებას. მაგრამ ვინაიდან არავინ იცის როდის მოხდება ეს, პარტია კი აწარმოებს მიმდინარე მუშაობას, ამიტომ აუცილებელია, რომ მისი მუშაობა არ იყოს განსაზღვრული მხოლოდ იმედებით და პერსპექტივებით. პარტიული მუშაობის შინაარს ასეთ შემთხვევაში უნდა შეადგენდეს ბრძოლა არსებული რეჟიმის წინააღმდეგ სოციალიზმის და დემოკრატიზმის ნიადაგზე. აქ ჩვენი მუშაობა არსებითად ისეთია, როგორიც იყო ძველი რეჟიმის დროს. რევოლიუცია დემოკრატიული და ნაციონალური რჩება ჩვენი უახლოესი მუშაობის მიზნად. სუვერენიტეტი ხალხის და ერის, რასაკვირველია, არა მარტო საქართველოსათვის, არამედ ყველა ხალხთა და ერთათვის, რომლებიც განიცდიან საბჭოთა მოსკოვის ტირანიას“.

თქვენ ხედავთ, რომ ჟორდანია ზრუნავს სხვა ერებზე!

„ბრძოლა დემოკრატიისათვის გვაერთებს ჩვენ ამ დამონავებულ ხალხებთან—თვით ველიკოროსიასთანაც კი; ბრძოლა ერების თავისუფლებისათვის გვაერთიანებს ჩვენ პირველყოვლისა ჩვენს მოსაზღვრე ერებთან ველიკოროსების გამოკლებით. სამწუხაროთ, რუსეთის სოციალ-დემოკრატია არ აწარმოებს ამ რევოლიუციონურ ბრძოლას. მას სურს იყოს ლოიალურ ოპოზიციაში“.

როგორც ხედავთ საქართველოს მენშევიკები უკმაყოფილონი არიან თვით თავისი მოძმე რუსეთის მეგობრებით, რადგან ისინი არიან „ლოიალურ ოპოზიციაში“.

„ამ ოპორტიუნიზმთან ჩვენ არ გვაქვს არავითარი საერთო. სეით დევდარიანი და მისი ძმები არიან ამ ოპორტიუნიზმის ტალღა. ჩვენ რევოლიუციონური სოციალ-დემოკრატია ვართ. ტერმინი „მენშევიკი“ არ არის ჩვენი ტერმინი. ის ჩვენ მივიღეთ მაშინ, როდესაც ვიყავით რუსეთის სოციალ-დემოკრატიულ პარტიის ჩარჩოში; მაგრამ მაშინ ნათელი იყო ორმაგი მენშევიზმი: რუსეთის—ოპორტიუნისტულ-ლიკვიდატორული და საქართველოს — რევოლიუციონურ-პარტიული. ეხლა კი, როდესაც ჩვენი პარტია მოეწყო საქართველოს ჩარჩოებში...“

მე არ ვიცი, როდის მოეწყო ის საქართველოს ჩარჩოებში; ეხლა ის მოწყობილია თბილად პარიზის ჩარჩოებში (სიცილი)

„როდესაც კი რუსეთის სოციალ-დემოკრატებმა მენშევიზმი აქციეს პოლიტიკურ უილაჯობის აშკარა სინონიმად — ჩვენ არ ვართ მენშევიკები და ვრჩებით რევოლიუციონურ სოციალ-დემოკრატიათ! ამნაირად საქართველოს სოციალ-დემოკრატია თავის ბრძოლაში იმყოფება სოციალიზმის, დემოკრატიზმის და ერთა თვითგამორკვევის ზეგავლენით. ჩვენ ეროვნული და ამავე დროს ინტერნაციონალური პარტია ვართ. ჩვენ ვეუბნებით ერებს და პარტიებს: „აწარმოეთ ბრძოლა საბჭოთა ტირანიის წინააღმდეგ ისეთივე საშუალებებით, რომლითაც მას აწარმოებს საქართველოს სოციალ-დემოკრატია, საქართველოს მთელი ერი. ძნელია ეს ბრძოლა, ეკლიანია ეს გზა, მაგრამ ყვავილი არავის მოუწყვეტია უეკლოთ“.

აი ხედავთ რა ჯენტლემენია ჟორდანია: მას ყვავილიც კი უყვარს, მაგრამ უეკლო!

„პარტიამ ამ ბრძოლაში უნდა აღზარდოს ახალი თაობა, მოამზადოს მთელი ერი, უწინამძღოლოს მას და ამნაირად სავსებით მომზადებული და მომწიფებული შეხვდეს იმ დიდ კრიზისს, რომლისაკენ ჩქარი ნაბიჯით მიილტვის რუსეთი ბოლშევიკების შორს გაუმჭვრეტელობის გამო“.

აი საერთაშორისო გართულების პირველი გზა, რომლის საშუალებით ჟორდანია ფიქრობს ბოლშევიზმის ლიკვიდაციას და „ყვავილის მოწყვეტას“.

მაგრამ თუ ეს არ მოხერხდა, მაშინ რჩება მეორე გზა, რომელიც შემდეგში მდგომარეობს:

„ეს გზა მდგომარეობს საქართველოს განთავისუფლებაში რუსეთის კრიზისზე დამოუკიდებლად. რა თქმა უნდა იგი არ შეიძლება განხორციელდეს მხოლოდ საქართველოს ბრძოლით. ეს იქნება დაშნაკური ავანტიურა და დასრულდება ჩვენი განადგურებით“...

იმ გამოსვლების თანახმად, რომელიც მოხდა, შეიძლება თამამად ითქვას, რომ ისინი შორს არ წასულან დაშნაკელ მაუზერისტებისაგან და ისევე კარგად იქნენ განადგურებული, როგორც დაშნაკელები. ნოე ჟორდანიამ, ალბად, წინდაწინ იცოდა, რომ ეს გამოსვლა განადგურებით დამთავრდებოდა.

„ამიერ-კავკასიის (დაღესტანთან ერთად) მაშტაბით გამოსვლა კი აუცილებლად გამარჯვებით დამთავრდება, თუ ეს გამოსვლა საერთო ძალებით მოხდება. რუსეთის მეფეები მხოლოდ დაღესტანთან აწარმოებდნენ ბრძოლას 30 წელიწადზე მეტი, რამდენი წელიწადი დასჭირდებათ ბოლშევიკებს არა მარტო დაღესტანთან, არამედ მთელ ამიერ-კავკასიასთან საბრძოლველად, ადვილი წარმოსადგენია. საომარი ბაზის კავკასიის ქედზე გადატანა და იქ გამაგრება მთელი ჩვენი შეიარაღებული ძალებით—არის ჩვენი გამარჯვების საწინდარი. მხოლოდ ამ შემთხვევაში ევროპა მოგვაქცევს სერიოზულ ყურადღებას და გაგვიწევს დახმარებას“.

მაშასადამე, „უნდა ჩამოვსჭრათ კავკასიის ქედი და ვსთხოვოთ ევროპას დახმარება“. საერთოთ, ნოე ჟორდანიამ ისახელა თავი, როგორც დახელოვნებულმა ყასაბმა. ის არა ერთხელ იძლეოდა წინადადებას რუსეთისაგან კავკასიის ჩამოჭრის შესახებ.

„რომ არ მოვტყუვდეთ, უნდა ვიქონიოთ ნათელი წარმოდგენა ჩვენს მოკავშირეების შესახებ. აზერბეიჯანი პოლიტიკურად არ იქნება საიმედო, მან პირველად მოიწვია ოსმალეთი და შემდეგ რუსეთი, ამიერ-კავკასიის ფრონტი მან ორჯერ გაარღვია. საომარი თვალსაზრისით აზერბეიჯანელები არ წარმოადგენენ საიმედო ძალას, რადგან მათ არ გაუვლიათ სახმედრო სამსახური, მაგრამ აჯანყების საქმეში, ისინი საუცხოვო არიან თავისი გამბედაობით და გმირობით“.

ცხადია, ქართველი აფიცრობა უკეთესია და წარმოადგენს გამოსადეგ მასალას ყოველგვარ ავანტიურისათვის და აგრეთვე „ჩეკასათვის“ (სიცილი).

„მაშასადამე აზერბეიჯანში თავიდანვე უნდა შეიქმნას ისეთი საომარი ცენტრი, რომელიც გადააქცევს ამ პასიურ მასალას აქტიურ ელემენტად საერთო ბრძოლისათვის. ყველაზე უკეთესი მებრძოლი ძალაა—მთიულები, რომელთაც უნდა მიექცეს განსაკუთრებული ყურადღება.

„სომხეთი ჩვენთან ერთად არ გამოვა, ყოველ შემთხვევაში დასაწყისში, მაგრამ შემდეგ ის იძულებული იქნება ჩაერიოს ბრძოლაში. ამგვარად პირველდაწყებითი კომბინაცია იქნება შემდგარი საქართველოს, აზერბეიჯანის და მთიულებისაგან. პირველად უნდა გამოვიდენ მთიელები და აზერბეიჯანელები, მხოლოდ იმის შემდეგ, როგორც ისინი დაიკავებენ გზებს რუსეთისაკენ, ჩამოჭრიან ამიერ-კავკასიას დაღესტანის გზით, ე. ი. გამოსვლა იქნება სერიოზული და მტკიცე, მაშინ გამოვა საქართველო და გაგზავნის თავის ჯარებს მათ დასახმარებლად“.

ჯერ საქართველოს გამოსვლა, და შემდეგ სხვების, არავითარ შემთხვევაში შესაწყნარებელი არ არის, ძნელია მათზე დანდობა“...

„როდესაც მოსკოვი აწარმოებდა შემოტევას ჩვენს წინააღმდეგ აზერბეიჯანმა და მთიულებმა მაშინვე შესწყვიტეს ბრძოლა და ამგვარად საქართველო [illegible] [illegible] არა საქართველოს გაწმენდა ბოლშევიკებისაგან არის მთავარი საქმე, არამედ სტრატეგიული პუნქტის დაჭერა, ხოლო ასეთია კავკასიონის ქედი. ამგვარად მე თანახმა ვიქნები ბრძოლის მეორე გზის, თუ მასში ჩაბმული იქნებიან მთიულები და აზერბეიჯანი და თავიდანვე კავკასიონის ქედი გახდება ამ ბრძოლის ასპარეზად. ყოველი სხვაგვარი კომბინაცია ჩემთვის მიუღებელია. ამიტომ უნდა მივაკუთვნოთ უპირატესობა პირველ გზას და მასზე გავჩერდეთ. აზერბეიჯანის და მთიულეთის პირველად გამოსვლა საჭიროა იმისთვისაც, რომ ამით შევაჩერებთ ოსმალეთს. მაშინ ის აღარ შეეცდება საქართველოს წინააღმდეგ გამოსვლით მახვილი ჩასცეს აზერბეიჯანს და მთიულეთს

ქართული მენშევიზმის აღსასრული

ის, რაც მოხდა საქართველოში 28—29 აგვისტოს (მენშევიკების შეიარაღებული გამოსვლა ჭიათურაში და ზოგიერთ სხვა რაიონებში), გადაუმეტებლად უნდა ჩაითვალოს უკანასკნელ და საბოლოო აქტად ქართული მენშევიზმის ისტორიაში. მენშევიკებმა თავისი 28 აგვისტოს გამოსვლით თვითვე დასწერეს თავისი ისტორიის ეპილოგი. 28 აგვისტოს შემდეგ ქართული მენშევიზმი სწყვეტს თავის არსებობას არა მარტო როგორც პოლიტიკური პარტია, არამედ აგრეთვე როგორც საზოგადოებრივი მიმდინარეობაც: არის ასეთი საბედისწერო თარიღები პარტიის ისტორიაში. საკმარისია მიუთითოდ თუნდაც მემარცხენე ესერების პარტიაზე, რომელმაც ბოლო მოუღო თავის თავს თავისი გამოსვლით 1918 წლის 5—7 ივლისს. ასეთივე თარიღი, როგორიც არის მემარცხენე ესერებისათვის 18 წლის 5—7 ივლისი, იქნება მენშევიკებისათვის 24 წლის 28 აგვისტო.

თითქმის 20 წლის განმავლობაში საქართველო იყო ჯერ რუსეთის, ხოლო შემდეგ რევოლიუციის წლებში (1918—21 წლებში) საერთაშორისო მენშევიზმის ციტადელი.

არც ერთს ქვეყანაში თვით გერმანიასა და ავსტრიაშიც არ ყოფილა მენშევიზმი ისეთი დასრულებული და მომწიფებული სახით, როგორც საქართველოში. არსად მენშევიზმს არ გაუვლია ასეთი ამომწურავი თანდათანობით განვითარების, აღორძინების და დაცემის ყველა საფეხურები, როგორც საქართველოში. შეიძლება თამამად ითქვას: ქართული მენშევიზმი ეს კლასიკური მენშევიზმია. თავისი არსებობის ოცი წლის განმავლობაში საქართველოს მენშევიკურმა პარტიამ არა თუ განიმეორა და „გადმოთარგმნა“ ქართული სინამდვილის ენაზე მთელი გამოცდილება საერთაშორისო სოციალ - დემოკრატიისა, მან საკმაოდ გაუსწრო თავისს განვითარებაში მეორე ინტერნაციონალის სხვა პარტიებს; თავისი დაცემით და გახრწნით ის უჩვენებს ამ პარტიებს მათ მომავალს. ამ მხრით ქართული მენშევიზმის უკანასკნელი დღეები შეიცავენ ინტერესს და მნიშვნელობას, რომლებიც საგრძნობლად სცილდება საქართველოს ადგილობრივ ამბების და საქმეების ფარგლებს.

ერთი წლის წინეთ (25—30 აგვისტოს) შეიკრიბა საქართველოს სოციალ-დემოკრატიული პარტიის უკანასკნელი ყრილობა. რამდენიც არ იყვირეს მენშევიკებმა აქაც და უცხოეთშიაც იმის შესახებ, რომ ეს ყრილობა მოწყობილია საგანგებო კომისიის მიერ, ვერც ერთმა მენშევიკთაგანმა, თვით ნოე ჟორდანიამაც (საპასუხო წერილში ყოფილ მენშევიკ-მუშებისადმი; ეს წერილი მთლიანად დაიბეჭდა ქართულ პრესაში) ვერ შესძლო იმ ფაქტის უარყოფა, რომ: 1) ამ ყრილობაზე წარმოდგენილი იყო 12,000-ზე მეტი წევრი მენშევიკური პარტიის, და 2) რომ ამ ყრილობის ამომრჩეველთა და დელეგატთა 90 პროცენტი ეკუთვნოდა ძველ მენშევიკურ კადრებს, უმეტესად პროლეტარულ შემადგენლობას. გასული წლის აგვისტოს ყრილობამ დაშლილად გამოაცხადა საქართველოს სოციალ-დემოკრატიული პარტია. მაგრამ საქმე ამით არ გათავებულა. ყრილობის შემდეგ რამოდენიმე თვის განმავლობაში მენშევიკურ პარტიას ჩამოსცილდენ ახალი ათასები მისი მომხრეებისა—5000-ზე მეტმა მენშევიკმა მიატოვა პარტია 23 წლის დასასრულს და 24 წლის დასაწყისში. 24 წლის დასაწყისში მენშევიკური პარტიის რიგებს შერჩა **არავითარ შემთხვევაში არა უმეტეს რამოდენიმე ათეულ მუშებისა.** ასეთი რაოდენობა, როგორიც არის ათეული და ერთეული, იქ, სადაც წინათ ლაპარაკი იყო ათასებზე და ათი ათასებზე, პოლიტიკურ ანგარიშში აღარ მიიღება: ისინი უდრიან ნოლს.

მენშევიკებმა სრულიად დაჰკარგეს ყველა თავისი მუშები და ყოველგვარი კავშირი საქართველოს მუშათა მასებთან: მთელმა პოლიტიკურად აქტიურმა გლეხობამ, რომელიც წინად ეკედლებოდა მენშევიკებს, მუშებთან ერთად დასტოვა ეს პარტია.

ყველა მუშურ-გლეხური ელემენტების დაკარგვის შემდეგ მენშევიკურმა პარტიამ, როგორც ასეთმა (ე. ი. როგორც ბურჟუაზიის აგენტურამ მშრომელთა კლასებში) შესწყვიტა თავისი არსებობა: ამ თვალსაზრისით აგვისტოს ყრილობის დადგენილება, რომელიც ამბობდა, მენშევიკური პარტია უკვე აღარ არსებობსო, სწორი იყო.

მენშევიკების არალეგალური ორგანიზაცია, რასაკვირველია, დარჩა. მაგრამ პროლეტარული და გლეხური ელემენტების ჩამოშორებასთან ერთად იწყეს რყევა პარტიის ხელმძღვანელებმა ერთი შეხედვით, თითქოს მტკიცე და საიმედო კოლლექტივებმა. რღვევის ჭიამ გამოღრნა მენშევიკური პარტიის შუაგული მისი არალეგალური ცენტრალური კომიტეტი. მენშევიკების ცეკას თავმჯდომარე სეით დევდარიანი („Сан“ რომელიც თავის დროზე უკრაინაში მუშაობდა) დაგვიანებით, მიკიბ-მოკიბული სიტყვებით, ლეგალური მენშევიზმის შექმნის განზრახვით (რასაც ჩვენ ვუწოდებდით „პირუკუღმა ლიკვიდატორობას“) პირველ ხანებში გაუბედავათ და მოკრძალებით მაინც ჩამოშორდა თავის პარტიას, გამოუცხადა მას ბრძოლა და ბოლოს, თუ სრულიად არა 9|10-ით მაინც ჩადგა იმ მუშების რიგებში, რომლებმაც მასზე უფრო ადრე დასტოვეს მენშევიკების პარტია. დევდარიანის კვალს მიჰყვენ მენშევიკების ახალი ასეულები. ამ ფაზაში მენშევიკური პარტიის გახრწნა შეეხო მის წვრილ ბურჟუაზიულ და ინტელიგენტურ კადრებს. ამასთანავე დევდარიანის გამოსვლების პერიოდში—1924 წ. იანვარ-თებერვალ-მარტში მენშევიკური პარტიის რღვევამ მიაღწია თავის უმაღლეს წერტილს.

მენშევიკურმა ახალ-გაზრდობამ (ე. წ. ახალგაზრდა მარქსისტთა ორგანიზაციამ) უფრო ადრე, 1923 წლის დასასრულში, მოაწყო თავისი სალიკვიდაციო ყრილობა ყოფილ მენშევიკების აგვისტოს ყრილობის მსგავსად. ამ ყრილობაზე მენშევიზმს ზურგი აქცია 5,000 „ახალგაზრდა მარქსისტმა“. ეხლა კი სეით დევდარიანის გამოსვლების დროს, მენშევიკური ახალგაზრდობის ცენტრალური კომიტეტის მთელი შემადგენლობა, რომელიც უკანასკნელ დრომდე ჯიუტობდა, მთლიანად მიემხრო „დევდარიანის პლატფორმას“. მენშევიკური ახალგაზრდობის ორგანიზაცია გაქარწყლდა საბოლოოდ. ეს კიდევ ცოტაა. თვით პარტიის რიგებში დარჩენილი მენშევიკების ნაწილიც კი იმდენად დაიშალა და მორალურად დაეცა, რომ ყოველი მენშევიკი დაპატიმრების—თუ მეორე საათში არა, მეორე დღეს მაინც „ჩეკის“ მხრივ ყოველგვარ საბუთ მიუცემლად,—ყოვლად უსირცხვილოდ ემიჯნებოდა თავის პარტიას, თავის წარსულს, და არა მარტო ემიჯნებოდა, სინდისის შეუწუხებლად, აფურთხებდა მას, რასაც გუშინ თაყვანს სცემდა.

მენშევიკური პარტიის დაცემის სიღრმის გასაზომად განსაკუთრებით აღსანიშნავია ის, რომ არალეგალურ პარტიული ორგანიზაცია **სანქციას უშვებოდა** ამ თვით შეფურთხებას და მოჩვენებით რენეგატობას, რომელსაც, რასაკვირველია, არც ჩვენ ვაძლევდით ფასს. ამ მორალურ მუხრუჭების დაშლასთან ერთად თანდათან იზრდებოდა მერყეობა და დაბნეულობა მენშევიკების პარტიულ არალეგალურ აპარატში. დამარცხება დამარცხებას მოსდევდა.

მაშინ კი (1924 წ. გაზაფხულზე დაიწყო გადაჯგუფება მენშევიკურმა პარტიამ. მუშაობის გაცხოველების მიზნით საზღვარ-გარეთიდან მენშევიკურმა ემიგრაციამ ნოე ჟორდანიას მეთაურობით, გაგზავნა საქართველოში არალეგალურ მუშაობის საწარმოებლად მთელი რიგი გამოჩენილ მენშევიკებისა. ეს იყო ქართველი მენშევიზმის უკანასკნელი გათამაშება. რათაც არ უნდა დაჯდომოდათ, როგორი მსხვერპლიც არ უნდა შეწირულიყო, მენშევიკებისთვის საჭირო იყო დაშლილი ორგანიზაციის აღდგენა. და ეს ბატონები—დაბრუნებული მენშევიკები—მთელი თავისი ენერგიით შეუდგენ თავიანთ დაღუპულ საქმის გამოსწორებას. ათ წლობით დაგროვილი ძალები დაიქსაქსნენ თითქმის სავსებით რაღაც ერთი წლის განმავლობაში. საჭირო იყო ხელ-ახლა მათი შეკრება. მაგრამ როგორ? რომელ პლატფორმაზე? როგორი ლოზუნგის გარშემო? მენშევიზმის ტაქტიკური ხაზი ძალიან ჩქარა გამოირკვა. იგი გამოწვეული იყო პარტიის შინაურ მდგომარეობითაც და საერთაშორისო სიტუაციითაც, როგორც იგი იყო მენშევიკების გაგებით 1924 წ. გაზაფხულზე.

მთელი თავის იმედებს საქართველოს ძალაუფლების სათავეში დაბრუნებისა მენშევიკები აშენებდენ იმ ანგარიშზე, რომ ბურჟუაზიული ევროპა მათ დაეხმარებოდა, რომ ბურჟუაზიულ ევროპა არ იცნობს საბჭოთა საქართველოს, არამედ, იგი იცნობს მხოლოდ მენშევიკურ მთავრობას და სხვა. პირველ წლების განმავლობაში საქართველოს გასაბჭოების შემდეგ მენშევიკები ცხოვრობდენ მხოლოდ იმპერიალისტურ ევროპის ინტერვენციის იმედით. ამ მხრივ ევროპის მთავრობები და ევროპის სოციალ-დემოკრატები მით უფრო სიამოვნებით აძლევდენ დაპირებას, რომ მაშინ მართლაც არ ყოფილა ჩამოყალიბებული ევროპის სახელმწიფოების დამოკიდებულება საბჭოთა რესპუბლიკეაისადმი. მაგრამ განვლილ წლებმა ინტერვენციის იმედები გაიფანტენ ღრუბლებივით. 24 წ. იანვარში მაკდონალდის მთავრობამ განაცხადა, რომ ის იურიდიულად იცნობს საბჭოთა რესპუბლიკების კავშირს. ეს იყო პირველი მუჯლუგუნი, რომელმაც მენშევიკები გამოიყვანა ინტერვენციის მოლოდინის სასიამოვნო მდგომარეობიდან. მაგრამ იმედის ნაპერწკალი კიდევ ღვივოდა მაკდონალდის ორჭოფულ განცხადების შემდეგ. ამ დროიდან მენშევიკების ამოცანას, რომელიც მოფიქრებული იყო უთუოთ 2 ინტერნაციონალის მოღვაწეებთან ერთად, შეადგენდა—დაემტკიცებიათ ინგლისის და ევროპის „საზოგადოებისათვის“, რომ თითქოს ქართველი ხალხი არა თუ არ სცნობს, არამედ გაბედულად იბრძვის საბჭოთა ხელისუფლების და საბჭოთა რესპუბლიკებისკავშირის წინააღმდეგ. როგორ უნდა დაემტკიცებიათ ეს? დემონსტრაციის მოწყობით? მაგრამ ვილა გავიდოდა დემონსტრაციაზე, როდესაც მენშევიკებმა დაჰკარგეს მთელი თავისი არმია? ტრადიციულ მენშევიკურ „დღესასწაულზე“ (26 მაისს საქართველოს მენშევიკურ დამოუკიდებლობის გამოცხადების დღის) არც ერთ მენშევიკს არ გამოუყვია ცხვირი ქუჩაში, მიუხედავად მენშევიკების პროკლამაციებისა და მოწოდებისა. ხოლო 1 მაისს, როდესაც მენშევიკებმა მოუწოდეს ხალხს. ბოიკოტი გამოეცხადებია პროლეტარულ დღესასწაულისთვის, აღმოჩნდა მხოლოდ ერთი გიჟი მღვდელი, რომელმაც იშოვა ორი მენშევიკური დროშა და იმით შეეცადა შეეჩერებია მშრომელთა გრანდიოზული დემონსტრატია. არა, დემონსტრაციის გეგმა არ გამოდგებოდა? დარჩა ერთი საშუალება: მოეწყოთ საქართველოში, თუნდაც უმნიშვნელო ფარგლებში, უსათუოთ დასამარცხებლად განმზადებული, მაგრამ მაინც აჯანყების მსგავსი რამ, და შემდეგ აეტეხათ განგაში იმის შესახებ, რომ ქართველი ხალხი აჯანყდაო. ასეთი იყო მენშევიკების გეგმა.

მენშევიკების ანგარიშით ინგლის საბჭოთა ხელშეკრულების დადებამდე, ლონდონის კონფერენციის დასაწყისისათვის, საჭირო იყო აჯანყების სისხლიან კომედიის გათამაშება. ამ დავალებით საქართველოში იგზავნება ყოფილი ქალაქის თავი, სარისკიპოების გმირი და ლოთი ბენია ჩხიკვიშვილი, მენშევიკურ სახალხო გვარდიის ყოფილი ხელმძღვანელი ვალიკო ჯუღელი, რომელმაც სისხლში ჩაახრჩო ქართველი გლეხთა ათიოდე აჯანყება და მრავალი სხვა მენშევიკი. საგანგებო კომისია აპატიმრებს ჩხიკვიშვილს და მასთან პოულობს ნოე ჟორდანიას წერილის დედანს.

ეს წერილიც იყო გამოქვეყნებული ქართულ პრესსაში. არის ორი გზა—არიგებს ჟორდანია თავის პარტიას: პირველი არის დაცდა იმ მომენტისათვის, როდესაც საბჭოთა ხელისუფლება დაემხობა შინაგან წინააღმდეგობათა და საგარეო მდგომარეობის გართულების შედეგათ. მაშინ საქართველოც თავს დააღწევს ბოლშევიკების ხელისუფლებას. ეს გზა არის ხანგრძლივ ლოდინის გზა. იგი მე არ მაკმაყოფილებს, — აცხადებს ჟორდანია—მაგრამ არის მეორე გზაც: თვითონ ვეცადოთ ჩვენი განთავისუფლება. აღვმართოთ აჯანყება, მაგრამ არა მარტო საქართველოში, არამედ აგრეთვე სომხეთში, აზერბეიჯანში და დაღესტანში. ფრონტი გადატანილ უნდა იქნეს კავკასიის ქედის ხაზზე. თუ ჩვენვე არ დავიწყეთ ბრძოლა ბოლშევიკების წინააღმდეგ, ჩვენ არავინ არ მოგვეხმარება, თუ ჩვენვე ავიღებთ იარაღს ხელში, მაშინ დახმარებაც იქნება. კარგი იქნებოდა,—სწერს ჟორდანია,—რომ პირველათ აგვემოძრავებინა სომხები, აზერბეიჯანლები და მთიელნი და შემდეგ ჩვენ ავმდგარიყავით. წინააღმდეგ შემთხვევაში ჩვენი მოკავშირეები სანდო არ არიან. ეს მეორე გზა მე ძალიან მომწონს,—აცხადებს ჟორდანია. ასე არიგებდა თავის ქვეშევრდომთ ქართველ მენშევიკების ბელადი. ამ გეგმას მკაფიოთ აზის მე-2 ინტერნაციონალის ხელის, ფულის და ლოცვის ნიშნები.

მენშევიკური პარტიის შინაური მდგომარეობაც აგრეთვე აიძულებდა მას „პუტჩი“-ს მოწყობა, ძველი, მისგან ჩამოცილებული კადრების თავის მოყრა ორგანიზაციამ ვერ შესძლო ვერავითარი საშუალებით. 17.000 ყოფილ მენშევიკთაგან სულ ძალიან ბევრი მხოლოდ რამოდენიმე ასი კაცი დაბრუნდა პარტიის რიგებში სამუშაოდ. დანარჩენები იყოფიან სამ ჯგუფად: ერთი თანაუგრძნობს პარტიას, მაგრამ ორგანიზაციულად არ უკავშირდება მას. ეს ყოფილი მენშევიკების უმნიშვნელო ჯგუფია და პარტიას ის არასოდეს არ დაუბრუნდება. მან კიდევ უნდა განიცადოს იდეოლოგიური გადაგვარება. მეორე დი-

აი ასეთია ჩემი საერთო შეხედულება და იმედი მაქვს, რომ მიიღებთ მხედველობაში მას, როდესაც საჭიროთ დაინახავთ საკითხის პრაქტიკულად გადაჭრას.

დანარჩენს გადმოგცემენ ის ამხანაგები, რომლებიც მად მოემგზავრებიან.

ამხანაგური სალამით ნ. ჟორდანია.

წერილის დედანი ინახება ჩემთან. არქივი მოსპეთ“.

მაგრამ მიუხედავათ ასეთი კონსპირატიული სიფრთხილისა, ეს წერილი დღეს ჩვენ ხელშია. იგი ჩამოართვეს როგორც ვთქვი ბ-ნ ბენია ჩხიკვიშვილს.

ამ სადირექტივო წერილიდან სჩანს, რომ დასახული იყო ორი გზა საბჭოთა ხელისუფლების ჩამოსაგდებათ. მეორე გზა წარმოადგენს ამიერკავკასიის შინაგან ძალთა აჯანყებას, რომლის შესახებ ნოე ჟორდანია იძლევა რჩევას: პირველად დაიძრან აზერბეიჯანი და მთიელნი, შემდეგ კი უნდა აჯანყდეს მთელი საქართველო. იგი აღნიშნავს, რომ საქართველოს გამოსვლა აზერბეიჯანისა და მთიელების დაუხმარებლათ გამოიწვევს საქართველოს სრულ დამარცხებას და მაშინ, რასაკვირველია, მას არავინ არ დაეხმარება და გამარჯვებას ვერ მოიპოვებს. მენშევიკებისა და საუბედუროთ მოხდა ის, რომ მათ დაივიწყეს თუ არიეს ნოე ჟორდანიას გეგმა და გამოვიდნენ მარტონი შედეგების გაუთვალისწინებლათ. მოხდა ის, რაც მოსალოდნელი იყო: უაზრო და სულელი ავანტიურა. მაგრამ საქართველოდან შორს მყოფ ჟორდანიას შესაძლო იყო არ სცოდნოდა საქართველოში არსებული ფაქტიური პირობები და ამით შეეძლო შეცდომაში ჩავარდნილიყო თავის ავანტიურისტულ დირექტივების შედგენისას. სამაგიეროთ უფრო საინტერესოა მეორე ავანტიურისტის, დოკუმენტები ჯუღელის, რომელიც გამოგზავნილი იყო აქ სპეციალური დავალებით აჯანყების მოწყობისათვის.

მ. ჯუღელი

ჯუღელი გაეცნო აქაურ მდგომარეობას, მაგრამ მაინც არ შესდგა და პირიქით, დაიწყო მუშაობა გაორკეცებული ენტუზიაზმით იმავე ნოე ჟორდანიას საერთო ხელმძღვანელობით. ტყუილათ კი არ სწერდა ნოე ჟორდანია თავისი წერილის ბოლოში, რომ ამასთანავე ჩამოდიან მისი თანამოღვაწენი, რომლებიც შეუდგებიან აქტიურ მუშაობას, მართლაც აქ ჩამოვიდნენ ჯუღელი. ჩხიკვიშვილი, ვ. ცენტერაძე და სხვანი, [illegible] რომლებმაც ჩეკაში მოხვედრის [illegible] თუ შემდეგ პირდაპირ [illegible], რომ მათ მიზანს შეადგენდა აჯანყების მომზადება. ჯუღელი უეჭველათ იყო აჯანყების ორგანიზატორი და სულის ჩამდგმელი მაგრამ როდესაც მან თავი ამოჰყო საგანგებო კომისიაში მყისვე შესცვალა შეხედულება ამ საკითხზე. იგი დარწმუნდა, რომ შეიარაღებული გამოსვლა საბჭოთა ხელისუფლების წინააღმდეგ ამჟამათ იქნებოდა სრულიათ უაზრო ავანტიურა. იგი სწერდა საგანგებო კომისიიდან: „თქვენ კარგათ მიცნობთ მე და ადვილათ გაიგებთ, რომ მე არ ჩამოსულვარ საქართველოში დასასვენებლად ან გაზაფხულის შესახვედრათ. ვაცხადებ სრულიათ გულწრფელათ და ყველას გასაგონათ, რომ მე ჩამოვედი გარკვეულ მიზნით: პირველათ ყოვლისა [illegible] საქმის ნამდვილ ვითარე[illegible], — თუ მდგომარეობა ხელს [illegible]ობდა, — მომემზადებინა [illegible] და სახალხო აჯანყება“-ო. თქვენ [illegible]გებო, რომ იგი აქ შეხვდა თავის უკანასკნელ გაზაფხულს. ჯუღელი ჩამოვიდა „სახალხო აჯანყების“ მოსამზადებლათ. შემდეგ იგი სწერს: „გავითვალისწინე რა ის გარემოება, რომ რამდენათაც ინგლის-საბჭოთა კონფერენცია ჯერ დამთავრებული არ იყო, საერთაშორისო მდგომარეობა ჩვენ ხელს გვიწყობდა და რომ მოსკოვი ყველგან ხმა-მაღლა აცხადებდა, რომ ის ცნობს ერთა თვითგამორკვევის და მათი სრული გამოყოფის უფლებას, მე დარწმუნებული ვიყავი, რომ მოსკოვი ადვილათ სცნობს „საქართველოს დამოუკიდებლობის“ აღდგენის ფაქტს, რამდენათაც ქართველი ხალხი შესძლებდა ამ ფაქტის შექმნას და რამდენათაც ამ ფაქტს სცნობდა ლონდონის კონფერენციაც. უნდა ვთქვა, რომ მე სრულიათ ქიმერიულათ და არა სასურველათაც მიმაჩნდა მესამე ძალის ჩარევა და საერთაშორისო მდგომარეობის ხელსაყრელობა მესმოდა იმ მნიშვნელობით, რომ თვით ფაქტი საქართველოს დეოკუპაციისა მოიპოვებდა ინგლის-საბჭოთა კონფერენციაზე ძლიერ დახმარებას, რომლის წინაშე ერთა თვითგამორკვევისა და დამოუკიდებლობაზე მღაღადებელი მოსკოვი იძულებული [illegible] დაუყოვნებლივ ეცნო ეს სახალხო აქტი. ასეთი იყო ჩემი მოსაზრებები“.

მამასადამე ჯუღელი ასე მსჯელობდა: თუ იგი მოახერხებს საქართველოში სახალხო აჯანყების მოწყობას და „საქართველოს დეოკუპაციის“ ფაქტის შექმნას, ევროპა მიაქცევს ამას ყურადღებას და მოსკოვიც იძულებული იქნება გაუწიოს მას ანგარიში. მაგრამ საგანგებო კომისიის ატმოსფერის გავლენით, სადაც ის გაეცნო მათი ბნელ საქმეთა სარჩულსაც, ჯუღელის მსჯელობა სწრაფად შეიცვალა. ამის შემდეგ იგი უკვე სწერდა თავის წერილში, რომ „დადგა მომენტი, როდესაც გრძნობების ლოღიკა უნდა დაუმორჩილდეს ფაქტების ლოღიკას და როდესაც სუბიექტიური მომენტი უნდა ემსხვერპლოს საზოგადოებრივს“. ჯუღელის ეს განცხადება დაწერილი იყო 26 აგვისტოს, ე. ი. ორი დღით წინ აჯანყებამდე. მაგრამ ამაზე ადრე, — ორი კვირით წინ აჯანყებამდე, სახელდობრ 12 აგვისტოს, როდესაც [illegible] და ჩვენც გვქონდა სწორი ცნობა აჯანყების 15 აგვისტოსათვის დანიშვნის შესახებ, — ჯუღელი სწერდა თავისი პარტიის ც. კ—ს აჯანყების საკითხის მოხსნის შესახებ „საჭიროა სრულიად მოიხსნას საკითხი აჯანყების შესახებ და ქართველი ხალხი განთავისუფლდეს საშიშარ ილიუზიისაგან“ და შემდეგ: „ფაქტების ლოღიკა ჩვენს სურვილებზე უფრო მძლავრი გამოდგა და ენერგიულ ბრძოლისაკენ მოწოდების მაგიერ მე მოგიწოდებთ ყოველგვარ სახის ბრძოლისაგან ხელის აღებაზე. ჩემთვის სრულიად აშკარა გახდა, რომ ის დიდი საკითხი, რომლის ენტუზიასტი სხვაზე მეტი მე ვიყავი, არსებულ პირობებში განწირულია დამარცხებისათვის და რომ ავანტიურის გარდა აქედან არაფერი გამოვა. თქვენც იცით, რომ ბუნებით მე ავანტიურისტი არა ვარ და ამიტომაც ფიქრებისაგან თავი მისკდებოდა“-ო.

რაც შეეხება იმას, რომ ჯუღელი ავანტიურისტი არ არის, — ეს ძნელი სათქმელია. რომ ის დიდი ავანტიურისტია, მან დაამტკიცა მთელი თავისი წარსულით. ხოლო რაც შეეხება იმ აზრს, რომ მენშევიკების გამოსვლა იმთავითვე იყო განწირული დამარცხებაზე და რომ ეს გამოსვლა ავანტიურა იყო, — ამაში ის არ შემცდარა.

საკითხავია, რატომ ვერ აიცილა ჯუღელმა საქართველოს ეს „აჯანყება“? ეს აიხსნება საერთო პირობებით, რომლებშიაც მუშაობდა მენშევიკური პარტია. მენშევიკების ყველა მეთაურები, ჩავარდებოდენ თუ არა საგანგებო კომისიაში, სწრაფათ ფხიზლდებოდენ და სწერდენ ჯუღელის განცხადების დაგვარ წერილებს. ასე რომ თავისუფლათ დარჩენილმა მენშევიკებმა უკვე დაჰკარგეს მათდამი რწმენა. იგივე შეემთხვა ჯუღელსაც. იგი მოუწოდებდა აჯანყების მოხსნისაკენ, მაგრამ მენშევიკებმა არ გაუგონეს ჯუღელს და მაინც გადადგეს ეს უაზრო ნაბიჯი. რაც შეეხება თვით ჯუღელს და იმას, თუ რატომ უარჰყო მან საბჭოთა ხელისუფლებასთან ბრძოლა, ამის გასაგებათ მნიშვნელოვანია შემდეგი ფაქტი: მან ეს უარჰყო არა იმიტომ, რომ იცოდა მშრომელთა მასსის თანაგრძნობა საბჭოთა ხელისუფლებისადმი [illegible] არამედ იმიტომ, რომ იცოდა რა რიგ იცავს კომუნისტური პარტია და საბჭოთა ხელისუფლება მშრომელთა ინტერესებს. არა, მან უარჰყო ბრძოლა იმიტომ, რომ იგი იყო უბადრუკი მშიშარა, რომელმაც დაინახა რა საგანგებო კომისიაში, რომ განზრახულ ავანტიურიდან არა გამოვა რა, რომ იგი ულმაზოდ დამთავრდება, გადასწყვიტა გადაერჩინა თავისი საცოდავი ტყავი. ამიტომ მივიდა ჯუღელი იმ დასკვნამდე, რომლის შესახებ იგი სწერს თავის წერილში. მაგრამ ჯუღელის ცოდვათა მონანიებაში ჩვენ საქმე გვაქვს არა გულწრფელი განცხადებასთან, არა იმის აღიარებასთან, რომ მის მიერ აღებული გზა დამღუპველი იყო ქართველი ერისათვის, არამედ საწყალ მშიშარასთან წვრილ-ბურჟუაზიულ პრანჭიასთან, რომელმაც არ უწყის, რასა იქს. ის თვითონ ამზადებდა ავანტიურას, თვითონ არიგებდა იარაღს, მან თვითონ მიიყვანა საქმე საბოლოო მომენტამდე და როდესაც ეს ბინძური საქმე უკვე მზათ იყო, როდესაც „მონასტერი აირია“ ის დაფრთხა იმის წინაშე, რაც თვითონვე მოიმოქმედა, საკუთარმა ჩრდილმა შეაშინა იგი. იმათ კი, ვინც მას გაჰყვა არ შეეძლო შუა-გზაზე გაჩერება, არ შეეძლოთ ამ სულელურ ავანტიურის შეწყვეტა, და დაიწყო ავანტიურისტთა ჯგუფის გამოსვლა: 28 აგვისტოს დილის 4 საათზე ჩვენ მივიღეთ ცნობა, რომ ჭიათურაში გამოვიდნენ მენშევიკური ბანდები რომლებმაც მოახერხეს მოკლე ხნით ქალაქის ხელში ჩაგდება.

დი ნაწილი ყოფილი მენშევიკებისა ეხლა პარტიის გარეშე დარჩენილი, მაგრამ ჩვენი თანამგრძნობია, და მესამე კომუნისტური ნაწილი მუშებისა, ყოფილი მენშევიკებისა. არც ერთი ამ ჯგუფთაგანი არ დაუბრუნდება უკან არალეგალურ ორგანიზაციას.

სამაგიეროთ მენშევიკები წარმატებით აგროვებენ ახალ, აქამდე მათთვის უცხო სოციალურ ელემენტებს: ეს ექსპროპრიაციაქმნილი და რევოლიუციის მიერ დაჩაგრული ყოფილი მემამულეები, თავადები, აზნაურები, ნიკოლოზის ყოფილი გენერლები და ოფიცრები, სპეკულიანტი ვაჭრები, ნაწილი სოფლის კულაკებისა და უსაქმოდ დარჩენილი (საქართველოში თვითონ გლეხების მიერ დაკეტილია 1500 ეკლესია) სამღვდელოება, ყოველ ჯურის მღვდლები. ამ ელემენტებს დემოკრატიაზე ლაპარაკი არ სჭირდებათ. ისინი გაერთიანდენ მენშევიკებთან ერთიან ნაციონალური ფრონტის პლატფორმაზე და უჭერენ მხარს, უკაცრავათ პასუხია „პარტიებს“ (ნაციონალ-დემოკრატები, ს.-ფედერალისტები), რომლებთანაც მენშევიკებმა შეადგინეს ეგრეთ წოდებული პარიტეტული კომიტეტი. ამ პარაზიტულ ელემენტებს დასაკარგი არაფერი აქვთ-რა.

მენშევიკები პირდებოდენ მათ ევროპის ბურჟუაზიის იმედით „ევროპის“ დახმარებასაც და ძველი კეთილდღეობის დაბრუნებასაც. ამ დომხალიდან, საზოგადოების ნაძირალებიდან შექმნა რაიმე მტკიცე ორგანიზაციის, რომელსაც შესძლებოდა ხანგრძლივი არალეგალური ბრძოლა, რასაკვირველია, წარმოუდგენელია. მათი გამოყენება შეიძლებოდა მხოლოდ ბანდიტური გამოსვლებისთვის, მხოლოდ ამისთვის არიან ისინი გამოსადეგი.

მთელ რიგ დაპატიმრებათა გამო, რომლებიც აგრეთვე გამოწვეულია მხოლოდ იმით, რომ ორგანიზაცია საბოლოოდ გახრწნილია, მენშევიკებმა მრავალჯერ გაუშვეს დრო, რომლისთვისაც მათ დანიშნული ქონდათ „აჯანყება“. და ან რა აჯანყებაზე შეიძლება ლაპარაკი, როდესაც შენს მხარეზე არ არის რამოდენიმე მაინც ფართო მასსების თანაგრძნობა?

ინგლის-საბჭოთა კავშირის კონფერენცია დასრულდა. ხელშეკრულებას ხელი მოაწერეს. ბ-ნმა ვალიკო ჯუღელმა, რომელიც დაპატიმრებულ იქნა ერთი დღით წინ ლონდონის ხელშეკრულების ხელისმოწერამდე, გაიგო რა ამის შესახებ გაზეთებიდან, წამოიძახა, როგორც შეეფერება პოზის და ფრაზის მოყვარულს: „ეხლა ყველაფერი დაიღუპა“!..

მენშევიკური პარტია იძულებული იყო თავდავიწყებით შესდგომოდა უაზრო საშინელ ავანტიურას. ეს უსათუოდ არის მენშევიკების უკანასკნელი „გმირობა“ ქართულ მიწაზე.

წარმოუდგენელია რამე იმაზე უფრო სულელური და უბადრუკი, ვიდრე ორი სამი ბანდის გამოსვლა ჭიათურაში და საქართველოს პროვინციის სხვა ადგილებში ეს დაუყოვნებლივ ჩაქრობილ იქნა და ყველაზე მეტი, რაც შეიძლება მისგან დარჩეს, ეს იქნება მეორე წყვილი წვრილი ბრბოისა, რომელიც კიდევ რამოდენიმე ხანით იქნება დამალული სადმე მიკარდნილ მთებში და ტყეებში. ეს სისხლის მღვრელი, მაგრამ უბადრუკი კომედია, „აჯანყებისა“ არ იქნებოდა ყურადღების ღირსი, რომ ის არ იყოს უმნიშვნელოვანესი, ცენტრალური პუნქტი უკანასკნელი წლის მენშევიკების მთელს პოლიტიკაში. ამ მხრივ, როგორც მენშევიკური საქმიანობის ჯაჭვის უკანასკნელი რგოლი, ის უსათუოდ შეიცავს დიდ ინტერესს. და ამ მხრით ის შედეგებსაც მეტს მოიტანს. პირველი და ყველაზე უმთავრესი შედეგი მენშევიკური „პუტჩის“ იქნება ის, რომ მენშევიკური პარტია დაუბრუნებლად წაიშლება საქართველოს საზოგადოებრივ ასპარეზზე. ის ამორიცხული იქნება საქართველოს საზოგადოებრივი ცხოვრების ანგარიშებიდან. უმისოდაც ის წარმოადგენდა გახრწნილ, გვამს ეხლა ეს გვამი გადათრეული იქნება. ჩვენ არ ელაპარაკობთ, ცხადია, მარტო რეპრესიული ზომების შესახებ. (საბჭოთა ხელისუფლება საქართველოში უაღრესად ლმობიერი იყო მენშევიკებისადმი: არც ერთი აშკარა ჯაშუში, ბანდიტი, კაცის მკვლელი, მძარცველი, თუ ისინი ეფარებოდენ მენშევიკების სახელს და მუშაობდენ ამ პარტიაში, რომლებიც ასობით უვარდებოდენ ხელში „ჩეკას“, საბჭოთა ხელისუფლების უკანასკნელი თითქმის წლინახევრის განმავლობაში არ დაუსჯია უმაღლესი სასჯელით. ეხლა ცხადია, რომ უაზრო პროვოკაციის საპასუხოდ ხელისუფლება იძულებული იქნება სასტიკად და სამაგალითოდ დასაჯოს დამნაშავეები).

საქმე იმაშია, რომ უკანასკნელი ბრძოლის წაგებით მენშევიკები ჰკარგავენ ყოველგვარ ნიადაგს საქართველოში. უკანასკნელად მათ სცადეს დაყრდნობა შავრაზმულ აზნაურებზე და ოფიცრებზე, მაგრამ არც აქ გაუმართლდათ იმედი. ეხლა კი მათ არ შეუძლიათ რაიმეს დაემყარონ საქართველოში. რევოლიუციის მრისხანე ქარით საქართველოდან გამოწმენდილია მენშევიზმი, როგორც ნაგავი სამუდამოდ და საბოლოოდ.

ბ. ლომინაძე.

ვინ გამოვიდა ჩვენ წინააღმდეგ

საინტერესოა ვიცოდეთ, ვინ იღებდა მონაწილეობას ამ აჯანყებაში? მასში მონაწილეობას იღებდა თავად-აზნაურობა, ოფიცრობა, მღვდლები, და მრეწველები — ვაჭრები. არ ყოფილა არც ერთი მუშა, არც ერთი გლეხი. უკანასკნელ ხანებში ჩვენ მივიღეთ ამ რაიონიდან ცნობები და ეხლა უკვე სავსებით დამტკიცებულია, რომ შორაპნის მაზრაში და ჭიათურაში ადგილი ჰქონდა მემამულეების თავად-აზნაურობის ბუნტს საბჭოთა ხელისუფლების წინააღმდეგ და არავითარ შემთხვევაში არა სახალხო აჯანყებას. ჩვენს წინააღმდეგ გამოვიდენ აბაშიძეები, აბდუშელიშვილები და წერეთლები. მთელი ეს ხალხი გაერთიანებული არიან სიძულვილით საბჭოთა ხელისუფლების წინააღმდეგ და დაინტერესებული არიან მემამულეებისათვის მიწების და კაპიტალისტებისათვის ფაბრიკა-ქარხნების დაბრუნებით. ძალიან საინტერესოა ვიცოდეთ, როგორ გამოიჩინეს იმათ თავი და რას გააკეთებდენ ისინი, როგორც კი ხელში ჩაიგდეს ძალა-უფლება? აი მაგალითად, შორაპნის მაზრაში მოხდა მენშევიკების და თავად-აზნაურების დამახასიათებელი ღირსშესანიშნავი ფაქტი. როგორც კი გამოვიდენ ისინი, მოსთხოვეს გლეხებს „ღალას“ გადახდა 1917 წლიდან.

„ღალა“ — არის გადასახადი, ხარკი, რომელსაც გლეხები აძლევდენ მემამულეებს. გარდა ამისა მათ უნდოდათ დაებრუნებიათ ჩამორთმეულ მიწები მემამულეებისათვის, მაგრამ იცოდენ რა, რომ ვერ მოასწრებდენ ამის ჩადენას, რადგან ისინი წარმოადგენდენ „დროებით მთავრობას“, მათ გასჭრეს მთელი სიმინდი, რომელიც ჯერ კიდევ მოუსვლელი იყო და გადასცეს იგი თავად-აზნაურებს.

აი ყველა ასეთი ფაქტები მჭერმეტყველურად ახასიათებს თვით მოძრაობას და მოწმობს იმის შესახებ, რომ ჩვენ საქმე გვაქვს გათავხედებულ თავად-აზნაურობასთან, რომლებიც დაინტერესებული არიან კერძო საკუთრების აღდგენით. როგორც კი მათ მოახერხეს ძალა-უფლების ხელში ჩაგდება, თუნდაც დროებით ერთი საათით, იმათ მაშინვე გამოამჟღავნეს თავიანთი თავადური ფიზიონომია და ამიტომ გლეხები [illegible] ამ ფიზიონომიას და თავის კეტები მათ წინააღმდეგ მიმართეს.

დამახასიათებელია ისიც, რომ გამოსვლების შემდეგ ძალა-უფლება ნაციონალისტების და სოციალისტ-ფედერალისტების ხელში გადაიოდა, რადგან მენშევიკებს, როგორც ამას ადგილი ჰქონდა [illegible], არ შეეძლოთ ძალა-უფლება შეენარჩუნებინა [illegible] ძალებით. მაგალითად, ჭიათურაში დროებით ხელისუფლების სათავეში, [illegible]ლიც უდროოდ გარდაიცვალა. [illegible] ვიღაც გიორგი წერეთელი, რომელსაც არაფერი საერთო არ აქვს პოლიტიკასთან, არაფერი არ გაეგება პოლიტიკურ ცხოვრების, იმდენი [illegible] გაეგება პოლიტიკური საკითხების, რამდენიც ღორს ფორთოხლის და არის პოლიტიკური უვიცი და სრული იდიოტი (სიცილი).

და აი ამ თავადმა გამოუშვა მოწოდება, რომელშიაც ლაპარაკობს იმის შესახებ, რომ ბოლშევიკები ცხოვრობენ განცხრომით, ემყარებიან რუსეთის უხეშ ძალას და ხიშტებს, ხოლო ჩვენ კი ვიტანჯებით „ამიტომ ჩვენი უმთავრესი ლოზუნგი უნდა იყოს ჩვენი ძვირფასი სა[illegible]ლოს განთავისუფლება, ვინაიდან ჩვენ გვიყვარს ის, გვიყვარს ჩვენი თავისუფლება და არავის არ დავუთმობთ მას“.

თურმე, წერეთელს უყვარს ყოველგვარი თავისუფლება. მოწოდება თავდება შემდეგი სიტყვებით: „დიდება და საუკუნო ხსოვნა დაღუპულ მებრძოლებს“ ე. ი. იმ ქართველებს, რომლებიც ჩვენ დავხვრიტეთ — ოფიცრებს, თავადებს და სხვ.

ამ დროებითმა მთავრობამ იარსება სულ 22 საათი, და საკმაო იყო გამოჩენილიყვნენ ჩვენი წითელ-არმიელები, რომ ეს გმირები გამქრალიყვნენ და მათი კვალიც არ დარჩენილიყო.

დამახასიათებელია აგრეთვე ის დოკუმენტებიც, რომლებიც მოწმობენ იმას, თუ როგორ ატყუებდენ ისინი მუშებს და გლეხებს იმ ადგილებში, სადაც შედიოდენ. ისინი ავრცელებდენ ხმებს იმის შესახებ, რომ აღებულია თბილისი და ბაქო, აჯანყდენ ამიერ-კავკასიის ყველა ერები, ხოლო მათ შემდეგ აჯანყდება მთელი რუსეთი. აქ ხელთა გვაქვს ერთი პროკლამაცია, რომელსაც წაგიკითხავთ თქვენ.

აი ამ პროკლამაციების ზოგიერთი ადგილები.

„**ყველა ეროვნებათა მოქალაქეებს!**

მოქალაქენო! მოთმინების ფიალა აივსო, ამხედრდა საყოველთაოდ მთელი ხალხი, აღშფოთებული იმ უზურპატორების ცინიზმით, რომლებიც განაგებენ ყალბად, მუშების და გლეხების სახელით, რომლებმაც მშრომელი ელემენტი მიიყვანეს სრულ გაღატაკებამდე და სიმშილობამდე.

აჯანყდენ ამიერ-კავკასიის და კავკასიის ყველა ერები, მათ შემდეგ აჯანყდება მთელი რუსეთიც.

მოქალაქენო, სხვა გამოსავალი არ არის, შეუერთდით აჯანყებულთა რიგებს, დაეხმარეთ განთავისუფლების საქმეს, ვისაც რითიც შეგიძლიათ, — იარაღით, სიტყვით, ფულით.

გაერთიანდით საქართველოს დამოუკიდებლობის კომიტეტის გარშემო.

წარსული შეცდომები არ განმეორდება. ყველანი საერთო მტრის წინააღმდეგ, წინააღმდეგ სახელმწიფოს, კულტურის და ცივილიზაციის მტრისა.

ერთხელ და სამუდამოდ ბოლო მოვუღოთ ისტორიაში არ ყოფილ ხელისუფლებას მკვლელებისა და მძარცველების. ჩვენს მხარეზეა ევროპა, ჩვენს მხარეზეა მთელი კულტურული მსოფლიო.

გაუმარჯოს ნამდვილ მოქალაქეობრივ თავისუფლებას.

ძირს კომუნისტების ძალადობა!

ძირს ტირანები!

საქართველოს დამოუკიდებლობის კომიტეტი“.

მეორე პროკლამაცია მიმართულია ჯარისკაცების მიმართ და ესეც მეტად დამახასიათებელია, რამდენადაც მათ სურდათ პროვოკაციით შეცდომაში შეეყვანათ არა მარტო მოსახლეობა, არამედ აგრეთვე ჩვენი სახელოვანი არმიის ჯარისკაცებიც.

„ჯარისკაცებს“.

საქართველოს მუშემი და გლეხები დიდხანს სდუმდენ და ითმენდნენ, მაგრამ ყოველგვარ მოთმინებას ბოლო აქვს.

და აი საქართველოს მთელი მოსახლეობა, როგორც ერთი კაცი, დღეს აღსდგა მოძალადების წინააღმდეგ, აღსდგენ კომუნისტების ხელისუფლების წინააღმდეგ კავკასიის ყველა ერები, კავკასიას აჰყვება მთელი რუსეთი.

კმარა მოტყუილება, შეურაცყოფა. კმარა სისხლი და სიმშილი.

წითელარმიელებო, რუსებო, სომხებო, თურქებო, აჯანყებული ქართველი ხალხი მიმართავს თავის ტყვია და ხიშტებს არა თქვენს წინააღმდეგ არამედ წინააღმდეგ მოღალატეებისა მოძალადეებისა, წინააღმდეგ დაქირავებულ მკვლელებისა.

ქართველი ხალხი არავის არ უცხადებს ომს.

მას სურს მხოლოდ თავისი დამოუკიდებლობის მოპოება.

წითელარმიელებო, დაეხმარეთ ამ განთავისუფლების საქმეს, შეუერთდით აჯანყებულთა რიგებს. არ დაუჯეროთ ამის შემდეგ კომისრებს და პოლიტიკურ ხელმძღვანელებს.

განაიარაღეთ და დააპატიმრეთ ისინი. ჩვენ უზრუნველვყოფთ თქვენ ხელშეუხებლობას და სასწრაფოდ დაბრუნებას სამშობლოში.

ვინც ჩვენთან არ არის ის ჩვენი წინააღმდეგია.

გაუმარჯოს ერთა ძმობას“.

ეს არის წმინდა პოლიტიკური დოკუმენტი, რომელიც თავში სცემს მენშევიკებს. წინად ისინი სწერდენ, რომ რუსეთის წითელი არმიას აქვს დაპყრობილი საქართველო, რომ საბჭოთა საქართველო დამყარებულია რუსის ჯარისკაცების ხიშტებზე და რომ ჩვენ ვაწარმოებთ ბრძოლას მხოლოდ და მხოლოდ საოკუპაციო ჯარების წინააღმდეგო. ეხლა კი აცხადებენ, რომ ისინი არ არიან სომხების, რუსების წინააღმდეგ, არამედ ისინი იბრძვიან მოძალადეების წინააღმდეგ. მაგრამ რომელი მოძალადეების? ამას წინად ნოე ჟორდანიამ გამოუშვა ბროშიურა, რომელშიაც სწერდა: „ტყუილად გატყუებენ თქვენ კომუნისტები, რომლებიც ამბობენ რომ ჩვენ ვიბრძვით საქართველოს საბჭოთა მთავრობის წინააღმდეგ, ჩვენ ვიბრძვით არა საქართველოს მთავრობის, არამედ საოკუპაციო ძალების წინააღმდეგ“. როგორც ხედავთ, ამათ ერთის მხრივ არაფერი აქვთ საწინააღმდეგო საქართველოს საბჭოთა მთავრობის, არამედ ისინი იბრძვიან მხოლოდ საოკუპაციო ჯარების წინააღმდეგ, ხოლო მეორეს მხრივ დასტოვებით გზავნიან აქ ავანტიურისტებს, რათა შექმნან პირობები და შესაძლებლობა საქართ. მთავრობის ჩამოსაგდებად. ფურცლებში კი ისინი სცდილობენ პროვოკაციის გავრცელებას წითელ არმიაში, მაგრამ მათი პროვოკაცია ვერ აღწევს მიზანს. როდესაც წერეთელი შევიდა შორაპანში, მას ჰყავდა სულ 20-30 შეიარაღებული ბანდიტი, შემდეგ მას შეუერთდა 100—150 კაცი. ბანდიტებმა მოახერხეს ჩვენი ამხანაგების დაპატიმრება, მაგრამ როგორც კი გამოჩნდა ჩვენი ჰაეროპლანი, ისინი ყველანი გაიფანტენ. პირველად იმათ ეგონათ, რომ გამოჩნდა საზღვარგარეთელი ჰაეროპლანი, რომელშიაც ზის ნოე ჟორდანია, რადგან იმათ ვერ გაარჩიეს (იუნკერსზე უცხო ასოები ეწერა), მაგრამ როგორც კი ჰაეროპლანიდან აუტეხეს სროლა ტყვიისმფრქვეველებიდან, მათ იმედი გაუცრუვდათ, ისინი „ნოე ჟორდანიასაგან“ შორს გაიქცენ და მიატოვეს დაპატიმრებული ჩვენი ამხანაგები.

მხოლოდ ერთი ჰაეროპლანის გამოჩენამ გააქრია ეს „შეიარაღებული ძალა“. აი ასეთი იყო დროებითი მთავრობა შორაპნის და ჭიათურის რაიონებში. იგი შესდგებოდა მხოლოდ თავად-აზნაურებისა, ბანდიტებისა და ოფიცრებისაგან.

სხვა რაიონებში, როგორც მაგ. სენაკის და ზუგდიდის მაზრებში სამეგრელოში 29 აგვისტოს ე. ი. მეორე დღეს, როგორც სჩანს მენშევიკებსაც ჰქონდათ გეგმა ერთსა და იმავე დროს მოეხდინათ აჯანყება სხვადასხვა რაიონებში მოხდა შეიარაღებული გამოსვლა რამდენიმე ოფიცერი, თავადები და აზნაურები თავს დაესხენ სენაკს. აქაც „დროებითი მთავრობის“ ბატონობა გაგრძელდა ერთი-ორი დღე. სენაკის ხალიფებმა ერთი საათი აგრეთვე გამოუშვეს პროკლამაციები და დამახასიათებელია ის, რომ ბანდიტების ეს პროკლამაციები ამ რაიონებში უფრო მკაფიოდ გამოხატავენ ამ ვაჟბატონების ბუნებას. ასე მაგალითად პროკლამაციის თავში დახატულია „საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის ღერბი“ სახელდობრ წმინდა გიორგი თეთრ ცხენზე — ეს არის თეთრი საქართველოს ემბლემა — როგორია მათი დროშა? მათი პროგრამა? ისინი უჩივიან იმას, რომ მშრომელებმა დახურეს 1400 საყდარი, გადააკეთეს ისინი კლუბებად, მღვდლები განდევნეს, ხოლო კომკავშირელები ეკლესიებში მართავენ წარმოდგენებს, რომ ბოლშევიკები ხვრეტავენ საუკეთესო ადამიანებს და მიუთითებენ 15 თავად-აზნაურ შეთქმულებზე, რომლებიც „ჩეკამ“ დახვრიტა. შემდეგ ისინი სჩივიან, რომ აღარ არის საქართველოს დამოუკიდებლობა და მთავარ ლოზუნგათ აყენებენ შემდეგს: „ჩვენ მოვითხოვთ საქართველოს დამოუკიდებლობას, ქრისტიანულ სარწმუნოებას და კერძო საკუთრებას“.

როგორც ხედავთ, ამხანაგებო, მათი მოთხოვნილება სავსებით „სოციალისტურია“. ერთის მხრივ „საქართველოს დამოუკიდებლობა“ ხოლო მეორეს მხრივ მენშევიკების გამოსვლა მღვდლების, ქრისტიანულ სარწმუნოების შემადგენელთა ახალ როლში და კერძო საკუთრების დაცვა. აი „აჯანყებულ“ ბანდების დროშა. აქვე უნდა ვსთქვათ, რომ მღვდლები მათ სულმოდგინეთ ეხმარებოდენ. ასე მაგ. ვერ მოასწრეს ბანდიტებმა სენაკის რაიონში შესვლა და მაშინვე გადახდილი იქნა სამადლობელი პარაკლისი მათი მოსვლის გამო. მაგრამ როგორც კი სენაკის მაზრაში გამოჩნდა წითელი არმია, ბანდიტები მაშინვე გაიფანტენ სიმინდებში და დაიწყეს იქიდან უთავბოლო სროლა. შეკითხვაზე, თუ რამდენი ბანდიტი იყო სენაკში, ჩვენ ვერ გვიპასუხეს, რადგან ეს ბანდიტები მიიმალენ სიმინდებში და ძნელი იყო მათი დათვლა. ასე რომ სამეგრელოში ჩვენ საქმე გვქონდა ჩალის გმირებთან. სამეგრელოში ყოფნის დროს ერთი კვირის განმავლობაში ბანდიტებმა გამოუშვეს 5 ბრძანება. მე თქვენ წაგიკითხავთ უფრო დამახასიათებელ ბრძანებას, სახელდობრ ბრძანებას № 5, სადაც მენშევიკებმა ხელი მოჰკიდეს ახალ საქმეს, სახელდობრ ყველა კომუნისტების რეგისტრაციას. ბრძანებაში გამოცხადებულია, რომ ისინი, ვინც თავის ნებით არ გამოცხადდებიან ჩაითვლებიან ბანდიტებად, ხოლო ვინც გამოცხადდება მათ მოექცევიან 5-ე მუხლის თანახმად. თუ რას ნიშნავს ეს 5-ე მუხლი არ ვიცით. გარდა ამისა აქვე აღნიშნულია, რომ უნდა ახელმძღვანელონ პარტკომის სიებით. შემდეგ მათ აქვთ სავალდებულო დადგენილება, რომელიც ყველგან იყო გაკრული და ამ დადგენილების 4-ე მუხლში ნათქვამია: „წინადადება ეძლევა ყველა სისხლის სამართლის დამნაშავეებს, რომლებიც ციხიდან იქნენ განთავისუფლებულნი დაიცვან წესრიგი და დაემორჩილონ ახალ მთავრობას“. ისინი არ კმაყოფილდებოდენ მით რომ მათ წრეში იყვნენ ბევრი ბანდიტები, მათთვის საჭირო იყო ყველა სისხლის სამართლის დამნაშავეთა განთავისუფლება. სავსებით გასაგებია, რომ ციხიდან განთავისუფლებული სისხლის სამართლის დამნაშავენი დაიცავდენ ახალ ბანდიტურ წესრიგს, რომელიც დამყარებული იქნა ახალი ძმების — მენშევიკების მიერ. ერთ-ერთ ფურცელში ნათქვამია: „თუ ქართველ კომუნისტებს ჰყავთ რუსეთი, ჩვენ გვყავს ევროპა“. (სიცილი).

ჩვენ ხელთ არის კიდევ ერთი კურიოზული ბრძანება — დოკუმენტი, რომელიც ბანდიტებმა გამოსცეს პრიუტში, მანგლისის მახლობლად. იგი ვიღაც ჩიქოვანმა, მგონი, ყოფილმა ბოქაულმა და უვიცმა პირმა გამოუშვა მოწოდება და ხელი მოაწერა, როგორც „დროებითმა კომენდანტმა“. მართლაც ის აღმოჩნდა ძლიერ დროებითი, დარჩა სულ 2 საათი და შემდეგ მიიმალა. მან გამოუშვა „საველე შტაბის“ სახელით ბრძანება, რომელშიაც ნათქვამია: „სოფელ პრიუტის ყოველმა მოქალაქემ უნდა დაიცვას სიმშვიდე და კეთილგანწყობილება ქაქუცა ჩოლოყაშვილის ჯარებისადმი. იმ შემთხვევაში, თუ ვინმე გაუწევს დახმარებას საბჭოთა მთავრობას და მიიღებს აქტიურ მონაწილეობას ჩოლოყაშვილის ჯარების წინააღმდეგ, ის მიცემული იქნება საველე სასამართლოში. სოფელ პრიუტის ყოველმა მოქალაქემ უნდა იცოდეს, რომ ის არის საქართველოს რესპუბლიკის სრულუფლებიანი მოქალაქე.

პრიუტის დროებითი კომენდანტი ჩიქოვანი“.

და ეს არის „საველე შტაბის“ ბრძანება.

როგორ ადვილად ხდება თურმე ამნაირი ამბები, — მოვა ერთი ბანდიტი, მოიყვანს ერთ-ორ ძმა-ბიჭს და ამას უწოდებენ შტაბს.

ამ წერილის სტილი შეუდარებელია — წმინდა პოლიციურია.

შემდეგ გვაქვს დიდი მოწოდება, რომელშიც ეს ვაჟბატონი, დროებითი კომენდატი ჩიქოვანი, მიმართავს „ხალხს“.

„სოფელ პრიუტის მოქალაქენო დადგა დრო, როდესაც დაჩაგრული საქართველო აღსდგა საბჭოთა ხელისუფლების ტირანიის წინააღმდეგ.

ინტერნაციონალის წითელი დროშის ქვეშ, მუშათა ჩაგვრისაგან განთავისუფლების ლოზუნგით შემოიჭრენ მოღალატენი, წითელი ჯალათები საქართველოს საზღვრებში და ცეცხლს და მახვილს მისცენ ქართველი ხალხი.

საქართველოს ხალხი აღსდგა თავისი მჩაგვრელების წინააღმდეგ და მოუხმო საქართველოდან, შემდეგ ხელიხელ ჩაკიდებული მიდიან ამიერ-კავკასიის წვრილი ერები.

მოქალაქენო, ვისაც სურს თავისუფლება, მოქალაქის უფლება, მან ხელი უნდა შეუწყოს აჯანყებას და უკანასკნელ ძალ-ღონემდე უნდა ებრძოლოს მტრებს.

რუსო მცხოვრებლებო იყავით დარწმუნებული, რომ თქვენ წარმოადგენთ საქართველოს რესპულიკის სწორუფლებიან მოქალაქეებს და თქვენი ინტერესები დაცული იქნება საქართველოს მთავრობის კანონით.

პრიუტის რაიონის დროებითი კომენდანტი.

(ჩიქოვანი).

ასეთივე კარიკატურული და იუმორისტული სახის ბრძანებებს და მოწოდებებს ჰქონდა ადგილი დუშეთის რაიონშიაც. იქ იყო გამოშვებული რამოდენიმე პროკლამაცია, რომლებშიაც ნათქვამია შემდეგი:

„თქვენ ნუ გეშინიათ ახალგაზრდა კომკავშირელების. როგორც კი ვნახავთ კომკავშირელს, მაშინვე მოვსჭრით თავს და მივართმევთ ბრეგვაძეს“.

როგორც სჩანს მათ ძლიერ ეშინიათ ახალგაზრდა კომკავშირელების, ვინაიდან ასეთ შემთხვევებში ყოველთვის ურჩევენ არ შეეშინონ იმისი, ვისიც ყველაზე უფრო ეშინიათ. შემდეგ ისინი სწერენ, რომ ბრეგვაძისათვის დადგება, „ციებ-ცხელების დღეებიო“. იყო ხმები იმის შესახებ, რომ ბრეგვაძე დაჭრილია მაგრამ აღმოჩნდა, რომ ის ცოცხალია უვნებელი და არავითარი ციება არ შეჰრია და როდესაც ჩოლოყაშვილი შეეცადა უკან დახევის დროს შესულიყო დუშეთში, მას ისეთი წინააღმდეგობა შეხვდა, რომ იძულებული გახდა გაქცეულიყო დუშეთს იქით.

შემდეგ მოწოდებაში, რომელიც გამოშვებულ იქნა დუშეთის რაიონში ნათქვამია: „ჩვენ უკვე მზად ვართ, როცა გინდათ შემოვალთ, მხოლოდ თქვენ იყავით მზადა და შეგვხვდით ჩვენ“ (სიცილი). შემდეგ: „ჩვენ გვეხმარებიან უცხოეთის სახელმწიფოები და გადაეცით ამხ. ბრეგვაძეს, რომ იმან არ გაგვიწიოს წინააღმდეგობა“-ო.

აღმოჩნდა, რომ ამხ. ბრეგვაძეს უცხოეთის სახელმწიფოებისაც არ ეშინია. ეს პროკლამაცია თავდება შემდეგი სიტყვებით: „გაუმარჯოს დამოუკიდებელ საქართველოს, ძირს საბჭოთა ხელისუფლება, ძირს ბარბაროსები და ურჯულო ებრაელები“.

ასეთივე სიტყვებით თავდებოდა დენიკინის და კოლჩაკის მოწოდებებიც. ისინი სწერდნენ: „დაჰკარ ურიებს, იხსენი რუსეთიო“. ეს ვაჟბატონები კი ლაპარაკობენ: „დაჰკარ ურიებს და იხსენი საქართველო“.

ერთ-ერთ მენშევიკურ პროკლამაციაში, რომელიც გამოშვებულია სათაურით „ქართველ ერს“, ნათქვამია, რომ „დავა იარაღით უნდა გადაწყდეს“ და ისინი მოუწოდებდენ ყოფილიყვნენ დაუზოგავი და სასტიკი, როგორც ბოლშევიკები არიან, რომლებიც არავის არ იბრალებენო“.

თუ რა გამოვიდა ყველაფერ ამიდან, თქვენ დაინახეთ შემდეგ მომხდარ ამბებიდან. მენშევიკები შეეცადენ მოეწყოთ საყოველთაო „აჯანყება“.

საინტერესოა გამოვარკვიოთ, მართლაც ჩვენ საქმე გვქონდა აჯანყებასთან, თუ ეს იყო მხოლოდ აღშფოთება და გამოსვლა თავადების, აზნაურების და მემამულეებისა საბჭოთა ხელისუფლების წინააღმდეგ. ცხადია, რომ ეს გამოსვლა არ იყო ჩვენთვის მოულოდნელი, ვინაიდან ჩვენს ქვეყანაში მოიპოვება საკმაო რაოდენობა თავადებისა, აზნაურებისა და ყოფილი ოფიცრების, რომელთაც მთელი თავისი [illegible] ეჯავრებათ საბჭოთა წესწყობილება. ისინი ოდესმე უნდა გამოსრულიყვნენ, ეცადათ ბედი, მაგრამ უცდიდენ ისეთ ხელსაყრელ მომენტს, რომ დაემხოთ იარაღით მათთვის საძულველი საბჭოთა რეჟიმი.

ჩვენ ვიცით მაგალითები, როდესაც რუსეთში არაერთხელ გამოსულან რეაქციონერები, ჩვენ მათ რკინის ხელებით ვაქრობდით. ჩვენ ვიცით, რომ აზერბეიჯანში მუსავატელები შეეცადნენ აჯანყება მოეწყოთ განჯაში. ის აჯანყება ჩვენი ჯარების მიერ სასტიკად იქნა ჩაქრობილი. საქართველოში მსგავსი ელემენტების გამოსვლა სავსებით ბუნებრივი იყო, რადგან აქ რამდენიმე ათეული წლის განმავლობაში მუშაობდა მენშევიკების პარტია. აქ უკანასკნელ დროს შეიქნა მთლიანი ფრონტი მენშევიკების, ეროვნულ-დემოკრატების და სოციალ-ფედერალისტებს შორის. ცხადია, რომ აქ უნდა ვყოფილიყავით გამოსვლების მოლოდინში. ნოე ჟორდანია ბროშიურა „ჩვენ და ისინი“-ში სწერდა: ჩვენ გვისაყვედურებენ იმას, რომ შევქმენით მთლიანი ფრონტი ეროვნულ-დემოკრატებთან და სხვა ეროვნულ პარტიებთან. მე ვამბობ, რომ ეს არ არის მართალი, რადგან ჩვენ ვიბრძვით ბოლშევიკების წინააღმდეგ — და რაკი ეს ასეა-ჩვენ გვმართებს კავშირის დაჭერა ყველა მათთან, ვინც ებრძვის ბოლშევიკებს. ჩვენ მხარი უნდა დავუჭიროთ ყველას, ვინც მოდის ჩვენთან ერთად საბჭოთა რეჟიმის წინააღმდეგ. ყველა, ვინც ებრძვის ბოლშევიკებს რევოლიუციონერია მაშასადამე რევოლიუციონერი, ყოფილა ქაქუცა ჩოლოყაშვილიც და სხვა თავადებიც, რომლებიც დაეთრევიან ტყეებში.

ასეთია ნოე ჟორდანიას ლოღიკა: ერის გადარჩენისათვის უნდა შეიქმნას ერთიანი ნაციონალური ფრონტი ბოლშევიკების წინააღმდეგ და უნდა სწარმოებდეს ბრძოლა საბჭოთა ხელისუფლების დასამხობად.

როგორი იყო ეს ერთიანი ფრონტი? მასში ჩვენ ვერ დავინახავთ ვერც ერთს მუშას, ვერც ერთ გლეხს. ამასთანავე კი აჯანყებას შეიძლება უწოდოთ მხოლოდ აღშფოთებას ფართე მშრომელ მასებისას, რომელნიც ორგანიზაციულად დარაზმული არიან რომელიმე პოლიტიკური პარტიის მიერ და ისახავენ მიზნად არსებულ ხელისუფლების დამხობას და დამყარებას იმ კლასის ძალა-უფლებისას, რომელიც აღმართავს აჯანყების დროშას.

ჩვენთან საქართველოში სოციალური წყობილება ეყრდნობა მუშათა კლასზე და გლეხობაზე. აი მხოლოდ ეს ორი წარმოებითი კლასი, რომელზედაც ჩვენ სავსებით ვეფუძნებით და მხოლოდ ის აჯანყება შეიძლება დამთავრდეს გამარჯვებით, რომელიც ეყრდნობა ან მუშათა კლასზე, ან მშრომელ გლეხობაზე, ან და ერთზე და მეორეზედაც ერთად. მხოლოდ მენშევიკური „აჯანყება“ კი არ ეყრდნობოდა არც მუშათა კლასზე და არც გლეხობაზე და ამიტომაც იყო, რომ ის დამთავრდა სამარცხვინო კრახით. გამოსვლები იყო მხოლოდ შორაპნის მაზრაში, ახალსენაკში, ზუგდიდში და გურიაში. ხოლო საქართველოს დანარჩენ კუთხეებში და მთელ აღმოსავლეთ საქართველოში, მუშათა ცენტრებში — ბათომში, ფოთში, თბილისში და ავტონომიურ რესპუბლიკებში — აჭარისტანში, სამხრეთ-ოსეთში და აფხაზეთში — არ გავარდნილა არც ერთი თოფი. ეს ფაქტები ადასტურებენ მას, რომ აქ არ ყოფილა ხალხოსნური გამოსვლა, არამედ იყო მხოლოდ თავადაზნაურულ და სხვა არამზადების გამოსვლა საბჭოთა რეჟიმის წინააღმდეგ.

(დასასრული იქნება)

არ გვახსოვს ასეთი ერთსულოვნება

საუბარი ამხ. ცეხაძესთან

ბორჯომი. 9 სექტემბერი. „ზაკროსტა“-ს კორესპონდენტთან საუბრის დროს, ბორჯომის პარტკომის მდივანმა ამხ. ცეხაძემ განაცხადა:

— პარტკომმა, რომელსაც სურდა დაწვრილებით გასცნობოდა ბორჯომის რაიონის გლეხობის განწყობილებას მენშევიკური ავანტიურის გამო, დაგზავნა სოფლებში კომუნარები, რომლებმაც წაიკითხეს მთელს რიგ ადგილებში მოხსენებები მომხდარ ამბების შესახებ.

დაბრუნებული ამხანაგები გადმოგვცემენ, რომ მათ არ ახსოვთ ასეთი ერთსულოვნება გლეხებს შორის, როგორსაც ეხლა აქვს ადგილი, ყველა სოფლებში კრებებზე გამოსული გლეხები თავიანთ სიტყვებში ჰკიცხავდენ ბანდიტ-მენშევიკების ავანტიურას. რეზოლიუციებში გლეხები და სოფლის მასწავლებლები მოითხოვენ კატეგორიულად მუშათა და გლეხთა მთავრობისაგან ბანდიტების შეუბრალებლად დასჯას.

სოფელ ახალდაბის და კვიბისის გლეხები მოითხოვენ აზნაურთა მოდგმის სავსებით მოსპობას.

ყოველგან პარტკომის წარმომადგენელს ხვდებიან ტაშის ცემით. გლეხები მოითხოვენ ეცნობოს პარტკომს, რომ მისი პირველი დაძახილისთანავე ისინი სათითაოდ გამოვლენ იარაღით ხელში საბჭოთა ხელისუფლების დასაცავად.

ასეთივე რეზოლიუციები გამოაქვს ბორჯომის ინტელიგენციას და ყოფილ მენშევიკებს.

ჩემი ბორჯომში ყოფნის დროს ამ რაიონში სრული წესრიგი იყო; კომუნარებს გარდა, წესრიგს იცავდენ მოხალისე უპარტიო მუშები და გლეხები. მრავალი მათგანი დაჟინებით მოითხოვდენ მათ გაგზავნას ბანდიტებთან საბრძოლველად.

დასასრულს ამხ. ცეხაძემ განაცხადა:

— ბორჯომის რაიონის მუშებმა და გლეხებმა ერთხელ კიდევ დაამტკიცეს, რომ ვერავითარი ძალა ვერ შეარყევს მუშათა და გლეხთა ხელისუფლებას. მეორე ინტერნაციონალის საბოლოოდ გახრწნილ მენშევიკური ბანდის ერთად-ერთი ადგილი ეხლა სამარეა.

ბორჯომი. 9 სექტემბერი. ბორჯომის რკინის გზის კვანძის რკინისგზელთა საერთო კრებაზე მიღებულია რეზოლიუცია, რომელიც ჰკიცხავს ავანტიურას და მოითხოვს ბანდიტების სასტიკად დასჯას.



№ 244

სპეკულიანტების
გვერდის ავლა
საგლეხო სესხის ობლიგაციებს
სოფლად გადასცემს არა შუა-
მავალი სპეკულიანტი, არა-
მედ შვებულებაში მყოფი
მუშა

წითელ რესპუბლიკებში

რუსეთი

ახალი დებულება უმუშევართა დახმარების შესახებ.

მოსკოვი, 10 სექტ. შრომის ბირჟის რეორგანიზაციის გამო საბჭოთა კავშირის შრომის სახ. კომისარიატმა გამოიმუშავა ახალი დებულება უმუშევართათვის დახმარების აღმოჩენის შესახებ.

არა კვალიფიციურ მუშებიდან პროფკავშირების წევრებიდან სარგებლობენ დახმარების უფლებით მხოლოდ ისეთები, რომელთაც აქვთ არა ნაკლებ ერთი წლის სტაჟი., პროფკავშირების არა წევრნი არა ნაკლებ 3 წლისა. მოსამსახურე—პროფკავშირების წევრებს უნდა ჰქონდეთ 3 წლის სტაჟი, არა წევრებს—5 წლის. კვალიფიციური მუშები სარგებლობენ დახმარების უფლებით მიუხედავად სტაჟის ხანგრძლივობისა.

საფეიქრო სინდიკატი

მოსკოვი, 10 სექტ. სრულიად რუსეთის საფეიქრო სინდიკატის ცნობით, მისი ბრუნვა სწრაფად იზრდება. აპრილში იგი უდრიდა 20.000,000 მან., მაისში—25.000,000 ივლისში—30.000,000.

ივნისში კოოპერაციამ გაჰყიდა სინდიკატის ნაწარმოების 47 პროც., ივლისში—53 პროც. მეტი.

სრულიად საკავშირო მიწა-ტყის კავშირის მუშათა ყრილობა.

მოსკოვი, 10 სექტ. მიწა-ტყის კავშირის ცეკამ დაადგინა მოიწვიოს 1925 წ. 1 მარტისათვის სრულიად საკავშირო მიწა-ტყის კავშირის მუშათა ყრილობა.

ნავთის სინდიკატის ხელშეკრულება გერმანულ ფირმებთან.

მოსკოვი, 10 სექტ. ნავთის სინდიკატმა ბერლინში დასდო ხელშეკრულება გერმანიის ფირმასთან მახლობელ წლებში 50.000 ტონა ბენზინის მიწოდების შესახებ.

სრულიად საკავშირო ბიბლიოგრაფიული ყრილობა.

მოსკოვი, 10 სექტ. სახ. განათლების კომისარიატის კოლეგიამ ნება დართო მეცნიერების მთავარ სამმართველოს მოიწვიოს 10 ოქტომბერს სრულიად საკავშირო ბიბლიოგრაფიული ყრილობა.

რეპინის სურათების გამოფენა.

ლენინგრადი, 10 სექტ. მხატვარ რეპინის დაბადებიდან 80 წლის შესრულების გამო „რუსეთის მუზეუმი" აწყობს ლენინგრადში მის სურათების გამოფენას.

იშვიათი ეპიდემია.

ოდესა, 10 სექტ. უკანასკნელ ხანებში ქალაქში გახშირდა ბავშვების დაავადება იშვიათი ავადმყოფობით, ზურგის ტვინის სიდამბლით. ავადმყოფობა ემართებათ ბავშვებს 2 წლის ჰასაკამდე, და თავისი ხასიათით ძალიან წააგავს ინფლუენციას.

შაქარი იავადან.

ოდესა, 10 სექტ. 8 სექტემბერს ოდესის ნავთსადგურში კუნძულ იავადან მოვიდა პირველი ჰოლანდიური გემი, რომელმაც ჩამოიტანა 500.000 ფუთი შაქარი.

ტერიტორიალურ ნაწილებში გასაწვევთა შესახებ

შრომისა და თავდაცვის საბჭოს დადგენილება

მოსკოვი. 9 სექტ. შრომის და თავდაცვის საბჭოს დადგენილებით, მუშებს და მოსამსახურეებს, რომლებიც გაყვანილი უნდა იქნენ წინასწარ მოსამზადებლად ტერიტორიალურ ნაწილებში და აგრეთვე ჩარიცხულებს წითელი არმიის შემცვლელ შემადგენლობაში, სამხედრო სწავლების მთელი დროის განმავლობაში ენახებათ თანამდებობა და ადგილი სამსახურში ჯამაგირის მიუცემლად. შრომის და თავდაცვის საბჭოს ეს დადგენილება ვრცელდება სასეზონო და დროებით მუშა-მოსამსახურეებზე, რომელთაც თანამდებობა ენახებათ მათი სამსახურის გათავებამდე. იმ მოქალაქეების შესახებ, რომლებიც გაწვეულნი იყვნენ შრომის ბირჟის აღრიცხვაზე უმუშევრების სახით შრომის და თავდაცვის საბჭომ სცნო აუცილებლად, როდესაც ისინი გაყვანილნი იქნებიან სამხედრო სწავლებაზე, მოიხსნან ისინი შრომის ბირჟის აღრიცხვიდან წინასწარი მომზადების ვადის გასვლამდე, შემდეგ კი ისინი კვლავ უნდა აღდგენილი იქნენ თავის წინანდელ რიგში

რადიომშენებლობა

მოსკოვი 10 სექტემბერი. დიდ თეატრში შესდგა პირველი რადიო ორშაბათი, რომელიც მოაწყო „რადიოს მოყვარულთა" საზოგადოებამ. საზოგადოების თავმჯდომარემ ფოსტა-ტელეგრაფის სახ. კომისარის მოადგილემ ამხ. ლიუბოვიჩმა გააცნო აუდიტორიას რადიოს საქმე ჩვენში და დასავლეთში. რადიო სიტყვამ და რადიო მუსიკამ დააინტერესა მუშათა ფართო მასები. „რადიოს-მოყვარულთა საზოგადოებას", რომელიც სულ თვენახევარი არსებობს, ჰყავს მხოლოდ ლენინგრადში 400.000 წევრი. ადგილებიდან მოსულ შეკითხვათა რიცხვი უდრის ათეულ ათასს. რადიოის დადგმის სიაფე ხელს შეუწყობს ამ მძლავრ კულტურულ ფაქტორის გავრცელებას მუშათა განაპირა კუთხეებში. რადიო-გაზეთი ისეთნაირადვე გავრცელდება, როგორც დაბეჭდილი გაზეთი.

რადიოს სპეციალურ მნიშვნელობის შესახებ მოხსენება გააკეთა ამხ. ლუნაჩარსკიმ.

კრება დასრულდა რადიო-კონცერტით: გამოვიდენ ნეჟდანოვა, ერდენკო, კაჩალოვი და სხვები.

ამიერ-კავკასიის ფედერაციაში

აზერბეიჯანი

26-ის ხსოვნას.

ბაქო, 10 სექ. აზერბაიჯანის კომპარტიის ბაქოს კომიტეტმა გამოყო კომისია 26-ი კომისარის ხსოვნის აღსანიშნავად დღესასწაულის ჩასატარებლად.

1905 წლის რევოლიუციის 20 წლის თავი.

ბაქო, 10 სექ. აზერბაიჯანის კომუნისტური პარტიის ბაქოს კომიტეტმა წინადადება მისცა რაიკომების საგიტაციო-საპროპაგანდო განყოფილებებს გამოჰყონ ძველი ამხანაგები 1905 წლის რევოლიუციის შესახებ მასალების შესაკრებად და აგრეთვე ამ ამხანაგების საცხოვრებელი ადგილების გასაგებათ, რომლებიც იმ დროს ბაქოში მუშაობდენ.

კოოპერაცია.

ბაქო, 10 სექ. კოოპერაციის საქმე საგრძნობლად გაუმჯობესდა. 6 თვის წინათ არსებულ მდგომარეობასთან შედარებით კოოპერაცია 4-ჯერ უფრო გამაგრდა. განსაკუთრებით კარგათ მუშაობს კოოპერატივი „გორნიაკ", მუშების შრომის ხელფასის 45 პროც. კოოპერაციაში შემოდის.

აზერბაიჯანის რაიონებად დაყოფა.

ბაქო, 10 სექ. შინაგან საქმეთა სახალხო კომისარიატმა უმაღლეს ეკონომიურ საბჭოსა, აზერბაიჯანის ცენტრალურ სტატისტიკურ სამმართველოსა და სამაზრო აღმასკომების წარმომადგენელთა მონაწილეობით მოაწყო თათბირი აზერბაიჯანის რაიონებათ დაყოფის საკითხის განსახილველად.

ამ—ბა „მუშათა თეატრი"

ბაქო, 10 სექ. პროფესიული, კოოპერატიული და სახელმწიფო ორგანიზაციების წარმომადგენელთა თათბირზე შემუშავებული იქნა ძირითადი პრინციპები ახალი საპაიო ამხანაგობის „მუშათა თეატრი"-ს შესაქმნელად.

პური ამიერ-კავკასიისათვის

მოსკოვი 10 სექ. ბამბის მთავარმა სამმართველომ მიაქცია ყურადღება ამიერ-კავკასიის პურით მომარაგების საქმის ნაკლს. ამიერ-კავკასიაში პურის შემოტანის გეგმა განხორციელებულია აგვისტოში მხოლოდ ორმოცდა ათი პროცენტით. ამიერ-კავკასიაში გადმოტვირთულია 600.000 ფუთის ნაცვლად 327.000 ფუთი.

დაუმუშავებელ ბამბის შეგროვების და ბამბის მთესველებთან ხელშეკრულების დადების გამო, (რომლის თანახმად ერთი ფუთი ნედლი ბამბა უდრის სამ ფუთ ხორბალს) ბამბის მთავარი სამმართველო წინადადებას იძლევა გატარებულ იქნას შემდეგი ღონისძიებანი: დაევალოს პურით მოვაჭრე ორგანიზაციებს სასწრაფოთ გაგზავნონ პური ამიერ-კავკასიაში თანახმად აგვისტოს გეგმისა, დაუყოვნებლივ შეუდგენ სექტემბრის გეგმის შესრულებას და აეკრძალოს მათ ქალაქებისათვის გამოიყენონ ის პური, რომელიც ნავარაუდევია ბამბის მოსავლიან რაიონებისათვის.

ზემო-ავჭალის ჰიდრო-ელექტრონული სადგური

10 სექტ. შესრულდა ორი წლის თავი ზემო ავჭალის ჰიდროელსადგურის ასაგებად მოწყობილ კვირეულისა. საქართველოში არც ერთი კვირეული არ ყოფილა ისეთი შესანიშნავი და კეთილ დასაწყისის მომასწავებელი, როგორც 1922 წლის კვირა, როცა თბილისის მუშებმა და პარტიულმა ამხანაგებმა პირველად დაჰკრეს ბარი იმ ადგილას, სადაც დღეს გრანდიოზული არხი გაყვანილი.

არა თუ მტერს, არამედ ბევრს ურწმუნო მოყვარეს არ სჯეროდა, რომ სახსარ მოკლებული ჩვენი საბჭოთა ხელისუფლება შესძლებდა ამ დიდი საქმის ისე ხალისით დაბოლოებას, როგორითაც დაიწყო 22 წლის 10 სექტემბრის კვირეული. დღეს, როდესაც ორი მესამედი ამ დიდი სამუშაოსი უკვე შესრულებულია, ჩვენ თამამად შეგვიძლია წინასწარ ვიდღესასწაულოდ დიდი განზრახვის დიდი გამარჯვება.

ზემო ავჭალის ჰიდროელსადგურის შენებლობის ასეთ წარმატებას აქვს დიდი მორალური მნიშვნელობაც, იგი გაამხნევებს და ერთი ორად განუმტკიცებს მუშაობის ხალისს ჩვენი მაზრების მუშაკთ, რომელთაც ზემო ავჭალის ელსადგურის აგების ორგანიზატორთა მზგავსად, თითქმის ყოველგვარ სახსარს მოკლებულებმა დაიწყეს საქართველოს მაზრების ელექტროფიკაცია.

ზემო ავჭალის საამშენებლო მუშაობის ასეთი წარმატებითი მსვლელობა დასაწყისია იმ დიდი გამარჯვების, რომელსაც ეწოდება მთელი საქართველოს ელექტროფიკაცია.

ზემო-ავჭალის ჰიდროელსადგური ქართველი ერის წინაშე შლის დიდ პერსპექტივებს მისი ეკონომიური და კულტურული აღორძინებისა. ამავე დროს იგი მატებს მას მხნეობას და ენერგიას უფრო [illegible] საქმის დაწყებისათვის.

ზემო-ავჭალის ჰიდროელსადგურის აგება ნიშნავს ელექტროფიკაციის ფრონტზე მუშათა და გლეხთა მასების გამარჯვებას, რომელიც თავის თავად მეტყველებს,—იმის შესახებ, თუ რა შეუძლია ექსპლოატაციისაგან განთავისუფლებულ შრომას.

გრანდიოზული სადგური, რომლის აგება ვერ გაბედა თბილისის ჯიბესქელ პლუტოკრატიას, სადგური, რომლის აგება წინად ნავარაუდევი იყო 15 მილიონ მანეთად (მშვიდობიანი დროის კურსით) დღეს თბილისის და საქართველოს მშრომელნი აგებენ თითქმის შეუმჩნეველად თავის ღონების ამარა და საბჭოთა დიდი კავშირის დახმარებით.

შესრულებული სამუშაოები.

როგორც ვიცით, ზემო-ავჭალის ჰიდროელსადგურს საფუძველი ჩაეყარა 1922 წლის 10 სექტემბერს, მაგრამ სისტემატიური მუშაობა სწარმოებს 1923 წლის აპრილის დამლევიდან, როცა მოეწყო სამუშაო სამართველო.

ჩვენ შევეცდებით მკითხველს მივაცეთ დაახლოებით სურათი იმისა, თუ რა გაკეთდა მუშაობის ფაქტიური დაწყებიდან დღემდე.

თუ სისტემატიური მუშაობის დასაწყის მაისიდან ვიანგარიშებთ,—სადგურის საამშენებლო მუშაობა სწარმოებს სულ 16 თვე. ამ ხნის განმავლობაში სრულიად (100 პროცენტით) დამთავრებულია მილის სამუშაოები მთავარი არხის, განათხარის წყლის მიმღების ამოსაღებად და გასაყვანად.

კლდის სამუშაოები შესრულებულია 35 პროცენტათ. აქედან სრულიად დამთავრებულია პაწია-ხევის მილი პიკეტი № 21 მილი, კლდის სამუშაოები განათხარზე და სხვა. ალაგ-ალაგ საჭირო შეიქნა მეტი სამუშაოების შესრულება, ვიდრე გათვალისწინებული იყო. მაგ. კლდის სამუშაოები განათხარში გათვალისწინებული იყო 6000 კუბიკური საჟენით, ხოლო საჭირო შეიქნა 6,515 კუბიკური საჟენის ამოღება. ეს გადიდება აიხსნება განათხარის გაფართოებით და მიმართულების გამოცვლით.

სატინობო (бетонная работа) სამუშაოთაგან სავსებით დამთავრებულია პაწია ხევის და პიკეტ № 21 მილები, ამ ორი მილისათვის გაკეთებულია 3.900 კუბიკური მეტრი ტინობი.

ამ ჟამად მთავარ განათხარში სწარმოებს ქაშხალის (საგუბარის) ასაგებად დამბების კეთება, და 207 კუბ. საჟენზე სატინობო მუშაობა. გარდა ამისა გრანიტის ქვით გაკეთებული განათხარის გვერდების 160 კვადრატ. საჟენი (შესრულებულია 50 პროცენტი). მტკვრის მარცხენა და მარჯვენა ნაპირების შესაერთებლად აგებულია დაკიდებული ხიდი და ერთიც ხის ხიდი სარკინიგზო მიმოსვლისათვის.

დამხმარე სამუშაოები.

ძირითად სამუშაოებს გარდა, საჭიროა აღინიშნოს სამუშაოების ის ნაწილი, რომელიც არ შედის ზემოჩამოთვლილ სამუშაოთა რიცხვში, მაგრამ წარმოადგენს მეტად სერიოზულს და აუცილებელს სამუშაოებს,—ეს არის მუშაობის ორგანიზაცია ადგილობრივ—ე. ი. დამხმარე მოწყობილობათა სახელოსნოების საწყობების, მუშათა საცხოვრებელი შენობების, სატრანსპორტო საშუალებათა აგება და მოწყობა.

აგებულია საცხოვრებელი სახლები: ბარაკები, საწყობები, სახელოსნოები, დეპო, თავლა, თეატრი და კლუბი, კოოპერატივი, სასადილოები, აბანო საავადმყოფო სულ 3.304 კვადრ. მოედანზე.

მექანიკური მოწყობანი.

მოწყობილია 1) დროებითი ელექტრო-სადგური, 2) კომპრესორები, 3) საჭერხი მანქანა, 4) ექსკავატორი (მიწის სათხარი მანქანა) „ჰმარიონ"-ს სისტემისა, 5) ოთხი ორთქლმავალი, 6) ცენტრისგან მიღებული წყლის ელექტრო გადასაქაჩი, 7) ორი,—ორნახევარ ტონიანი ზემავალი ონკანი 8) დადგმულია წყლის სამი საქაჩი, რომელიც წყალს აწვდის სამუშაოთა მთელს რაიონს, 9) განათხარში სამუშაოდ დადგმულია ორი ელექტ. ხეამწევი (подьемник), 10) მოწყობილია სამჭედლო, საზეინკლო და სახარატო სახელოსნოები.

გზები მიმოსვლისთვის და ავტო-ტრანსპორტი.

1) გაყვანილია გზატკეცილი სამუშაოთა რაიონში 2) აგებულია ვიწრო ლიანდაგიანი (75 სანტიმეტრის სიგანის) რკინის გზა, 3) აგებულია ხიდი მარქაფა რტოებით რ | გზის 272 ვერსზე. ასეთივე ხიდი გაკეთებულია რ | გზის ორას ორმოცდა მეთერთმეტე ვერსზე და სომხეთის ხაზის ასოცდა[illegible] ვერსზე სადგურ ბამბაკთან. 4) მოწყობილია შესაჩერებელი ბაქანა რკინისგზის ორას სამოცდამე[illegible] ვერსზე. 5) აგებულია ხის საქვეითო ხიდი მდინარე არაგვზე. 6) გაკეთებულია პარომი. 7) მოწყობილია ავტო-გარაჟი ტვირთმზიდი და მსუბუქი ავტო-მანქანებისათვის.

ელექტრო-მექანიკური მოწყობილობა.

ყველა საჭირო მოწყობილობა,—ტურბინები, გენერატორები, გადასაცემი ხაზი, ქვესადგურები და ქსელი,—შეკვეთილ იქნა 1923 წლის მარტში ლენინგრადის მანქანათა-საამშენებლო და ელექტრო-ტექნიკურ ტრესტებში.

სულ ზაჰესი ჯერ-ჯერობით საჭიროებს 4 ტურბინას, რომელთაგან სამი ტურბინის გაკეთება მიენდო ნეიმაიერის ფირმას გერმანიაში, ხოლო ერთი ტურბინის გაკეთებას იმავე ფირმის ნახაზების მიხედვით კისრულობს ტრესტის ქარხნები. „ზაჰესი"-ს ტურბინები, რომელთაგან თვითეულის სიმძლავრე უდრის 4.500 ცხენის ძალას, ვოლხ-სტროის შემდეგ თავის სიდიდით პირველია—საბჭოთა კავშირში. ა. | წ. აპრილში ნეიმაიერის ქარხნებში მოხდა შეკვეთილი ტურბინების მოდელების გასინჯვა, რომელმაც დამაკმაყოფილებელი შედეგები გამოიღო. ორ თვეში ტურბინები გამოგზავნილი იქნება გერმანიიდან.

მავთულები საჰაერო ხაზისათვის და კაბელები მიწის ქვეშა ხაზისათვის უკვე გამოგზავნილია ლენინგრადიდან თბილისში.

ამჟამად უკვე სწარმოებს თბილისში ელდენის გამოსაყვანათ 35 სატრანსპორტო პატარა „ბუდკის" კეთება. ამ მოკლე ხანში შეუდგებიან მიწის ქვეშა ქსელის გაყვანას ქალაქის ფარგლებში და მთავარი ქვესადგურის აგებას თბილისის პირველ ელსადგურის ეზოში. ტრანსფორმატორები გაკეთებულია ლენინგრადის ელექტრო-ტრესტის მიერ. სადგურისათვის და ქვესადგურებისათვის საჭირო ყოველგვარი არმატურა კეთდება ლენინგრადში. ყველაზე მეტი დრო დასჭირდება გენერატორების დამზადებას, რომლის დასრულებაც მოსალოდნელია მხოლოდ 1925 წლის ზაფხულისათვის—ე. ი. მაშინ, როცა დასრულებული იქნება საგენერატორო სადგურის შენობა.

საერთოდ, შესრულებული სამუშაოების მიხედვით, შეიძლება ვივარაუდოთ სადგურის სრული დამთავრება 1925 წლის 1 ოქტომბრისათვის, თუ შესრულებული იქნება ელექტრო-მექანიკური შეკვეთები და სადგურის შენებლობას წინ არ გადაეღობება ფინანსიური დაბრკოლებანი.

ზემო-ავჭალის ჰიდრო ელსადგურის აგება საჰაერო ხაზის და ქვესადგური ჯდება სულ 6.899.826 მან 45 კაპ. 1 ივნისამდე სადგურის ასაგებად დახარჯულია თითქმის ამ თანხის ნახევარი. 1924 წ. 1 ივნისიდან 1925 წ. პირველ ოქტომბრამდე, სადგურის აგება საჭიროებს 3.550.000 ჩერვ. მანეთს.

ვ. წ.

მუშათა ცხოვრება

წაღვერის დასასვენებელ სახლებში.

(წერილი კეხობიდან)

წაღვერის დასასვენებელ სახლებში ამჟამად იმყოფება 80 კაცამდე სხვადასხვა ადგილებიდან ჩამოსული მუშები და მოსამსახურეები. მეტი ნაწილი მათ შორის თბილისიდან არის. დასასვენებელი სახლები მოთავსებულია ეგრედ წოდებულ კეხობში და იმყოფება ეს სახლები მაღლობ ადგილას ნაძვისა და ფიჭვის ტყეში, რომლის მშვენიერი და შესანიშნავი ჰაერი ორი კვირის განმავლობაში შესანიშნავ გავლენას ახდენს აქ დროებით ჩამოსულ მუშებზე. ბევრი მათგანი აქედან უბრუნდება თავის შრომას სრულიად ჯანსაღი და წონაში 10—15 გირვანქამდე მატულობს. აქვე არის ექიმი, რომელიც რეგისტრაციის შემდეგ სინჯავს ყველა ჩამოსულს.

ჭამა-სმა საუცხოვოა და სამყოფი სასადილო საერთოა, აქვე არის სამზარეულოც, სადაც სისუფთავე უაღრესად მაღლა სდგას. ყოველ დასასვენებლად ჩამოსულს ეძლევა—დილით ჩაი, ყველის ნაჭერი, მშვენიერი პური; სადილი ორი თავი, ხანგამოშვებით მესამეც; საღამოს 8 საათზე ვახშამი და ჩაი; პური ყველასათვის სამყოფია.

მოწყობილია აგრეთვე ბიბლიოთეკა-სამკითხველო, სადაც მოდის თბილისის ყველა გაზეთები და მოსკოვის „პრავდა"-ც. აქვე არის გასართობად ნარდი და დომინო. აქამდის აქ დიდი დაბრკოლება იყო უწყლობით, მაგრამ დღეს ეს საკითხი უკვე მოგვარებულია. მახლობელ მთიდან გამოყვანილია მშვენიერი წყაროს წყალი და ამ დღეებში დამთავრდება წყალსადენის მუშაობა, რომელიც ეხლა ჩქარი ტემპით სწარმოებს.

დილის ჩაისა და განსაკუთრებით სადილის შემდეგ, დასასვენებელი სახლიდან მცხოვრებნი მიეშურებიან მჟავე წყალზე, რომელიც მშვენივრად არის მოწყობილი და იმყოფება კეხობიდან სამხრეთით ფიჭვნარის ტყეში ნახევარი ვერსის მანძილზე, სადაც ყველა მსურველს შეუძლიათ ისარგებლოს ამ მჟავე წყლით და დაეწაფოს მას.

მუშკორი ყანი.

მადლობის ღირსია ასეთი მუშაკი

ამიერ-კავკასიის სატრანსპორტო მომხმარებელ საზოგადოებას აქვს გახსნილი ღვინის საწყობი კლარაცეტკინის და ბათუმის [illegible]. ამ საწყობში დაახლოებით მსახურობს ოცამდე მუშა-მოსამსახურე. ღვინის საწყობის უფროსად არის დანიშნული ამხ. ანდრო ლეკიშვილი მისი ერთგული მუშაობით და მომხმარებლებისადმი კარგი მოპყრობით მთელი მახლობელი საზოგადოება კმაყოფილი არის. თავის ზრდილობიანი მოქცევით მან თავი შეაყვარა ყველას. ასეთი მოსამსახურეები რასაკვირველია დიდი სარგებლობას მოუტანენ საბჭოთა ხელისუფლების აღმშენებლობის საქმეს. ყოველმა პატიოსანმა და შრომის მოყვარე მუშამ უნდა წაბაძოს ასეთ ღირსეულ მუშა-მოსამსახურეებს.

მუშკორი გოგი რუხაძე.

საჭიროა განათება

(მე-10 რაიონის მილიციის საყურადღებოდ).

არა ერთხელ ყოფილა აღნიშნული რომ ქალაქის ზოგიერთ უბნებში არ არის მოგვარებული განათების საკითხი. ასეთ უსინათლობას განიცდის სურამის ქუჩაც. სურამის ქუჩაზე სრულებით არ არის განათება, სიბნელე ხელს უწყობს ქურდებს და უზნეო ქალებს და მამაკაცებს. დაღამდება თუ არა, ამ ქუჩაზედ მხოლოდ ძაღლების ყეფა ისმის და ალაგ-ალაგ შეხვდებით არა სასურველ სურათებს. საჭიროა ზომების მიღება, მით უმეტეს, რომ ბატარეის და სურამის ქუჩის კუთხეში მოთავსებულია თამბაქოს ქარხანა „პროლეტარი". მილიციონერს ამ რაიონში ხომ არც შეხვდებით.

მუშკორი მელითონე.

ალაგმეთ ეს ქუჩის ავარები

(ქალაქის მილიციის საყურადღებოდ)

უნდა ითქვას და აიწეროს, თუ როგორი თვისების ხალხია ავლაბრის ჯიელობა. ეს ხალხი მეტად ამაყია, ასე რომ კაცს ხმაც ვერ ამოუღია მათ წინააღმდეგ. მუდამ ჩხუბი, გინება, ცემა და სხვა. აი რა ახასიათებს მათ „მოღვაწეობას". განსაკუთრებით აღსანიშნავია ის, თუ როგორი ამბები ხდება ფოსტის ქუჩაზე. საიდან ხდება ეს ჩხუბები? ჩხუბები იქიდან ხდება, რომ ამ ქუჩაში ორიოდე უზნეო ქალი მოიპოვებიან, რომლებიც ძალიან თავაღებულები არიან. ამ ქალებთან მოდიან უცხო უბნებიდან მთვრალი ბიჭები და ქუჩის მყუდროებას არღვევენ. მძინარე ხალხს მოსვენება არა აქვთ ღამე. მათი თავგასულობით ამ რაიონში დიდი დებოშები ხდება. მუშა-ხალხს მათგან მოსვენება და მყუდროება არა აქვს. არის შემთხვევა, როდესაც მათ იჭერს მილიცია, მაგრამ, სამწუხაროდ, ცოტა ხნის შემდეგ ამ ქუჩის საძაგელ ავარებს ისევ ქუჩაში უშვებს. ასეთი დაუსჯელობით მათ უფრო ათავხედებს და მათი „საქმენი საგმირონი" ყოველგვარ საზღვრებს სცილდება. საჭიროა ეს ქუჩის ავარა ხალხი მაგრად აილაგმოს.

მუშკორი ჯიოვა.

მუქთახორა უნდა აილაგმოს

(პირველ რაიონის შრომის ინსპექტორის საყურადღებოდ).

ორთაჭალაში აქვს ბაღი ვიღაც მიშა მართულაძეს. ეს ვაჟბატონი ძალიან თავხედია და მისი მოქცევა ბაღის მუშებისადმი დაუშვებელია. ეს ბაღი 4 დესეტინაზე მეტია. ამ ბაღში მუშაობს ექვსი მუშა, და შემოსავლიდან ამ ბაღისა ხსენებულ ვაჟბატონს მიაქვს ნახევარი. ეს მართულაძე კმაყოფილი მაინც არ არის. მუშები დილის 4 საათიდან საღამოს 7 საათამდე მუშაობენ. ხსენებულ ბაღის მუშები არც პროფკავშირის წევრები არიან და არც დაზღვეულები. საღამოს ჟამს, როდესაც მუშები დაქანცულნი მუშაობით, მოგროვდებიან და დაიწყებენ სიმღერას, ეს ვაჟბატონი გაბრაზებული დაუწყებს მათ ყვირილს: ნუ მღერით, ძილს მიფრთხობთო, არხეინად აივნიდან იძლევა წინადადებას. არ შეიძლება, რომ ამ ვაჟბატონმა მიიღოს მეოთხედი შემოსავლისა და დანარჩენი კი, ვინც ოფლს ღვრის იმათ მიიღონ? ამას სერიოზული ყურადღება უნდა მიაქციოს პირველ რაიონის შრომის ინსპექტორმა; აიძულოს თავხედი მებაღე დააზღვიოს მუშები და კავშირის წევრობაში ხელი არ შეუშალოს.

მუშკორი ა. დ. მათხოშვილი.

რკინისგზელებში

რა გაკეთდა რკინისგზელთა ჯანმრთელობისათვის?!

აგვისტოს თვის განმავლობაში რკინისგზელთა ჯანმრთელობისათვის ბევრი რამ გაკეთდა: ეპიდემიური ხასიათის ავადმყოფობას თითქმის ადგილი არ ჰქონია. სანიტარულმა დარიგებებმა ამ მხრივ დიდი დადებითი შედეგებს მიაღწიეს. უსუფთაობის წინააღმდეგ იყო მიქცეული მთავარი ყურადღება და მანაც კარგი ნაყოფი გამოიღო.

სამწუხაროდ, იყო ხშირი შემთხვევები [illegible] დაკბენილი ცოფიანი ძაღლებისაგან რკინისგზელები [illegible] თბილისში არსებულ პასტერის ინსტიტუტში. ისინი ღებულობენ ცოფიანობის საწინააღმდეგო წამლებს.

დეზინფექციის საქმე.

ჯანმრთელობის განყოფილებასთან დიდი ხანია არსებობს სადეზინფექციო რაზმები. მან დაამთავრა დეზინფექცია დასავლეთის და აღმოსავლეთის ხაზებზე. კერძოდ აღმოსავლეთის ხაზზე მან უყო დეზინფექცია 392 ოთახს, 40 ყაზარმას, 4 სკოლას, 3 აბანოს, 51 საგუშაგოს, 259 ლოგინს, 469 ტახტებს, 128 ხის ლოგინებს, 105 მაგიდას, 868 სკამს, 6 ვაგონს, 160 ფეხის ადგილს, 8 სადგომს დამცველი რაზმისას და 39 მოსამსახურეთა ოთახებს. ასეთი დეზინფექცია ჩატარდება სამხრეთისა და კახეთის გზებზე.

თაგვებთან და ვირთხებთან ბრძოლა.

თაგვებთან და ვირთხებთან ბრძოლა სასურველად მიმდინარეობდა. მათ წინააღმდეგ სექტემბერში ჩატარდება კამპანიები და ამ სენს რკინისგზებზე ბოლო მოეღება. სადგომი შენობები და საწყობები გაწმენდილია და შეთეთრებულია კირით. მიგ იდგმება ხაფანგები. არა საცხოვრებელ შენობებში ბრძოლა სწარმოებს სტრიხინით და სხვა საწამლავებით.

რემონტები.

ფსიქო-ტექნიკური ლაბორატორიის შენობა აღმოჩენილია და მის კაპიტალურ შეკეთებას შეუდგება რკ. გზ. ჯანმრთ. განყოფილება სექტემბერში. დაიწყო აგვისტოში სკოლების კაპიტალური შეკეთება.

ინფ. აბ.

რკინისგზელთა ქრონიკა

— **ახალი შენობა ადგილკომისათვის.** ლენინის რაიკომმა დაადგინა აგოს მთავარ სახელოსნოს ადგილკომისათვის ახალი შენობა. შენობის აგებისათვის მუშაობა უკვე დაიწყო.

— **პროფმოძრაობის კურსები.** სექტემბრის შუა რიცხვებში თბ. საკვანძო პროფკავშირის კულტ განყოფილება ხსნის პროფმოძრაობის კურსებს პლეხანოვისა და ს. ორჯონიკიძის კლუბებში.

— **საერთო კრება.** თბ. რკ. გზ. საავადმყოფოს კლუბში დღეს, 11 სექტემბერს შესდგება თბილისის კვანძის საექიმო დარგის მუშაკთა საერთო კრება.

— **კინო მუშებისათვის.** დღეს პლეხანოვის სახ. მუშათა თეატრში მოეწყობა კინო-სურათი—„ველური ქალის ვნება".

ინფ. [illegible]

პროფკავშირებში

პროფსაბჭოს სამდივნოში

ურთიერთ დამხმარე კასები.

პროფსაბჭოს სამდივნომ, სცნო რა მუშათა მასების დახმარების საუკეთესო ფორმად მსხვილ წარმოებებთან ურთიერთ დამხმარე კასების მოწყობა, წინადადება მისცა კავშირებს მოაწყონ კასები ისეთ წარმოებებთან, სადაც მუშა-მოსამსახურეთა რიცხვი 100 აღემატება.

პროფსაბჭოს წარმომადგენელი ქალთა ყოფა-ცხოვრების გასაუმჯობესებლად კომისიაში.

პროფსაბჭომ საქ. ცენტრ. აღმასრ. კომიტეტთან არსებულ ქალთა ყოფაცხოვრების გამაუმჯობესებელ კომისიაში თავის წარმომადგენლად წარგზავნა ამხ. შავერდოვა.

პროლეტარულ სტუდენტობის დახმარება.

პროფსაბჭოს სამდივნომ დაავალა საორგანიზაციო განყოფილებას პროლეტარ. სტუდენტობის ბიუროსთან ერთად გამოიმუშაოს პროლეტარულ სტუდენტობის დახმარების კვირეულის ჩატარების გეგმა და წარუდგინოს იგი დასამტკიცებლად სამდივნოს.

„ზაჰესის" ადგილკომის ხარჯთ-აღრიცხვა.

პროფსაბჭოს სამდივნომ „ზაჰესის" ადგილკომის ხარჯთ-აღრიცხვის განხილვის შემდეგ, დაადგინა ხარჯთაღრიცხვის მიხედვით გააუქმოს ადგილკომის მდივნის თანამდებობა. ამავე დროს სამდივნომ დაავალა სატარიფო-ეკონომიურ განყოფილებას გადაათვალიეროს ადგილკომის მუშაკთა ტარიფი და დააწესოს სათანადო კატეგორიები და დატვირთვა. დადგენილ იქნა აგრეთვე ტექნიკურ მუშაკთა დატვირთვის გაუქმება.

სახლების დაზღვევა.

პროფსაბჭოს სამდივნომ დაადგინა დააზღვიოს წაღვერის დასასვენებელი სახლები.

მუშა-გამომგონებელთა ასოციაცია.

აგვისტოს ბოლო რიცხვებში საქართველოს პროფსაბჭოსთან დაარსდა მუშა-გამომგონებელთა ასოციაცია. არჩეულ იქნა დროებითი საორგანიზაციო ბიურო, რომელმაც აღძრა შუამდგომლობა პროფსაბჭოს წინაშე საორგანიზაციო ხარჯებისათვის სუბსიდიის გაღების და ასოციაციის მოსათავსებელ შენობის მიცემის შესახებ.

საბჭოთა სასამართლო

გიორგი ახალაძის საქმე

ამ. საქ. ოლქის სასამართლომ შემდეგი შემადგენლობით: თავმჯდომარე პ. ბურკაძე, სახალხო მსაჯულნი ვაშაკიძე და ქორიძე, მდივანი არჩუაშვილი, პროკურორის თანაშემწე დიდებულიძე და ბრალდებულის დამცველი შ. მესხიშვილი,—ამა წლის 10 სექტემბრის სხდომაზე გაარჩია საგურამოს სახალხო მამულის ყოფ. გამგის გიორგი ალექსანდრეს ძე ახალაძის საქმე. ბრალდებულის მიერ ჩადენილი ბოროტმოქმედება, რომლის ნიშნები გათვალისწინებულია ს. ს. კ. 13 და 148 მუხლებში, შემდეგია:

გიორგი ახალაძე,—შუა ხნის კაცი, ცოლ-შვილიანი, უპარტიო და საშუალო განათლების მქონე,—დანიშნული იყო 1922 წელს საგურამოს სახალხო მამულის გამგეთ. ახალ ადგილზე მან გაიცნო სახალხო მამულთან არსებულ ამბულატორიის გამგე ნიკოლოზ სამკოვი, რომელთან მან ამ დროიდან მეგობრული კავშირი გააბა. რამდენიმე ხნის შემდეგ ახალაძემ ჩამოიყვანა საგურამოში თავისი ოჯახი: ცოლი ნინო და შვილები. მოქალაქე სამკოვი დაუმეგობრდა ცოლსაც, დაიწყო ხშირი მისვლა-მოსვლა ახლად გაცნობილთა შორის, რამაც ქმრის მხრივ ეჭვი გამოიწვია. იმ წელს ახალაძეს შვილი მოუკვდა ავადმყოფ ბავშვის ხანგრძლივ მოვლისა და დარდისაგან ავად გახდა ახალაძის ცოლიც. სამკოვმა, როგორც ექიმმა, გაახშირა სიარული ახალაძის მეუღლესთან, ქმრის ეჭვი გამართლდა: თბილისში მგზავრობიდან დაბრუნებულმა ქმარმა შეუსწრო სამკოვთან მოალერსე ცოლს. საიდუმლო მიჯნურმა ქმრის შემოსვლისთანავე ოთახიდან გაჰკურცხლა, ცოლი კი ალერსით და მონანიების სიტყვით მიეგება ქმარს. უსიამოვნო „პასსაჟი" დამთავრდა ცოლ-ქმრის შეთანხმებით სამკოვთან კავშირის გაწყვეტის შესახებ. მიუხედავად ამისა, მზგავსი შემთხვევა რამდენიმე ხნის შემდეგ განმეორდა. თბილისში მოკლე ხნით გამგზავრებული ქმარი უნდა ჩამოსულიყო კვირას, ჩამოვიდა კი შაბათს და ცოლის ოთახში დაინახა ისეთივე სურათი. ქმარი რევოლვერით გამოედევნა გაქცეულ სამკოვს, შეუვარდა მას ოთახში, მაგრამ მოკვლა ვერ მოახერხა, რადგან სამკოვმა ხელჩართულ ჭიდილში მოახერხა ახალაძის განიარაღება. ამ შემთხვევამ ცოლ-ქმარი დააშორა ერთმანეთს და გააძლიერა სამკოვისადმი ახალაძის სიძულვილი. „რომანი" დამთავრდა 1923 წლის ივნისში: ქმარმა სანადირო თოფით დასჭრა სამკოვი.

სასამართლომ დამტკიცებულად სცნო ზემოხსენებულ მუხლებში გათვალისწინებულ ბოროტმოქმედების ფაქტი, რის გამო მიუსაჯა ბრალდებულს თავისუფლების აღკვეთა ერთი წლით. 46 მუხლის ძალით სასჯელი ბრალდებულს შეეცვალა პირობითად, ხოლო გამოსაცდელ ვადათ დაენიშნა ორი წელიწადი.

მხარეების კამათი არ შესდგა, ვინაიდან სასამართლომ თავისი ძიება საკმაოდ ამომწურველათ ჩასთვალა.

ქრონიკა

— **სამალიარიო ექსპედიცია.** სამალიარიო ექსპედიცია, რომელიც იმყოფებოდა სამეგრელოში პროფ. ვორონოვის მეთაურობით, უკვე დაბრუნდა თბილისს.

— **„ქალაქი ბაღი".** საბინაო აღმშენებლობა „ქალაქი-ბაღი" უკვე შეუდგა ვაკეში სახლების აგებას იმ ქალაქი-ბაღის" წევრებისთვის, რომელთაც სურთ სახლი აგონ თავიანთ ხარჯზე.

— **საშემოდგომო დოლი.** 21 სექტემბრიდან გაიხსნება საშემოდგომო დოლის სეზონი (დიდუბეში).

— **ცოფიანი ძაღლები.** ცოფიანი ძაღლები, რომელნიც ამას წინეთ თბილისში გამრავლებული იყო, ამჟამად სრულებით მოსპობილია.

— **მისაღები გამოცდები უმაღლეს სასწავლებლებში.** უმაღლეს სასწავლებლებში და მუშათა ფაკულტეტებში მისაღები განცხადებები მიიღება 20 სექტემბრამდე, ხოლო გამოცდები დაიწყება 25 სექტემბერს.

— **დამზღვევი წიგნაკების აღრიცხვა.** 15 სექტ. დაიწყება დაზღვეულ მუშა-მოსამსახურეთა დამზღ. წიგნაკების ხელ-ახალი აღრიცხვა.

— **სამუშაო დროის შემცირება ჯანმრთელობის მავნე წარმოებებში.** ა | კ. შრომის კომისარიატმა დაამტკიცა დებულება ჯანმრთელობისათვის მავნე წარმოებებში სამუშაო დროის შემცირების შესახებ.

— **ა | კ. რესპ. ფედ. კავშირის ბიუჯეტები.** ა | კ. ცენტრ. აღმასრ. კომიტეტმა თავის სხდომაზე 8 სექტემბერს დაამტკიცა ა-კ. რესპუბლიკათა ფედერატიულ კავშირის 1924-25 წ. ბიუჯეტი.

— **სახელმწიფო მომარაგებაზე.** ა | კ. ცაკმა დაამტკიცა იმ დაწესებულებების სია, რომელნიც 1924-25 წლებში იქნებიან სახელმწიფო მომარაგებაზე.

— **დაწესებულებათა შენობების შეკეთება.** ა | კ. ცაკმა დაწესებულებების შენობები გაანთავისუფლა საიჯარო გადასახადისაგან იმ მიზნით, რათა შენობები შეაკეთონ თვით დაწესებულებებმა.

— **ფოსტა სოფლად.** ა | კ. ცაკმა ადგილობრივ ხელისუფლების მასასთან დაახლოვების მიზნით, აღმასკომებს დააკისრა ფოსტა-ტელეგრაფის კანტორიდან წერილების მიღება და მათი დანიშნულებისამებრ დაგზავნა.

— **შრომის კომისარიატის ბიულეტენი.** ამ დღეებში გამოვა შრომის კომისარიატის ბიულეტენის მორიგი ნომერი, რომელშიაც მოთავსებული იქნება აპრილ-ივნისში გამოცემული კანონ-დებულებანი.

— **აბრეშუმის ჭიის თესლი.** აბრეშუმის ჭიის თესლის დამზადებისათვის და საერთოდ აბრეშუმის ჭიის მეთესლეობის შესასწავლად არჩეულია კომისია ამხ. [illegible], ვ. კანდელაკის და ცერცვოვის შემადგენლობით.

— **ხილეულობის კონსერვები.** საქართველოს ეკონომ. საბჭომ დაადგინა სთხოვოს საქართველოში არსებულ ბანკებს ცეკავშირს გაუხსნან სესხი ხილეულობის კონსერვების დამზადების საწარმოებლად.

— **აბრეშუმის დამრთავი ქარხანა.** საქ. უმაღლ. ეკონომიურმა საბჭომ გადაასწყვიტა საკითხის შესწავლის შემდეგ, მოაწყოს აბრეშუმის დამხვევი მექანიკური ქარხანა.

— **წყალტუბოს აბანოები.** წყალტუბოს სამკურნალო აბანოებზე საექიმო მეორე სეზონი გაიხსნება 28 აგვისტოდან.

— **ახალი საავადმყოფო.** 1 ოქტომბერს გორში გაიხსნება ახალი საავადმყოფო 50 საწოლით.

საბინაო კოოპერაციის თანხები. საბინაო კოოპერაციის ცენტრალურ კომიტეტმა გადასწყვიტა ყველა თავისი თანხები საბინაო კოოპერაციისთვის შეინახოს კომუნალურ ბანკში.

— **ტრამვაის ახალი ვაგონები.** ამ დღეებში ტრამვაის დირექცია გამოუშვებს 10 ახალ ვაგონს.

— **ავეჯი საბავშვო სახლებისათვის.** თბ. ქალ. აღმასკომის განათლების განყოფილებამ დაამზადა საჭირო ავეჯეულობა ბავშვებისათვის და საბავშვო სახლებისათვის.

— **სამკურნალო რაზმი.** ჯანმრთელობის კომისარიატის თვალის საექიმო რაზმი ახალციხიდან გადავიდა ახალქალაქში.

— **საბინაო-საიჯარო ამხანაგობები.** ქალაქის კომუნალურ ამხანაგობამ დაამტკიცა ახალი საბინაო-საიჯარო ამხანაგობები: პლეხანოვის პროსპექტი № 152—154, გრიბოედოვის ქუჩა № 6 და რტიშჩევის ქ. № 8.

— **სანატორია „არაზინდო".** დამზღვევი კასა სანატორიუმ „არაზინდო"-ში გზავნის 19 კაცს იმათ მაგივრათ ვინც თავის დროზე არ გამოცხადდა, სანატორიუმში გასაგზავნათ.

შემთხვევები.

— **გაფლანგვისათვის.** 9 სექტემბერს შეიპყრეს ფოსტა-ტელეგრაფის მუშა-მოსამსახურეთა კოოპერატივის ბუღალტერი ნიკოლოზ შეთიაშვილი სახელმწიფო ფულის გაფლანგვისათვის.

— **შემთხვევების რაოდენობა.** ა. აგვისტ. განმავლობაში აღრიცხულია 151 ქურდობა, 7 ჯიბგირობა, 2 მკვლელობა, 14 მითვისება, ბოროტმოქმედება სამსახურის დროს—5, გაუპატიურება—1, აფიორა—4 და 6 სხვადასხვა ხასიათის ბოროტმოქმედება.

— **ნაქურდალი ნივთების აღმოჩენა.** 9 სექტემბერს ვერის ხიდთან ერთ-ერთ სავაჭროში აღმოაჩინეს განათლების კომისარიატის საკანცელარიო მაღაზიიდან (პლეხ. № 50) მოპარული ნივთები.

— **კონტრაბანდა.** 9 სექტ. სიონის ქუჩაზე ანტონ რისაკიანის სავაჭროში აღმოაჩინეს კონტრაბანდი საქონელი. საქონლის პატრონი შეიპყრეს.

ხელოვნება

სახელმწიფო ოპერის თეატრი

ლენინგრადის მსახიობების კონცერტი

7 სექტემბერს სახელმწიფო ოპერას დარბაზში შესდგა ლენინგრადიდან ჩამოსულ ლენინგრადის აკადემიური საოპერო თეატრის მსახიობების შუშლინის (ბასი) და ლეგკოვის (ბარიტონი) კონცერტი. ორთავე მსახიობის შესრულებამ კარგი შთაბეჭდილება დასტოვა. ორთავე მსახიობს აქვს ლამაზი ხმა, მშვენიერად განვითარებული ტეხნიკა და დიდი მუსიკალურობა და მხატვრულობა. კონცერტის პროგრამიდან აღსანიშნავია შუშლინის მიერ შესრულებული გრუმინის არია („ევგენი ონეგინ") და მთელ რიგ სხვა რომანსებს ჩაიკოვსკისა და რახმანინოვის; ლეგკოვის პროგრამაში საუკეთესო შთაბეჭდილება დასტოვა ელეცკის არიამ ჩაიკოვსკის ოპერიდან—„პიკის ქალი", იროდის არიამ მასნეს ოპერიდან „იროდიადა", აგრეთვე ფიგაროს არიამ როსინის ოპერიდან „სევილიელი დალაქი", რომელიც საერთოდ ძნელი შესასრულებელია ტეხნიკური მხრით: მომღერალი კარგად ასრულებს აგრეთვე რომანსებსაც სწორ ფრაზიროვკით და დაკვირვებით.

პროფესიონალურ საოპერო მსახიობებთან ერთად გამოვიდნენ აგრეთვე აკადემიური ოპერის სტუდიელები; მათ შორის ყველაზე უკეთესი შთაბეჭდილება დასტოვა მომღერალმა ანისიმოვმა (ტენორი), რომელმაც შეასრულა ლევკის პოეტური არია რიმსკი-კორსაკოვის ოპერიდან „მაისის ღამე"; ანისიმოვს საკმაოდ ფართო დიაპოზონის ხმა აქვს —მის ტემბრს აკლია სილამაზე, მაგრამ მომღერალი მუსიკალურია და დიდს იმედებს იძლევა; მან უნდა დაამუშავოს ხმის ტემბრი, რაც შეიძლება მიღწეულ იქნას დამთავრებულ სკოლაში. ვერ დასტოვა კარგი შთაბეჭდილება თავისი შესრულებით ანდრეევმა; ის კიდევ ვერ არის დამთავრებული მომღერალი და მისი მუსიკალობაც არ არის მოსაწონი.

პ. ბ.

აღმოსავლეთის მუსიკის საღამო.

დღეს, 11 სექტემბერს, ორთაჭალაში ტყავტრესტის ლენინის სახელობის მუშათა კლუბში აღმოსავლეთის მემუსიკეთა გუნდის მიერ გაიმართება „აშულ-ჰაზირას" საღამო—კონცერტი.

პროვინციაში

წაღვერი (ბორჯომის რაიონი)

მეტად არაჩვეულებრივია ის შთაბეჭდილება, რომელიც დასტოვა ყოველი მშრომელი გლეხობის გულში 7 სექტემბრის წაღვერის თემის მცხოვრებთა საზოგადო კრებამ, რომელიც გაიხსნა ადგილობრივი თეატრის დარბაზში. კრებას დაესწრო 500-მდე ქალი და კაცი, და ბორჯომის პასუხისმგებელი ამხანაგები ეირანოვი და არევაძე. კრების თავმჯდომარეთ არჩეულ იქნა რ. ცხადაძე, მდივნად ვას. ლომიძე.

მენშევიკების ავანტიურის შესახებ მოხსენება გააკეთა ბორჯ. რაიკომის პ | მგ. მდივანმა ამხ. ეირანოვმა რუსულ ენაზე.

მოხსენების შემდეგ გამოდის მთელი რიგი გლეხებისა, რომლებიც მოუწოდებდენ იქ მყოფ გლეხებს, რათა მომავალშიაც მკაცრი ბრძოლა აწარმოონ მენშევიკ-ავანტიურისტების წინააღმდეგ და არ დაუჯერონ მათ არაფერი. გლეხების სიტყვების დროს ხალხში ისმოდა ხმები—„რას გვერჩიან—რატომ არ გვასვენებენ, ვის რა დაუშავეთ, რა უნდათ ჩვენგან, ნუ თუ მოსწყინდათ ჩვენი ზურგიდან აკრეფილი ოქროების ჭამა", მოვითხოვთ ბანდიტებისათვის სასტიკ სასჯელს. კომკავშირელთა სახელით კრებას ესალმება—ამხ. დრობიშევი, საბჭოთა მოსამსახურეებისაგან სადგურის უფროსი კელენჯერიძე, რომლის შემდეგ საზოგადო კრების მიერ გამოტანილ იქნა რეზოლიუცია, რომელშიაც წაღვერის თემის გლეხობა და მუშა-მოსამსახურეები მოითხოვენ საბჭოთა ხელისუფლებისაგან, რათა ის პარაზიტ-ბანდიტების, რომლებიც ხელს უშლიან საბჭოთა აღმშენებლობას და მშრომელთა მშვიდობიანობას, დასჯილ იქნან უმაღლესი სასჯელით. ჩვენ ყოველთვის მზათ ვართ იარაღით ხელში დავიცვათ მუშების და გლეხების დიქტატურა. საერთო კრება მქუხარე ტაშით ხვდება. შემდეგ დასასრულ კრებაზე შემოდის ლიბანის სანატორიუმის აღმშენებელ მუშების წარმომადგენელი და კითხულობს რეზოლიუციას, რომლითაც მუშები მოითხოვენ ბანდიტ-მენშევიკთა სასტიკ დასჯას.

კ. პატარაია.

დ. ჩხარი (შორაპნის მაზრა)

ჩხარის საზოგადოება უგზოობის გამო თითქმის მოწყვეტილია კულტურულ ცენტრებს. მიუხედავათ ამისა ის მაინც ცდილობს არ ჩამორჩეს კულტურულ ცხოვრებას.

ამ წინად თბილისის სახელმწიფო უნივერსიტ. სტუდენტმა ამხ. ი. სიმონგულიანმა წაიკითხა აქ ლექცია შემდეგ თემაზე: „დედაკაცის მონობის ისტორია". ლექცია წაკითხულ იქნა პირველათ ქალთა წრის, პოლიტ-წრის, კომკავშირის და პარტიის წევრების შეერთებულ კრებაზე. ლექცია იყო შინაარსიანი და დიდის ყურადღებით იქნა მოსმენილი.

ამის შემდეგ იმავე ლექტორმა წაიკითხა მეორე ლექცია საჯაროთ; „დედაკაცის წარსული და მომავალი". ორივე ლექციებში ლექტორმა დაგვისურათა დედაკაცის მდგომარეობა წარსულში, აწმყოში და მომავალში. აღნიშნა თუ როგორ იყო დედაკაცი მრავალი საუკუნოების განმავლობაში მოკლებული ყოველგვარ ადამიანურ უფლებებს და როგორ განიცდიდა დედაკაცი მამაკაცის სასტიკ ბატონობას. მასთან ერთად, მან გაატარა ის აზრი, რომ დედაკაცების უმთავრესი დამმონებელი ძალა იყო ქრისტიანობის მოძღვრება, რელიგი, და რომ წმ. მამები დედაკაცებს უყურებდენ, როგორც უწმინდურ არსებას.

ლექტორი შეეხო აგრეთვე პროსტიტუციას, მის გამომწვევ მიზეზებს და შედეგებს. აღნიშნა აგრეთვე თანამედროვე ქორწინების უვარგისობა და ქორწინების ფორმები მომავალში. დაბოლოს აღნიშნა დედაკაცის სრული დამოუკიდებლობა და თავისუფლება მომავალ კომუნისტურ საზოგადოებაში.

ლექციამ კარგი შთაბეჭდილება დასტოვა მსმენელებზე.

დამსწრე.

სოფ. რუისი (გორის მაზრა)

ა | წ. 6 სექტემბერს შესდგა სოფ. რუისის მცხოვრებ გლეხთა ფართო კრება, რომლის დღის წესრიგშიაც იდგა საკითხი საქართველოში უკანასკნელათ მომხდარ ამბებზე. ჯერ კიდევ სანამ კრება შესდგებოდა, აქაიქ გლეხები გულმოდგინეთ უსმენდნენ პროკლამაციების და გაზეთების კითხვას, რომელიც იმავე დღეს ჰაეროპლანმა გადმოყარა სოფელში. გლეხობა ისეთი აღელვებული მსჯელობდა, რომ გეგონებოდათ მათ სოფელს ცეცხლს უკიდებს ვილაც მტერი და სურთ ამ მტრის მონახვა და გაგლეჯაო. კრება გახსნა საღამოს 6 საათზე ადგილობრივ პარტ. რაიკომის წარმომადგენელმა მესხიძემ, რომელმაც აუხსნა გლეხობას შეკრების მიზანი. ფართო მოხსენებით გამოვიდა მაზრიდან ჩამოსული ამხ. თ. კორსაველი, რომელმაც კრებას გააცნო საქ. უკანასკნელი გამოსვლების მიზეზები და შედეგები. სან სხვათა შორის სთქვა: „ის ხალხი, რომელიც ჩვენ ოთხი წელია რაც მოვიშორეთ, დღეს იარაღით, სახარებით და ჯვრით ხელში ცდილობენ დაიბრუნონ თავისი ბატონობაო. ამ ხალხს სურს დაამხოს მუშების და გლეხების მონაპოვარი თავისუფლება, ისინი ჯვრით და სახარებით მოდიან ჩაქუჩისა და ნამგალის წინააღმდეგ. ღირსია თუ არა ეს ხალხი დასამარების? ასეთი კითხვა დაუსვა მომხსენებელმა კრებას.

კრებამ ერთხმად დაიძახა: „მუშების და გლეხების მტრებს უნდა მიესაჯოს უმაღლესი სასჯელი. ეს ხმა ისეთი შთაბეჭდილებიანი იყო, რომ ვინმე ან მღვდელი, ას მემამულე, ან მენშევიკი ჩვენი მტერთაგანი რომ მიგვეყვანათ იმ წუთში, იქვე თვით კრება დასდებდა მას სასტიკ მსჯავრს. კრება ვერ ითმენდა მოხსენებას და ხმა მაღლა გაიძახოდენ: „ზიზღი და კრულვა მშრომელი ხალხის მტრებსო".

ილაპარაკეს კიდევ ორმა ამხანაგმა, რის შემდეგაც კრებამ მიიღო სათანადო რეზოლიუცია:

კრებამ აგრეთვე დაავალა ადგილობრივ ხელმძღვანელ ამხანაგებს, რომ ფხიზლათ დაეჭირათ თვალი და სოფლად დაეცვათ სიმშვიდე.

კ. მგ.—ძე.

პარტიული და საბჭოთა კალენდარი

პარტიული

ლენინის რაიკომის შეფთა ბიურო აცხადებს, რომ ხუთშაბათს, 11 სექტემბერს, საღამოს 6 საათზე რაიკომის ბინაზე შესდგება ლენინის რაიკომის საშეფო კომისიების თათბირი, რომელზედაც ამხ. ელისაბედაშვილი გააკეთებს საინსტრუქციო მოხსენებას სასოფლო-სამეურნეო გადასახადის შესახებ.

სარაიონო შეფთა ბიუროს თავმჯდომარე **დ. მთვარელიძე.**

ლენინის რაიკომი აცხადებს, რომ ხუთშაბათს, 11 სექტემბერს, საღამოს 5 საათზე ნაძალადევის თეატრის შენობაში შესდგება სხდომა ქალაქის საბჭოს წევრების და კანდიდატების ლენინის რაიონიდან.

დღის წესრიგი: ამხ. ლ. სუხიშვილის საინსტრუქციო მოხსენება თბილისის საბჭოს მუშაობის შესახებ.

დასწრება სავალდებულოა, რადგანაც საბჭოს წევრებს მოუხდებათ შემდეგში თავის ამრჩევლებისთვის ანგარიშის ჩაბარება.

ლენინის რაიკომის სააგიტაციო განყოფილების გამგე **დ. მთვარელიძე.**

საქ. კომპარტიის ტფილისის ორგანიზაციების ყველა რაიკომებს.

ტფ. კომიტეტი წინადადებას იძლევა არა უგვიანეს ამა 11 სექტემბრისა გაიმართოს საშეფო კომისიების თათბირები შემდეგ საკითხების განსახილველად: 1. საქართველოში მომხდარ უკანასკნელ ამბების შესახებ, 2. სასოფლო-სამეურნეო გადასახადის შესახებ. მომხსენებელი გაიგზავნება ტფილისის კომიტეტიდან.

ტფ. კომიტეტ. მდივანი გოლდბაუმი.
ტფ. კომიტ. სააგიტ.-საპროპ. განყოფ. გამგე პენიაკოვი.

ტირაჟი—15.500

შაბათს, 13 სექტემბერს, საღამოს 6 საათზე საქ. კომპარტიის ტფილისის კომიტეტის სააგიტ.-საპ. განყოფილების ბინაზე შესდგება **ტფილისის კომიტეტის სააგიტ.-საპროპაგ. განყოფილების კოლეგიის და წერა-კითხვის უცოდინარობასთან მებრძოლ საზოგადოების ტფილისის ბიუროს გაერთიანებული სხდომა.**

ყველა ქვემოდ დასახელებულ ამხანაგების და აგრეთვე შემდეგ ორგანიზაციების წარმომადგენელთა დასწრება სავალდებულოა: 1. ჭელიძე (საქ. პროფ. კავშ. საბჭოს კულტ. განყოფილება), 2. შავერდოვა (განათლების მუშაკთა კავშირი), 3. ბუხნიკაშვილი (აღმასკომიდან), 4. კიდაიშ (ტფ. კომიტ. ქალთა განყოფ.), 5. იგნატოვი (პროლეტ. კულტ.), 6. რუხაძე (პოლიტ-განათლ. მთავარი სამმართვ.), 7. საქ. კომ. ტფ. ორგანიზაციის რაიკომების სააგიტ.-საპროპ. განყოფ. გამგეები, 8. საქ. ახალგ. კომკავშირის ტფ. კომიტ. 9. დივიზიის პოლიტ. განყოფ. 10. პოლიტ. სეკრეტარიატი.

ტფილ. კომიტეტ. სააგიტ.-საპროპ. განყოფ. გამგე პენიაკოვი.

საქართველოს კომპარტიის ლენინის რაიკომი იტყობინება, რომ ლენინის რაიონის აწარმოვო კონფერენცია შესდგება ორშაბათს, 15 სექტემბერს, საღამოს 6 საათზე, ნაძალადევის თეატრში.

დღის წესრიგი:

1. ა | კ. რკინის გზათა სამმართველოს უფროსის მოხსენება.
2. ა | კ. რკინის გზათა სამმართველოსთან არსებულ მატერიალური განყოფილების უფროსის მოხსენება.

სავალდებულოა კონფერენციაზე დასახელებულ ყველა დელეგატების გამოცხადება.

ლენინის რაიკომის მდივანი: გოლდბაუმი.

ყველა რაიკომებს. საქ. ახალგაზრდა ლენინელთა კომკავშირის ტფილისის კომიტეტი ერთიან საკავშირო დღეს ხუთშაბათს, 10 სექტემბერს წინადადებას იძლევა იჩეიკების დღის წესრიგში დასმული იქნას საკითხი: „ახალგაზრდობის საერთაშორისო დღე და ახალგაზრდობის კომინტერნის განვითარება".

საჭიროა მოწვეულ იქნას გაერთიანებული სხდომა პიონერთა კოლექტივებთან ერთად.

მასალები მოხსენებისათვის მოთავსებული იქნება „იუნოშესკაია პრავდა"-ში 1 სექტ № 60.

საქ. ახალგ. ლენინ. კომკავშირის ტფ. კომიტ. მდივანი.

განცხადებები

ზემო-ავჭალის ჰიდრო-ელსადგურის აგების სამუშაოთა სამმართველო

ამით აცხადებს, რომ ა. წ. 1-ლ ოქტომბრისათვის მის მიერ დანიშნულია დაახლოვებით 29 კილომეტრი დაჯავშნულ ჯირგნების სანგრებში ჩალაგების სამუშაოს ნარდათ გაცემის შეჯიბრება.

სამუშაო შესრულებული უნდა იქნეს ზაჰესის მასალებით ხოლო მონარდეს ხელსაწყოებით და მოწყობილობებით.

სამუშაოს შესრულების ვადა არის ოთხი თვე ნახევარი.

იმ შემთხვევაში, თუ მონარდე ვადაზე არ დაამთავრებს აღებულ სამუშაოს, მას ზაჰესის მიერ გადახდება ჯარიმა ყოველ ვადაზე გადაცილებულ დღეში 1 პროცენტის რაოდენობით დაუმთავრებელ სამუშაოს ღირებულებიდან ხელშეკრულების ფასებით.

აღნიშნულ სამუშაოს სრულად აღებ მსურველ პირთ და დაწესებულებათ შემოაქვთ ამის შესახებ წერილობითი განცხადება სათანადო სალერბო მარკებით დაწესებულ თეთრანიმუშზე („ბლანკი") დახურულ კონვერტში წარწერით: „ზაჰესის სამუშაოთა უფროსს 1-ლ ოქტომბრის შეჯიბრებისათვის", რომელ რიცხვსაც გახსნილი იქნება კონვერტები.

განცხადებას დართული უნდა იქნეს ზაჰესის სალაროში განცხადებულ ჯამიდან 5 პროცენტის რაოდენობით საწინდარის შეტანის ქვითარი.

უძრავი ქონება და სხვა ამგვარი საწინდრად არ მიიღება.

საწინდარის წინასწარ შემოტანისაგან განთავისუფლებული არიან სახელმწიფო ორგანოები და სათანადოთ რეგისტრაციაში გატარებული მუშათა არტელები.

იმ პირთ და დაწესებულებათ, რომელთ სამუშაო არ დარჩებათ, საწინდარი დაუბრუნდებათ უკან შეჯიბრების შედეგების გამორკვევისათანავე დაუყოვნებლივ. ხოლო იმ პირთ და დაწესებულებათა, რომელთ სამუშაო გადაეცემათ შეჯიბრებით, საწინდარი დარჩება ზაჰესის სალაროში და გადიდებული იქნება სამუშაოს საერთო ღირებულებიდან 10 პროცენტამდე პირველი მისაღებ თანხებიდან დაკავებით, რომელიც დაუბრუნდებათ უკან სამუშაოს სრულად და პირნათლად შესრულების შემთხვევაში.

სახელმწიფო დაწესებულებათ და მუშათა არტელებს სამუშაოს სრული ღირებულებიდან 10 პროც. რაოდენობით საწინდარის შესაქმნელად პირველ მისაღებ თანხებიდან დაეკავებათ 15 პროც.

დაწვრილებითი პირობების, ნახაზების, სამუშაოთა რაოდენობის და ტეხნიკური პირობების გაცნობა მსურველთ შეუძლიათ ზაჰესის ტეხნიკურ განყოფილებაში ყოველ დღე დილის 10—12 საათამდე (ქ. თბილისი ლადო დუმბაძის ქ. № 3). იქვე იქნება გაცემული განცხადებისათვის თეთრა-ნიმუში.

სამუშაოთა უფროსი, ინჟინერი ბ. ჭიჭინაძე.

საქართველოს სოციალურ უზრუნველყოფის სახ. კომისარიატი

გაუქმებულად აცხადებს „თბილისის დამზღვევ სალაროს შრომის ინვალიდ-პენსიონერთა საურთიერთო დამხმარე საზოგადოების" მიერ სხვადასხვა პირებზე დღევანდლამდი გაცემულ

მანდატებს, მოწმობებს და სხვა საბუთებს.

1—1 ნ. 1.488

ელექტრონის და სინათლის

სამკურნალო

საწოლებით რენტგენი და არსონვალი

მიხეილ გედევანიშვილის სახელობის

ნერვიულ და შინაგან ავადმყოფთათვის, რომელნიც ფიზიკურ მეთოდები ექიმობას საჭიროებენ

სამკურნალო სწარმოებს **ექ. სვიმონ ყიფშიძის** ხელმძღვანელობით. თბილისი, ყორღანოვის ქ. № 20. 25—20

ექიმი გ. გ. მეგრაბიანი

შინაგანი, გულისა და პლექით დაავადმყოფებულნი. სპეც. ციების წამლობა—შეშხაპ. 914, ყოველ ორგანოების განათება, ფოტოგრაფიული გადაღება და კიბოს წამლობა

რენტგენის სხივებით

დილ. 9—1დღ. და 6—8 ს. საღ. ბებუთოვის ქუჩა № 23. 1562 13—11

მასწავლებელი

ს. ზრიაზნოვი

ამზადებს მოწაფეებს. მცირე-წლოვანთ (6—10 წ.) იყვანს სრულ პანსიონზე.

ნახვა დღით 3—5 საათამდი

ვერა იზმაილოვის შესახვევი № 6. შესასვლელი ჩიხიდან ნ. № 1475. 10—3

მოსკოვის გაზეთების —და— ჟურნალების გამოწერა

შეიძლება საქართველოს კომპარტიის ცეკას გამომცემლობის მთავარ კანტორაში (რუსთაველის პროსპექტი № 24, ტელ. 10—49) მტკიცე ფასებში.

სახლში მიტანით და გადაგზავნით თვიურად ღირება გაზეთები:

„კრასნაია ზვეზდა"	1 მ. 80 კ.
„პრავდა"	1 მ. 00 კ.
„ცაკის უწყებები"	1 მ. 00 კ.
„ბედნოტა"	80 კ.
„ეკონომ. ჟიზნ"	1 მ. 30 კ.
„რაბოჩაია გაზეტა" 1 გამ.	40 კ.
„ „ 2 „	90 კ.
„ „ 3 „	1 მ. 55 კ.
„ „ 4 „	1 მ. 70 კ.
„ „ 5 „	2 მ. 35 კ.
„გუდოკ"	65 კ.
„ დამატებით	1 მ. 00 კ.
„ტრუდ"	1 მ. 00 კ.
„ დამატებით	1 მ. 25 კ.
ჟურნალები.	
„პროჟექტორ"	60 კ.
„კრასნაია ნივა"	90 კ.
„ოგონიოკ"	50 კ
„ფაბზავკომ"	20 კ.
„ბეზბოჟნიკ"	40 კ.
„რაბოჩი კორესპონდ.	50 კ.
„პრედპრიატიე"	1 მ. — ა.
„ჟიზნ ისკუსტვა"	1 მ. 40 კ.
„კრასნი პერეც"	60 კ.
„მირ პრიკლიუჩენი"	50 კ.
„სმენა"	1 მ. 00 კ.
„ხოჩუ ვსიო ზნატ"	50 კ.
„რაბოტნიცა"	40 კ.
„იუნი სტროიტელი"	40 კ.

ხელის მოწერა გრძელდება ენკენისთვის 15

0—1

ბორჯომის საკურორტო მრეწველობის კომბინატის სამმართველოს და წარმოებების დაწყებითი ბალანსი

1924 წ. 1-ლი მარტისათვის.

აქტივი

1. ფულადი თანხები.				
კასსა	1.238	83		
მიმდინარე ანგარიშები	911	20	2.150	03
2. ქონება.				
უძრავი.	171.165	32		
მოძრავი	201.048	89	372.214	21
3. მატერიალური ღირებულებანი.				
ფაბრიკატები	153.919	58		
მასალები.	79.109	05	233.028	63
4. დებიტორები.				
სხვადასხვა პირები და დაწ.	347.500	48		
მუშები და მოსამსახურეები.	4.444	40		
ანგარიშვალდებული პირები.	27	76	351.972	64
5. შეწერილი გადასახადები	3.300	—	3.300	—
6. გარდამავალი თანხები.	1.225	95	1.225	95
		ბალანსი	963.891	46

პასივი

1. კრედიტორები.				
სხვადასხვა პირები და დაწ.	354.291	03		
მუშები და მოსამსახურეები	18.115	91	372.406	9
2. გირაოები	111	64	111	64
3. სესხები	33.290	—	33.290	—
4. გაცემული თამასუქები.	10.655	—	10.655	—
5. გარდამავალი თანხები.	9.353	78	9.353	78
6. კაპიტალი.				
ძირითადი.	372.214	21		
საბრუნავი.	91.417	04		
საამორტიზაციო.	74.442	85	538,074	1
		ბალანსი	963.891	46

5 სექტემბერი 1924
ქ. ბორჯომი.

კომბინატის დირექტორი გარინი.
მთავარი ბუღალტერი ს. კვანჩხაძე.

ნ. 1484. 1—1.

საქართველოს სახელმწიფო ვაჭრობის საპაიო ამხანაგობა ბალანსი

1924 წლის 1-ლ აგვისტოსათვის

აქტივი

1. ნაღდი საშუალებანი.				
1) კასსა	1.456	35		
2) სახელმწ. ანგ. ბანკ.	6.124	52	7.580	87
2. მოძრავი ქონება.			7.310	72
3. საქონელი.				
1) საწყობში.	138.387	19		
2) მაღაზიებში.	482.464	31		
3) საკომისიოთ გაცემული	24.331	95		
4) „ მიღებული	9.932	65		
5) გირაოს ქვეშ	195.827	72		
6) სამნეო ნაწილი	3.294	60		
7) შესანახად გაცემული	80.000	—		
8) გადასამუშავებლ. გაცემული	1.959	95	936.198	37
4. ფასიანი ქაღალდები				
სხვადასხვა ობლიგაციები			420	—
5. დებიტორები.				
1) სხვადასხვა პირნი და დაწესებულებანი	79.744	73		
2) ანგარიშ ქვეშ მყოფი პირნი	27.247	83		
3) მიღებული თამასუქები	36.578	12		
4) დახურდავებული თამასუქ.	50.000	—	193.570	68
6. განყოფილებები:				
1) მოსკოვის	207.214	34		
2) ბაქოს	109.288	27		
3) სიღნაღის დასამზ. პუნქტი	36.615	52	353.118	15
7. გარდამავალი თანხები			9.616	10
8. ტრანსპორტი			1.844	31
9. მიმდინარე ხარჯები			110.075	45
10. კურსის განსხვავება			6.992	45
11. საორგანიზაციო ხარჯები			8.875	48
		ბალანსი	1.635,602	58

პასივი

1. საპაიო კაპიტალი.			604.522	41
2. კრედიტორები				
1) სხვადასხვა პირნი და დაწეს.	315.626	69		
2) კომიტენტები	12.416	95		
3) გაცემული თამასუქები	278.823	62		
4) სპეც. ანგარიშები ბანკებში	184.145	52		
5) ბანკების განაღდ. თამას.	50.000	—	841.012	78
3. ზედნადები ხარჯები			1.023	78
4. შემოსავალი:				
სხვადასხვა	39.007	82		
„ საქონლ. გაყიდვის	150.038	79	189.046	61
		ბალანსი	1.635.602	58

გამგეობის თავმჯდომარე ნ. ამირალოვი.
საფ. საანგარიშო განყოფილების უფროსი კ. ციხკარიძე.
მთავარი ბუღალტერი კლ. თალაქვაძე.

ნ. 1485. 1—1.

⁂ საჯარო ვაჭრობა ⁂

ამიერ-კავკასიის სოც. საბჭ. რესპუბლიკის რკინის გზათა სამმართველო

აცხადებს, რომ 1924 წლის 20 სექტემბრის დილის **10** საათისათვის სამმართველოს შენობაში (ვოკზალის ქუჩა, № 1) დანიშნულია

წერილობითი საჯარო ვაჭრობა

ქვემოდასახელებულ სავაჭრო დაწესებულებათა ამა წლის 1 ოქტომბრიდან 1925 წლის 1 ოქტომბრამდე იჯარით გაცემისათვის:

ვაგონ-ბუფეტები №№ 1 და 2 მატარებლებთან თბილისსა და ბაქოს შორის ორი შემადგენლობით და აგრეთვე ოთხ შემადგენლობიან მატარებლებთან №№ 3 და 4 როსტოვსა და თბილისს შორის.

ბუფეტები 1 და 2 კლასების, შემდეგ სადგურებზე: ბათომი, სამტრედია, ახალ-სენაკი, ფოთი, რიონი, ქუთაისი, ზესტაფონი, შორაპანი, ჭიათურა, ხაშური, ბორჯომი, მცხეთა, თბილისი, ნავთლუღი, სანაინი, კარაკლისი, ლენინაკანი, ერევანი, ნახიჩევანი, ჯულფა, ყარაიაზი, აკსტაფა, ევლახი, უჯარი, კიურდამირი, აჯიკაბული, ბალაჯარა, ბაქო, ბაქო-საბუნჩი ვოკზალი, საბუნჩი და ხაჩმასი.

ბუფეტები, მე-3 კლასი, შემდეგ სადგურებზე: ბათომი ჩაქვა, ქობულეთი, ნოტანები, სუფსა, ლანჩხუთი, სამტრედია, აბაშა, ფოთი, ფოთი-ნავთსადგური, რიონი, ქუთაისი, ზესტაფონი, შორაპანი, ბოსლევი, ჭიათურა, საჩხერე, ძირულა, ხარაგოული, მოლითი, ხაშური, ბორჯომი, ბორჯომ-პარკი, ბაკურიანი, მცხეთა, თბილისი, ნავთლუღი, ვაზიანი, იორა, საგარეჯო, ბადიაური, მელაანი, გურჯაანი, მუკუზანი, თელავი, კარდანახი, წნორისწყალი, სანდარი, სადახლო, სანაინი, შაგალი, კარაკლისი, ამამლი, ლენინკანი, ეჩმიაძინი, ულუხანლუ, ერევანი, კამარლიუ, შახტატი, ნახიჩევანი, ალტაღლია, ყარაიაზი, ფოილო, აქსტაფა, ტადამირი, ძეგამი, დოლიარი. მამხორი, დალ-მამეტლი, ევლახი, ლიაკი-უჯარი, მიუსიუსლი, კიურ-საბუნჩ, ვოკზალი, სალირი, კარასუ, აჯიკაბული, ნავაგი, ალიატი, ბალაჯარა, ბაქო 1, ბაქო-საბუნჩი, ვოკზალი, საბუნჩი, სურახანა, სუმგაითი, იაშმა, კილიაზი, ყიზილ-ბურუნ, დივიჩი, ხაჩმასი, კუსარ-ჩაი, ხუდათ, იალომა.

ბუფეტ-კარვები შემდეგ სადგურებზე: ხრესილი, ტყვიბული, ავჭალა, შულავერი, წაღვერი.

სავაჭრო-კარვები შემდეგ სადგურებზე: ბათომი-ნავთსადგური, ჩაქვა ციხის ძირი, ქობულეთი (საკუთარი მოიჯარადრე), ჯუმათი, ლანჩხუთი სუჯევახო,, სამტრედია №№ 1,2 და 3, აბაშა №№ 1 და 2 (საკუთარი მოიჯარადრე), ახალ-სენაკი, ფოთი, მუხიანი, რიონი №№ 1,2 და 3 (№ 3-ზე საკუთ. მოიჯარადრე), ქუთაისი, ზესტაფონი, შორაპანი, ძირულა, მარელისი, მოლითი, წიფა, ხაშური №№ 1 დ 2 (№ 2 საკ. მოიჯარადრე), სურამი, სუმბათოვო, ბორჯომი, გორი, კასპი, ქსანკა, თბილისი №№ 1 და 2, ნავთლუღი №№ 1 და 2 (№ 2—საკუთ. მოიჯარადრე), საგარეჯო, გურჯაანი, მუკუზანი, წნორის-წყალი, სალ-ოღლი, სანდარა, სადახლო, ახტალა, სანაინი, კალაგერანი № 1, კარაკლის №№ 1 და 2, ამამლი, ლენინკანი №№ 1 და 2 (№ 2—საკუთ. მოიჯარადრე), ყარა-ბურუნი, სარდარაბადი, ეჩმიაძინი, ნახიჩევანი, ალტაღლია, ყარაიაზი, აქსტაფა №№ 1, 2, 3, 4 და 5 (№№ 2, 3, 4 და 5—საკ. მოიჯარ.), ძეგამი, განჯა №№ 1, 2, 3, 4 5, 6 და 7, დალ-მამეთლი, ევლახი №№ 1 და 2, უჯარი, კიურდამირი, სალირი, კარასუ, სანგაჩალ, ბალაჯარა №№ 1 და 2 (საკუთ. მოიჯარ.) ეიბათი, ბაქო 1 (№ 1 ეკლესის გალავანში), № 2 და 3 (№№ 2 და 3 საკუთ. მოიჯარადრე), ბაქო 2, ბაქო-საბუნჩი ვოკზალი, საბუნჩი №№ 1 და 2 (№ 2 საკ. მოიჯარ.) სურახანა, ხაჩმასი №№ 1 და 2, კუსარ-ჩაი, ხუდათი, იალომა.

ფარდულები სადგ. სადგ. განჯა №№ 1 და 2, კიურდამირი **საპირფარეშოები** სად. სად.: ბათომი, ნატანები, ლანჩხუთი, სამტრედია, აბაშა, ფოთი, რიონი, ქუთაისი, ზესტაფონი, შორაპანი, ჭიათურა, საჩხერი, ხაშური №№ 1 და 2 (№ 2 ეკლესიის გალავანში), ბორჯომი, ბორჯომ-პარკი, გორი, მცხეთა, თბილისი, ნავთლუღი, გურჯაანი, სანაინი, კარაკლისი, ლენინკანი, ერევანი, ნახიჩევანი, აქსტაფა, ტაუზი, განჯა, ევლახი, ლიაკი, აჯიკაბული, ბალაჯარა, ბაქო 1, ბაქო-საბუნჩი ვოკზალი, საბუნჩი, ხაჩმასი.

ლატოკი. სადგურ საბუნჩში.

შკაფები. შინა-მრეწვ. ნაწარმოებთათვის, განჯა, ბაქო 1, საბუნჩი.

იმ პირთ, რომელთაც სურთ მიიღონ მონაწილეობა საჯარო ვაჭრობაში, ვალდებულნი არიან თავისი განცხადებები დაბეჭდილი კონვერტებით ჩააგდონ საბჭოს დარბაზის კარებთან სპეციალურათ გამოკიდებულ ყუთში ან გამოგზავნონ ასეთნი დროულათ. კონვერტებზე უნდა ეწეროს: „ამ.-კავ. რკ. გზ. სამმართველოს ბუფეტების, ფარდულებისა და სხვ. იჯარით გასაცემ 1924 წ. 20 ენკენისთვის საჯარო ვაჭრობისათვის" განცხადებებში კი აღნიშნული უნდა იქნეს: რა სურს განმცხადებელს აიღოს იჯარით და როგორია მის მიერ წინადადებული წლიური ქირა.

განცხადებებს თან უნდა დაერთოს:

1) ქვითარი შეტანილი გირაოსი, რომელიც უნდა შეადგენდეს განმცხადებლის მიერ წარმოდგენილ ქირის არა ნაკლებ 10 პროცენტისა. ის პირნი, რომელთაც სურთ იჯარით აიღონ რამოდენიმე სავაჭრო ადგილი, ვალდებულნი არიან შემოიტანონ ამდენივე ცალკე განცხადებები ზემოაღნიშნული წესით და ყოველ სავაჭრო ადგილისთვის წარმოდგენილი საიჯარო ქირის 10 პროცენტიანი გირაო.

2) განცხადებებს თან უნდა ერთვას სალერბო გადასახადი 3 მ. 30 კ. რაოდენობით. იჯარით გაცემის დროს სამმართველო იხელმძღვანელებს არა მარტო წარმოდგენილ ფასებით, არამედ აგრეთვე სხვა მოსაზრებებით, რომლებიც გამომდინარეობენ რკინისგზის მეურნეობის ინტერესებიდან.

შენიშვნა 1) ხელშეკრულებაზე ხელის-მოწერამდე, გირაოს და სალერბო გადასახადის შეტანამდე ის პირი, რომელსაც დარჩება საიჯარო წარმოება, არ იქნება დაშვებული ვაჭრობაში; საიჯარო გადასახადი შეტანილი უნდა იქნეს 1924 წლის 1 ოქტომბრიდან.

2) ძველი გირაოები, რომლებიც შეტანილია 23 წლის 1 ოქტომბრამდე, არ იქნება ჩათვლილი, ამიტომ ამ განცხადებებს თან უნდა ახლდეს ქვითარები ახალი გირაოების შეტანის შესახებ, რომელთა შორის უნდა ჩაითვალოს აგრეთვე 1923 წლის 1 ოქტომბრის შემდეგ შეტანილი გირაოებიც.

3) სავაჭრო კარავების შეკეთება უნდა მოხდეს მოიჯარადრეების ხარჯზე.

4) ის სავაჭრო კარავები, რომლებიც აგებულია მოიჯარადრეების ხარჯზე, უნდა გამოისყიდონ ახალმა მოიჯარადრეებმა, რომლებმაც აიღეს ასეთები აღნიშნული საჯარო ვაჭრობით.

5) ყველა პირები, რომლებიც ითვლებიან ეხლა მოიჯარადრეებად, ვალდებული არიან საიჯარო გადასახადის სისწორით შეტანის დასამტკიცებლად შეიძინონ ქვითარები საიჯარო გადასახადების შეტანის შესახებ იჯარის ვადის განმავლობაში.

დაწვრილებითი ცნობების მიღება შეიძლება ყოველდღე დღის 12-დან—2 ს. გარდა კვირა-უქმე დღეებისა.

(თბილისი, სადგურის ქუჩა, № 1, ოთახი № 64).

ნ. 1477, 3—3.

დაკარგე პირადობის მოწმობა გიორგი იობაშვილის სახელობაზე. ჩაითვალოს გაუქმებულათ. 1—1 1962.

დაკარგე აღრიცხვის ქაღალ. აღებული დავით ლონგინოზისძე რუხაძის სახელზე. № 559 46. ჩაითვალოს გაუქმებულათ. 1—1 1961.

დაკარგე საწევრო წიგნაკი განათლების მუშაკთა კავშირიდგან № 4321 ელენე ციციშვილის სახელზედ ჩაითვალოს გაუქმებულად. 1—1 1969

დაკარგე პირადობის მოწმობა და სამხედრო ბეგრის ფურცელი სვირის რაიონის რაიკომის მიერ მოცემული. ჩაითვალოს გაუქმებულათ. ემელიან იწაქაძე. 1—1 1966.

დაკარგე პირადობის მოწმობა მარიამ სერგის ასულის მდივნიშვილის სახელზე, მოცემული ბუგეულის აღმასკომის მიერ. გთხოვთ გაუქმებულათ ჩაითვალოს. 1—1 1967.

დაკარგე პასპორტი თეოლინე ენუქიძეს სახელზე. ჩაითვალოს გაუქმებულათ. 1—1 1963.

დაკარგე კავშირის წიგნაკი №4448. ევგენი დემეტრაშვილის სახელზე. ჩაითვალოს გაუქმებულად. 1—1 1964.

დაკარგე პასპორტი მარფა ვარჩენკოს სახელზე. ჩაითვალოს გაუქმებულათ. 1—1 1965.

დაკარგე პირადობის მოწმობა სვერის თემის აღმასკომის მიერ მოცემული იასონ კაკაურიძის სახელობაზედ. ჩაითვალოს გაუქმებულათ. 1—1 1970.

დაკარგე კავშირის ბარათი მიღებული საკავშირო ნაწილის ადგილკომისაგან № 414712 | 8912 გლადიმერ ნაკრიობაშვილის სახელზე ჩაითვალოს გაუქმებულათ. 1—1

სტამბა „ზარია ვოსტოკა", სამ. წულუკიძის ქუჩა № 4.